გამოდის ოთხშაბათობით

№1 (265)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

# ქართული სიტყვა

ფასი 1 ლარი

7 – 13 იანვარი, 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

# შობას გილოცავთ!

## ჯანსუღ ჩარკვიანი პოეზიის მეფედ აღიარეს

# ბიწაძის კადრები სასამართლოში



მე-2-3-4 გვ.

## მოსამართლე ჯემალ კოპალიანის ბეგრაუნდი და სკანდალური ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც „კაბელების საქმეს“ თავდაყირა დააყენებს

„ირაკლი ალასანიას ოპოზიციაში გადასვლა დროული იყო, რადგან ჩვენს პოლიტიკაში არსებული თავისუფალი ველის დაკავებას რუსული სეგმენტი ცდილობდა. ყველაფერი ისე რომ არ მომხდარიყო, როგორც მოხდა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სამი ძირითადი მოთამაშე იქნებოდა: რეიტინგდაკარგული „ქართული ოცნება“, „ნაცმოძრაობა“, რომლის რეანიმაცია-რეინკარნაცია დიდი ხანი ვერ მოხდება და რუსული ორბიტა. ამ ფონზე, ხელისუფლებისკენ გზა სწორედ რუსულ სეგმენტს ეხსნებოდა. არ ვიცი, ალასანიამ ყველაფერი ეს გათვალა თუ ვინმემ უკარნახა, მაგრამ მან ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო!“

# სააკაშვილის, ადეიშვილის, ქვანიასა და ოქრუაშვილის









მე-14-15-16 გვ.

# საიდუმლო შეხვედრები გოგირდის აბანოში

## რა კავშირი ჰქონდა ავტორიტეტ კოხიას გარდაცვალებას სულხან მოლაშვილის დაჭერასთან

„მიტინგები რომ დაიწყო, „ნაცმოძრაობის“ ოფისში „სასისკებს“ ხარშავდნენ და მომიტინგეებს ურიგებდნენ. „სასისკების უფროსი“ გივია თარგამაძე იყო. ჰოდა, ერთხელ, გივია დათვრა, „სასისკების“ ფული შეჭამა, მომიტინგეებს ველარ მიუტანა და კარგა მაგრად „გაბერტყეს“...

მე-8 გვ.

## ნიცშედან მარგველაშვილამდე, ანუ 2015-დან დანახული 2014

მე-10 გვ.

## კოტე კუბლაშვილის უძრავი ქონება და ფულადი შემოსავლები

№ 1 (265)
7 – 13 იანვარი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

სტოპკადრი

# ჯანსუღ ჩარკვიანი პოეზიის მეფედ აღიარეს



ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის" პროზა-პოეზიის პრემია „ივერიის" დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე ჯანსუღ ჩარკვიანი პოეზიის მეფედ აღიარეს – ხუთკაციანმა ჟიურიმ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო. პრემია სულ 12 ნომინაციაში გაიცა.

პროექტი 2013 წლის 28 ნოემბერს დაიწყო და თვეში ერთხელ – თვის ბოლოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმართებოდა. მთელი წლის განმავლობაში, პროექტში მონაწილეობა 96-მა პოეტმა, 12-მა მხატვარმა, 12-მა ხატმწერმა და 12-მა ფოტოხელოვანმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ პროექტში ე.წ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც მონაწილეობდნენ. ნომინაციაში – „წლის პროზა" სწორედ შშმ პირმა, მაკა ნათელაურმა გაიმარჯვა, რითიც კიდევ ერთხელ დაინგრა სტიგმა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები არ არსებობენ.

„პროექტის კომპეტენტური ჟიურის ვინაობა ბოლო დღემდე გასაიდუმლოებული იყო. ამასთან, ჟიურის წევრებმა არ იცოდნენ პროზა-პოეზიის ავტორთა ვინაობა – მასალები დანომრილი იყო", – ამბობს პროექტის ორგანიზატორი, საგამომცემლო სახლ „ქართული ელიტის" დამფუძნებელი ნუგზარ-პეტრე ჭიაბერაშვილი.

პროექტის ჟიურის წევრები იყვნენ: პროფესორი, ლიტერატურის კრიტიკოსი ნათელა ჯანტიშვილი, ჟურნალისტი, გაზეთ „ქართული სიტყვის" მთავარი რედაქტორის მოადგილე ვანო პავლიაშვილი, მსახიობი ნანა ხურითი და რეჟისორი ლაშა გოგნიაშვილი.

ნომინაციაში გამარჯვებულებს წმინდა ილია მართლის სახელობის ორდენები გადაეცათ.

„ღონისძიება მომავალ წელსაც გაგრძელდება, თუმცა სქემა შეიცვლება – ყველა ღონისძიება ჩატარდება სხვადასხვა ქალაქსა და ისეთ ადგილზე, სადაც ძალიან იშვიათად ჩადიან ადამიანები, მაგალითად, საინგილოში – ისტორიულ ჰერეთში", – ამბობს პროექტის დამფუძნებელი.

აღსანიშნავია, რომ პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.

## ექიმები გრიპის ვირუსის გააქტიურებას ელოდებიან

მედიკოსები იანვრიდან მარტის ჩათვლით გრიპის ვირუსის გააქტიურებას ელოდებიან. როგორც „ინტერპრესნიუსს" დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ გრიპის შემთხვევების უმეტესი რაოდენობა ყოველგვარი სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გარეშე გამოჯანმრთელებით მთავრდება, მედიკოსები მოსახლეობას მაინც სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, რადგან გრიპი ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია გართულდეს, უფრო იშვიათად კი, – გამოიწვიოს ლეტალური დასასრულიც კი. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში მოსახლეობას გრიპის ვირუსისგან თავის დასაცავად გრიპის საწინააღმდეგო სეზონურ ვაქცინაციას ურჩევენ.

გარდა ამისა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას გრიპის ფართო გავრცელებისას არაპირდაპირი დაცვის საშუალებების გამოყენებასაც ურჩევენ - კერძოდ ხელების ხშირად დაბანა საპნითა და გამდინარე წყლით, საცხოვრებელი ადგილის ხშირად განიავება და სველი წესით დალაგება. დაავადების შემთხვევაში კი ექიმები დაავადებულ ადამიანებს ურჩევენ დარჩნენ სახლში, რითიც დაიცავენ საკუთარ თავს მოსალოდნელი გართულებისგან, ხოლო საზოგადოებას – დაავადების გავრცელებისგან.



გრიპის ვირუსის გართულებების განვითარების რისკჯგუფებს მიეკუთვნებიან გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებით შეპყრობილნი, დიაბეტით დაავადებულები, მცირე და ხანდაზმული ასაკის ადამიანები და ორსულები.

„ინტერპრესნიუსი"

სკანდალური ექსკლუზივი

**რას მოგვიტანს 2015 წელი? – ამაზე მსჯელობა კი არა, მარჩიელობა შეიძლება, თუმცა ფაქტია: წლევანდელი ერთ-ერთი მთავარი, როგორც იტყვიან, მოვლენა ე.წ. „კაბელების საქმე" იქნება. მეტიც, 2014 წლის ნოემბერში დაწყებული სკანდალის კვალი შესაძლოა, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარემდე მივიდეს. ყოველ შემთხვევაში, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართული სიტყვის" სკანდალური ინტერვიუების ციკლში მნიშვნელოვან მინიშნებას აკეთებს და აცხადებს, რომ მოსამართლე ჯემალ კოპალიანი, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები წინასწარ პატიმრობაში დატოვა, პირდაპირ თუ ირიბად, ბადრი ბიწაძესთანაა დაკავშირებული. შეგახსენებთ: ადვოკატებმა დაკავებულებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით საქალაქო სასამართლოს 2014 წლის დეკემბრის ბოლოს მიმართეს. ასევე, ცნობილია, რომ პატიმრობაში მყოფებს თავდებში 40-მდე ადამიანი, მათ შორის, პარლამენტარები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ჩაუდგნენ, თუმცა კოპალიანმა არც ეს გარემოება გაითვალისწინა... მაშ ასე, ქართველი სპეცსამსახურელი მორიგ სკანდალურ ინფორმაციებს ასაჯაროებს...**

# ბიწაძის კადრები სასამართლოში

**– ბატონო კონსტანტინე, ისეთი პირი უჩანს, რომ 2015 წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ასე ვთქვათ, მოვლენა ე.წ. „კაბელების საქმე" იქნება, მით უმეტეს, რომ თავდაცვის სამინისტროს დაპატიმრებულ თანამშრომლებს დეპუტატები თავდებში უდგებიან. ამასთან, ინტელიგენციის ნაწილი, გამოძიების დამთავრებამდე, მათ გათავისუფლებას ითხოვს...**

– მართალია, ადრეც მითქვამს, რომ „კაბელების საქმეში" მონაწილე ერთ-ერთი პირის თანამდებობაზე დანიშვნის წინააღმდეგი ვიყავი და ამაზე თავის დროზე ირაკლი ალასანიასაც ვუთხარი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ „კაბელების საქმე" შეკოწიწებულია და პოლიტიკური მოტივაციის სუნი ასდის. გამოძიებაც ამიტომ იჭიმება. არადა, საქმე ძალიან მარტივია და პროკურატურას მტყუან-მართლის დასადგენად ამდენი დრო არ უნდა დასჭირვებოდა. ბოლოს და ბოლოს, დანაშაულის მოტივი და სუბიექტური მხარე მაინც ხომ უნდა გაერკვია, რომლითაც ნათლად გამოჩნდება, რომ ამ საქმესთან ირაკლი ალასანიას შეხება საერთოდ არ ჰქონია, თუმცა როცა დანაშაული ხდება, სისტემის ხელმძღვანელს პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ ეს მაშინ გამოჩნდება, როცა გამოძიება დამთავრდება და სასამართლოს განაჩენი დადგება...

საერთოდ, სამხედროების ასეთ გაურკვეველ საქმეზე დაპატიმრება და წინასწარ პასუხისგებაში მიცემა იმაზე დიდი სასჯელია, ვიდრე შეიძლება, იმსახურებენ. ისინი არსად გარბოდნენ, თან თავდებში ამდენი ადამიანი ჩაუდგა და იმის თქმა, გამოძიებას ხელს შეუშლიანო, ალოგიკურია, მით უმეტეს, რომ უპირობო გათავისუფლებას არავინ ითხოვს!

**– თავდაცვის სამინისტროს დაპატიმრებულ თანამშრომლებს აღმკვეთი ღონისძიება, როგორც ცნობილია, მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა გაუგრძელა. ამ პიროვნებაზე რა იცით?**

– საქმე თავდაპირველად, ჩემი ინფორმაციით, სხვა მოსამართლეს ჰქონდა, მაგრამ უცებ ჯემალ კოპალიანი გამოჩნდა და დიდი კითხვის ნიშანიც სწორედ ამან გამიჩინა.

**– რას გულისხმობთ?**

– ჯემალ კოპალიანი ის მოსამართლეა, რომელიც 9 წლის განმავლობაში, ჩემი აზრით, პირადად ვანო მერაბიშვილის დავალებებს ასრულებდა.

**– ამ მოსაზრების დასაბუთება შეგიძლიათ?**

– თუნდაც ის პროცესი გავიხსენოთ, რომელიც ე.წ. ამბოხებას უკავშირდება.

**– რომელ ამბოხებას გულისხმობთ?**

– რომელსაც გია კრიალაშვილი შეეწირა. ჯემალ კოპალიანმა კობა კობალაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა, დანარჩენებს კი, გარკვეული სასჯელი შეუფარდა.

**– კობა კობალაძის დარბაზიდან გათავისუფლება, ცხადია, მაშინდელი ხელისუფლების ინტერესში არ იქნებოდა. ასე რომ, ეს გარემოება თქვენს მოსაზრებას, მოსამართლე კოპალიანი მერაბიშვილის დავალებებს ასრულებდაო, მგონი, აბათილებს...**

– ვანო, გეტყვით, კოპალიანი ვინც არის და დასკვნები მერე გააკეთეთ.

**– კი ბატონო, გისმენთ...**

– კოპალიანის ბეგრაუნდი კარგად ვიცი – მაშინ, როცა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის უფროსი ვიყავი, ბატონი ჯემალ კოპალიანი სენაკის გარნიზონის სამხედრო პროკურორი გახლდათ. იმხანად სენაკის გარნიზონი მთელ სამეგრელოსა და კოდორის ხეობას მოიცავდა, ანუ ამ რეგიონში სამხედრო საქმეებზე საპროკურორო ზედამხედველობას სწორედ ჯემალ კოპალიანი აწარმოებდა. სხვათა შორის, ისეთი რეპუტაცია ჰქონდა.

**– „ისეთი", ანუ ცუდი?**

– ყოველ შემთხვევაში, არც კარგი...

იმ დროს სამხედრო პოლიცია არ არსებობდა და სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოვლენა და ოპერატიული მოკვლევა სამხედრო კონტრდაზვერვას უწევდა, თუმცა ვცდილობდი, რომ უფრო დანაშაულის პრევენცია მომეხდინა, ვიდრე – საქმე პროკურატურისთვის გამეგზავნა.

**– ხომ შეიძლება, ვინმემ თქვას, ფორჩხიძე ასე იმიტომ იქცეოდა, რომ დანაშაულს ფარავდაო?**

– როგორ გეკადრებათ! საქმის პროკურატურისთვის გადაცემას აზრი არ ჰქონდა, რადგან ყველამ იცოდა, პროკურატურაში რაც ხდებოდა.

**– რა ხდებოდა?**

– ის ხალხი, ვისზეც პროკურატურას მასალებს გადასცემდი, ქუჩაში გამოდიოდა და ყველაფერი ბუმერანგივით უკან გიბრუნდებოდა...

**– თუკი ეჭვობდით, რომ სამხარეო სამხ-**

გაგრძელება მე-3 გვ.

**„ირაკლი ალასანიას ოპოზიციაში გადასვლა დროული იყო, რადგან ჩვენს პოლიტიკაში არსებული თავისუფალი ველის დაკავებას რუსული სეგმენტი ცდილობდა. ყველაფერი ისე რომ არ მომხდარიყო, როგორც მოხდა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სამი ძირითადი მოთამაშე იქნებოდა: რეიტინგდაკარგული „ქართული ოცნება", „ნაცმოძრაობა", რომლის რეანიმაცია-რეინკარნაცია დიდი ხანი ვერ მოხდება და რუსული ორბიტა. ამ ფონზე, ხელისუფლებისკენ გზა სწორედ რუსულ სეგმენტს ეხსნებოდა. არ ვიცი, ალასანიამ ყველაფერი ეს გათვალა თუ ვინმემ უკარნახა, მაგრამ მან ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო!"**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

7 – 13 იანვარი 2015 | № 1 (265)



სკანდალური ექსკლუზივი



# მოსამართლე ჯემალ კოპალიანის ბეგრაუნდი და სკანდალური ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც „კაბელების საქმეს“ თავდაყირა დააყენებს

მე-2 გვერდიდან

**ედრო პროკურორი რაღაც მაქინაციებში იყო გარეული, ამის თაობაზე საქმის კურსში მის ზემდგომებს რატომ არ აყენებდით?**

— ამ მაქინაციებში მთელი სისტემა იყო ჩართული და ზემდგომის საქმის კურსში ჩაყენებას რა აზრი ჰქონდა?!

**— მაშინ სამხედრო პროკურორი ვინ იყო?**

— ვინ და, — როგორც მახსოვს, ბადრი ბიწაძე... თუ არ ვცდები, თბილისის სამხედრო პროკურორი კი, ჯემალ მინდორაშვილი გახლდათ.

**— საუბარი იქითკენ მიგყავთ, რომ კოპალიანი სენაკის გარნიზონის სამხედრო პროკურორად ბიწაძემ დანიშნა, ანუ მისი კადრია?**

— დიახ... მერე, ერთხანობას, კოპალიანი გაქრა, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ალბათ, ბადრი ბიწაძისა და იმ გუნდის ძველი კავშირების გამოყენებით, რომელიც სამხედრო პროკურატურაში ბიწაძის საახლობლოდ ითვლებოდა, მოსამართლე გახდა.

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბატონო კონსტანტინე, ეჭვობთ, რომ „კაბელების საქმის“ უჩინარი რეჟისორი შესაძლოა, ბურჯანაძე იყოს, მით უმეტეს, რომ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ირაკლი ალასანიას, როგორც გარედან ჩანს, მთავარ პოლიტიკურ მტრად მიიჩნევს?**

— არაფერს გამოვრიცხავ...

კოპალიანთან დაკავშირებით კიდევ ერთი მომენტია: სამხედროებთან დაკავშირებულ ყველა საქმეს მაინცდამაინც კოპალიანი რატომ იხილავს? იქნებ, იმიტომ, რომ სისტემას იცნობს, მაგრამ ეს, მინიმუმ, ინტერესთა კონფლიქტია, რადგან თავის დროზე ამ სამხედროებთან, შესაძლოა, საქმიანი ურთიერთობაც ჰქონდა...

მოკლედ, ყველაფერი ეს „კაბელების საქმეში“ სერიოზულ კითხვის ნიშნებს აჩენს. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე რომ ვიყო, ამ გახმაურებულ საქმეებს კოპალიანს ავარიდებდი და ნებისმიერ სხვა მოსამართლეს გადავცემდი. სხვათა შორის, კვიციანის საქმეზეც გადაწყვეტილება, თუ არ მეშლება, სწორედ კოპალიანმა გამოიტანა.

**— აი, აქ კი, თქვენი ლოგიკა, კოტე ბატონო, მგონი, აღარ გაჭრის, რადგან როგორც კულუარებში ამბობენ, ემზარ კვიციანს პოლიტიკურ მხარდაჭერას სწორედ ბურჯანაძე უცხადებს...**

— არ მგონია, რომ ბურჯანაძეს კვიციანის ციხიდან გამოსვლა უნდოდეს.

**— ეს საიდანღა მოიტანეთ?**

— კოდორის მოვლენების დროს, ბურჯანაძე ქვეყნის მეორე პირი იყო და ყველაფერზე, რაც მაშინ მოხდა, პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, მასაც ეკისრება. სხვა თუ არაფერი, ბურჯანაძემ იცის, კოდორში რეალურად რაც მოხდა. ამიტომაც ვამბობ, რომ კვიციანის საქმე სასამართლოს ზერელედ არ უნდა განეხილა — „კაბელების საქმის“ არ იყოს, მოტივაცია არც კვიციანის საქმეში გარკვეულა. გარდა ამისა, მოსამართლეს ძირითადი მოწმეები და ფიგურანტებიც არ დაუკითხავს...

**— ისე, უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ კვიციანმა, გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტს შეწყალების მოთხოვნით მიმართა? — შეწყალების მოთხოვნა, როგორც ვიცი, ავტომატურად დანაშაულის აღიარებას ნიშნავს...**

— შეწყალება აღიარების გარეშეც შეიძლება — ირაკლი ბათიაშვილის შემთხვევა გაიხსენეთ, რომელსაც დანაშაული არ უღიარებია და ნინო ბურჯანაძემ, რომელიც მაშინ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, თავისი ინიციატივით შეიწყალა. მარგველაშვილსაც შეუძლია, კვიციანთან მიმართებაში თავისი დისკრეციული უფლება გამოიყენოს და შეიწყალოს, მაგრამ ემზარის გარეთ ყოფნა არ აწყობთ.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ბევრი რამ იცის.

**— ვისზე?**

— მათზე, ვინც დღეს პოლიტიკურ სპექტრში არიან გაბნეულნი.

**— ეს ადამიანები „ქართულ ოცნებაშიც“ არიან?**

— დიახ... ემზარ კვიციანი ძალიან ინფორმირებულია, მით უმეტეს, იმ თემაზე, რის გამოც დღეს სასჯელს იხდის.

**— ეს გასაგებია, მაგრამ მოდით, ისევ „კაბელების საქმეს“ დავუბრუნდეთ: თეორიულად, დასაშვებია, რომ ნინო ბურჯანაძე ამ გზით ალასანიას ჩაძირვას ცდილობდეს?**

— პირდაპირ ვერ ვიტყვი, მაგრამ მიჩდება შეკითხვა: რატომ იხილავს „კაბელების საქმეს“ მაინცდამაინც კოპალიანი, რომლის ბეგრაუნდიც ბურჯანაძის მეუღლეს უკავშირდება?

**— შეიძლება, ყველაფერი, უბრალოდ, დამთხვევაა...**

— კი ბატონო, მაგრამ სამხედროებთან დაკავშირებულ ყველა საქმეს აქამდეც კოპალიანი იხილავდა და ეს „ნაციონალური“ ტრადიცია ახლაც გრძელდება.

**— თუკი ასეა, მაშინ შესაძლოა, ლოგიკამ იქამდეც მიგვიყვანოს, რომ ბურჯანაძე და „ნაციონალები“ თემატურად თანამშრომლობენ?**

— არ ვიცი, ვინ ვისთან თანამშრომლობს, მაგრამ „კაბელების საქმე“ პირდაპირ ალასანიას წინააღმდეგაა მიმართული. ისე, ყველაფერ ამაში ცოტა სხვა რამესაც ვხედავ.

**— სახელდობრ?**

— რუსულ ინტერესს.

**— ანუ?**

— მოსამართლეები და პროკურორები ცდილობენ, საქმე იქამდე მივიდეს, რომ ალასანიას გარკვეული ნეიტრალიზება მოხდეს.

**— სხვათა შორის, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა განაცხადა, თუ ამ ბიჭებს თავს არ დაანებებენ, ბევრ რამეს ვიტყვიო. რა იცის ალასანიამ?**

— კაცო, იმ დოკუმენტაციას ხელს ალასანია, ან მე კი არა, ლექსო ბატიაშვილი აწერს. მთავარ იურიდიულ დოკუმენტზე, რომლითაც ეს „დანაშაული“ მოხდა, პასუხისმგებელი სწორედ ბატიაშვილია, მაგრამ მას არავინ არაფერს ედავება, ციხეში კი ისინი სხედან, რომლებსაც ზემოხსენებულ დოკუმენტზე ფაქსიმილეც კი არ აქვთ დატოვებული. აი, სწორედ ესაა უსამართლობა!

**— ადამიანმა დანაშაული შეიძლება, ისე ჩაიდინოს, რომ დოკუმენტს ხელი არ მოაწეროს, თან თავდაპირველად დაკითხვაზე ბატიაშვილიც დაიბარეს...**

— გეთანხმებით, მაგრამ მოსამართლე რომ ხარ, შე მამაცხონებულო, ხომ უნდა მიხვდე, რომ ის ადამიანი, ვისი ხელმოწერითაც ფულის გადარიცხვა მოხდა, პასუხისგებაში არაა მიცემული და არ უნდა იკითხო, რა ხდება?

**— ამ, როგორც თქვენ ამბობთ, უსამართლობაზე პასუხისმგებელი ვინაა?**

— რა თქმა უნდა, — პროკურატურა.

**— ფიქრობთ, რომ უსამართლობას პროკურატურა ავტონომიურ რეჟიმში აკანონებს?**

— შეიძლება, ყველაფერი არაპროფესიონალიზმის ბრალია, თუმცა მიზანმიმართულ ქმედებასაც არ გამოვრიცხავ.

**— ჰოდა, მაგას გეკითხებით: ამ მიზანმიმართულობის ავტორი პროკურატურაა?**

— ალბათ, უფრო, პოლიტიკური ხელმძღვანელობა...

**— ბატონო კონსტანტინე, როგორც უსაფრთხოების ექსპერტი, როგორ ფიქრობთ, გამოძიების დასრულებამდე, ამ ადამიანების თავისუფლებაზე ყოფნა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის რისკის შემცველია?**

— არა! ვიმეორებ: თავის დროზე ზოგიერთი დაკავებულის თავდაცვის სამინისტროში მუშაობის დაწყების წინააღმდეგი ვიყავი, რადგან მათი კავშირების შესახებაც ვიცი, მაგრამ ვაცხადებ: დღეს ამ ადამიანების ციხიდან გამოშვება საფრთხეს არც ქვეყანას უქმნის და, მით უმეტეს, არც — გამოძიებას!

**— რა კავშირებს გულისხმობთ?**

— მაგალითად, მინისტრის ყოფილი მოადგილე, ლექსო ბატიაშვილი და ერთ-ერთი დაკავებული, ნუკრი კაიშაური ერთმანეთს დიდი ხანია, იცნობენ.

**— საქართველო პატარა ქვეყანაა — ყველა ყველას იცნობს და ეს არაფერს ნიშნავს...**

— ვიცი... კაიშაურს ადრე შეხება „სილქნეტთანაც“ ჰქონდა, მაგრამ აქ იმაზე კი არაა ლაპარაკი, რომ გამოძიება არ ჩატარდეს. საქმეში სახელმწიფო თანხა ფიგურირებს და, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა გაირკვეს, ეს თანხა გაიფლანგა თუ არა, მაგრამ ჯერ ერთი, ჩანს, რომ პროკურატურას ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს, მეორეც, ამის დასადგენად აუცილებელი არაა, ადამიანები ციხეში იყვნენ.

**— ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას ირაკლი ალასანიას თანაგუნდელმა, ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა, ალექსი პეტრიაშვილმა „დელტაკომი“ და ვინმე კოტარია ახსენა...**

— კოტარია ვინმე არაა.

**— აბა, ვინაა?**

— ზურაბ კოტარია ძალიან საინტერესო ფიგურაა.

**— რა ნიშნით?**

— „ნაციონალები“, ხელისუფლებაში მოვიდნენ თუ არა, ე.წ. „ოტო“-ს — ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელად სწორედ კოტარია მოიყვანეს.

**— მოსმენებს „ოტო“ ანხორციელებს, არა?**

— „ოტო“ მხოლოდ მოსმენებს კი არ ანხორციელებს, არამედ, გარე მეთვალყურეობასაც აწარმოებს, ანუ მამხილებელ მასალებს აგროვებს. როგორც ვიცი, კოტარია ამ სამსახურში ადეიშვილმა მოიყვანა.

**— საიდან?**

— მაშინ სტუდენტი იყო. ალბათ, „კმარელებთან“ ახლობლობდა... ასე შეიქმნა 28 ათასი ფაილი...

**— ესე იგი, „ოცნებას“, მინიმუმ, კოტარიას პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაეყენებინა?**

— აბა, რა უნდა ექნა?

**— კოტარია „ოტო“-დან როდის გაუშვეს?**

— ვანო მერაბიშვილი პრემიერად რომ გადაიყვანეს, ბაჩო ახალაიას შს მინისტრობის დროსაც, როგორც ვიცი, ცოტა ხანს კიდევ იმუშავა...

**— „დელტა კომი“ რა არის?**

— „დელტა კომი“ ისეთივე კომპანიაა, როგორიც, მაგალითად, „სილქნეტი“ და „კავკასუსია“...

მოკლედ, ბევრი შეკითხვაა. ვთქვათ, კო-

გაგრძელება მე-4 გვ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## სკანდალური ექსკლუზივი

მე-3 გვერდიდან

ტარიას მოსასმენი აპარატურის გაქრობასთან რამე კავშირი ხომ არ აქვს?

**– გამორიცხავთ, რომ კოტარიამ ახალ ხელისუფლებასთან ითანამშრომლა და ის ყბადაღებული 28 ათასი ფაილი „ოცნებას“ სწორედ მან გადასცა?**

– შესაძლებელია... კარგად გამიგეთ, 8 წელი „ოტო“-ს უფროსი რომ ვყოფილიყავი და ამდენი ფაილი გამეკეთებინა, დღეს ასე ვინ დამსვამდა?

**– „ოცნებას“ მამხილებელი მასალები რისთვის უნდა?**

– მე რა ვიცი? ეს „ოცნებას“ ჰკითხეთ...

საინტერესოა, იმ კომისიამ, ფარულ ჩანაწერებზე რომ მუშაობდა, ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი რატომ არ დასვა? რა, ეს 28 ათასი ფაილი თავისით შეიქმნა?

**– მოკლედ, კოტე ბატონო, თქვენი ლოგიკით, ასეთი ჯაჭვი იკვრება: მოსამართლე კოპალიანი, რომელსაც ბურჯანაძე-ბიწაძის „ბეგრაუნდი“ აქვს და კოტარია, რომელიც „ნაცფაილების მამაა“... ჯაჭვის ბოლო სად მიდის?**

– არ ვიცი... მე, უბრალოდ, შეკითხვებს ვსვამ...

**– მაპატიეთ და, ექსპერტმა მხოლოდ შეკითხვები არ უნდა დასვას...**

– სპეციალისტი ვარ – ვიცი, რომ „ოტო“-ს გარეშე ფარული მიყურადება თუ მოსმენა შეუძლებელია და ყველაფერ ამაზე, მინისტრთან ერთად, პასუხისმგებლობა სწორედ ამ სამსახურის უფროსს ეკისრება. სწორედ ამიტომაც ვკითხულობ, თუ რატომ არ დადგა კოტარიას პასუხისმგებლობის საკითხი!

**– კარგი, შეკითხვას სხვანაირად დავსვამ: ვის აწყობს ალასანიას მოცილება?**

– ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობენ, ანუ გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს იმედი აქვთ, რომ პროდასავლური იდეების კომპრომეტირებით, ხელისუფლებაში მოსვლას მოახერხებენ, მაგრამ ეს არ მოხდება!

**– „პროდასავლურ იდეებთან მებრძოლ პოლიტიკურ ჯგუფებში“ კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

– ბურჯანაძესა და „ქართული ოცნების“ გარკვეულ ნაწილს.

**– მაინც, რომელ ნაწილს?**

– იმ ნაწილს, რომელსაც ქალბატონ ბურჯანაძესთან კარგი ურთიერთობა აქვს.

**– ისე, ნოდარ ხადური „ოცნებაში“ და, შესაბამისად, ფინანსთა მინისტრად პირდაპირ „დემოკრატიული მოძრაობიდან“ მოვიდა...**

– ხადურის გარდა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში სხვებიც არიან, ვისაც ბურჯანაძესთან წლების ურთიერთობა აკავშირებთ...

ერთხელ ვთქვი და ახლაც იმ აზრზე ვარ: ირაკლი ალასანიას ოპოზიციაში გადასვლა დროული იყო, რადგან ჩვენს პოლიტიკაში არსებული თავისუფალი ველის დაკავებას რუსული სეგმენტი ცდილობდა. ყველაფერი ისე რომ არ მომხდარიყო, როგორც მოხდა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სამი ძირითადი მოთამაშე იქნებოდა: რეიტინგდაკარგული „ქართული ოცნება“, „ნაცმოძრაობა“, რომლის რეანიმაცია-რეინკარნაცია დიდი ხანი ვერ მოხდება და რუსული ორბიტა. ამ ფონზე, ხელისუფლებისკენ გზა სწორედ რუსულ სეგმენტს ეხსნებოდა. არ ვიცი, ალასანიამ ყველაფერი ეს გათვალა თუ ვინმემ უკარნახა, მაგრამ მან ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო!

**– რაკილა ქართულ პოლიტიკაში რუსულ ინტერესებზე ვსაუბრობთ, ბარემ, „როსნეფტის“ მიერ ფოთის პორტის აქციების შესყიდვასაც შევეხოთ. ამით ალასანიას ეჭვი, რომ ქვეყნის პროდასავლური კურსი საფრთხეშია, გამყარდა?**

– რა თქმა უნდა...

**– ხელისუფლება ამბობს, რომ ფოთის პორტის აქციების გასხვისებაში ვერ ჩაერეოდა...**

– ეს გასაგებია, მაგრამ ფოთის პორტში გარკვეული ინტერესები თავის დროზე დავით კეზერაშვილსაც ჰქონდა. მერე, აქციები რუს ბიზნესმენს მიჰყიდა...



**– თუ იაკობაშვილს გულისხმობთ, ის რუსი კი არა, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენია.**

– იაკობაშვილი ჩემთვის რუსი ოლიგარქია! მაგის დედა ვატირე, საავაშვილი ივანიშვილზე დღეს რომ გაიძახის, რუსი ოლიგარქიო, როცა „ნაცმოძრაობას“ აფინანსებდა, მაშინ რუსი ოლიგარქი არ იყო?

**– „ნაციონალები“ თავს იმართლებენ, ქართული საქმეებისთვის ვიყენებდითო...**

– შენი ჭირიმე, ასე არ ხდება! როცა გჭირდება, იყენებ და როცა აღარ გჭირდება, რუსი ოლიგარქია?

რუსეთი მაინცდამაინც ტანკით კი არ უნდა მოგვადგეს. ეკონომიკური ექსპანსია უფრი საშიშია. რატომ მაინცდამაინც ფოთის პორტი? – იმიტომ, რომ იქ ამერიკელებს დიდი ინტერესი აქვთ და რუსეთი ცდილობს, დაასწროს და ამაში ქართული წარმომავლობის ბიზნესმენებს იყენებს, ანუ იაკობაშვილი შეიძლება, შირმა იყო და ფოთის პორტში თავიდანვე რუსული სახელმწიფო კაპიტალი ჩაიდო. სხვათა შორის, წინა ინტერვიუებში იმაზეც ვისაუბრეთ, „ნაციონალების“ დროს თუ როგორ აღმოჩნდა არაერთი სტრატეგიული ობიექტი რუსების ხელში, ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება, რაც საშიშია! ვამტკიცებ, რომ „ნაციონალები“ რუსული ინტერესების გამტარებლები იყვნენ!

**– ბატონო კოტე, თუკი „ნაციონალები“ რუსულ ინტერესებს ატარებდნენ, აბა, დღეს რატომ გვეშინია, რომ „ოცნება“ ევრაზიულ, ანუ მოდელირებულ საბჭოთა კავშირში შეგვიყვანს?**

– რუსული ჩექმის ქვეშ ცხოვრება არც ადრე მინდოდა და არც ახლა მინდა! საქართველოს დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება დასავლეთთან ურთიერთობებზე გადის!

**– სხვათა შორის, ჩვენი მეზობელი სომხეთი „ევრაზიული კავშირის“ წევრი უკვე ოფიციალურად გახდა...**

– ჰოდა, რუსეთი ეკონომიკურ მარწუხებს ახლა ჩვენ მოგვიჭერს...

**– რუსეთს ეკონომიკა აღარ აქვს და რაღა მარწუხები უნდა მოგვიჭიროს?**

– ჩვენი მთავარი ეკონომიკური პარტნიორი მაინც რუსეთია...

**– ვიცი, მაგრამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება უკვე რატიფიცირებულია...**

– რატიფიცირება ევროპის 500 მილიონიან ბაზარს უცებ ვერ გაგვიხსნის და ეს კრემლშიც კარგად იციან...

**– მსოფლიო ანტირუსულ პროპაგანდაში ფულს ოფიციალურად დებს. საზოგადოება „ივერია“ კი, მთავარ პროკურატურას საქართველოში რუსული არხების აკრძალვის მოთხოვნით მიმართავს. ეს პრევენციაა?**

– დიახ, გარკვეულწილად, პრევენციაა.

**– ამას წინათ, ირაკლი ალასანია გამოვიდა ინიციატივით, რომ უშიშროებაში სპეციალური განყოფილება შეიქმნას, რომელიც მედიაში ფულის წარმომავლობას გააკონტროლებს...**

– მედიას საზოგადოებაზე უდიდესი ზეგავლენა აქვს – პოლიტიკურ ამინდს ქმნის და მედიაში რუსეთიდან შემოსული ფული სახელმწიფო უსაფრთხოებას, რა თქმა უნდა, საფრთხის ქვეშ აყენებს. მტრულად განწყობილი ქვეყანა თავისი მიზნების განხორციელებას, როგორც წესი, მედიიდან იწყებს ხოლმე. ისე, არსებობის უფლება ყველა მედიასაშუალებას აქვს, მაგრამ თუკი მედია მიზანმიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობას, მაგალითად, სახელმწიფოს, ან დასავლეთის პოლიტიკის წინააღმდეგ დაიწყებს, ეს უკვე მტრული განზრახვა იქნება. ალასანიაც სწორედ ამას გულისხმობდა და მისი ინიციატივა, რასაკვირველია, ანტიდემოკრატიული არაა!

**– ბატონო კონსტანტინე, არ ვიცი, ამ თემაზე ღიად ლაპარაკი გინდათ თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ ბოლო დროს „რუსაპეტებისგან“ გარკვეულ შეთავაზებებს იღებთ. ეს გადაბირების მცდელობაა?**

– რა თქმა უნდა.

**– მაინც, რას გთავაზობენ?**

– ძირითადად, სამსახურს, თან ისეთი ხალხი გამოჩნდა, რომელთანაც წლებია, ურთიერთობა არ მქონია და ზუსტად ვიცი, ვისთანაც ასოცირდება. ყველაფერი ეს მიზნად გაკონტროლებას ისახავს, ანუ უნდათ, რომ მარწუხებში მომაქციონ...

**– სხვათა შორის, ვიღაცებმა რედაქციასაც შემოუთვალეს, რუსეთის ოკუპაციაზე ამდენი წერა რა საჭიროა... რა ამის პასუხია და, იცით, ვინ არის გიორგი ბრწყინვალე, რომელზეც ბოლო დროს აქცენტი კეთდება?**

– ესეც პროპაგანდის ნაწილია და ვიცი, ეს გიორგი ბრწყინვალე ვინც არის!

**– პროდასავლელია?**

– არა!..

...მოდით, ასე ვთქვათ: „კაბელების საქმეს“ დადებითი როლი შეასრულა, ანუ პოლიტიკურ ველში არაკორუმპირებული ძალა გააჩინა და ამით პოლიტიკური სპექტრის პოლარიზაცია მოხდა, თუმცა ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა...

**– წეღან, პირად საუბარში, სამხედრო პოლიციის ახალი უფროსი, ლევან გაბუნია ახსენეთ. რატომ?**

– ესეც „ნაციონალების“ ყოფილი კადრია – „მასტერას“ მარჯვენა ხელი იყო... ერთი კარგი ის მოხდა, რომ სამხედრო პოლიციის უფროსობიდან ცუხიშვილი გაათავისუფლეს, რომლის შესახებაც თავის დროზე ვიკითხე, თუ რატომ ნიშნავდნენ რუსულ კადრებს მაღალ თანამდებობაზე. სხვათა შორის, ცუხიშვილი გენშტაბის უფროსმა თანაშემწედ წაიყვანა და ეს ნაბიჯი მის პოლიტიკურ ორიენტაციაზე მიანიშნებს... მოკლედ, გაბუნიაზეც ბევრი შეკითხვა არსებობს და ყველა საკადრო დანიშვნაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. დავიჯერო, ისეთ კადრებს ვერ პოულობენ, რომლებსაც განათლება დასავლეთში აქვთ მიღებული? არ მინდა, ის პიროვნებები და პირთა ჯგუფები დავასახელო, რომლებსაც რუსულ სპეცსამსახურებთან გარკვეული შეხება ჰქონდათ და დღევანდელ ხელისუფლებაშიც თავს კარგად გრძნობენ. ამის შესახებ მხოლოდ მე კი არა, სხვებმაც იციან – ამ თემებზე მარტო არ ვმუშაობდი. დღეს ხმამაღლა მე ვლაპარაკობ, თორემ მალე სხვებიც ალაპარაკდებიან. მოკლედ, ხელისუფლებამ საკადრო საკითხებს თუ არ მიხედა, არ მგონია, ის რეიტინგი მაინც შეინარჩუნოს, რომელიც დღეს აქვს!

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

(თემის გაგრძელება იქნება)

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

7 – 13 იანვარი 2015

№ 1 (265)



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

პოეზია

# წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი

# გალობანი სინანულისანი

### უგალობდითსა

**1.** რომლისაცა წინაშე
ქედ-დადრეკილ არს ყოველი,
მუჴლი ყოველი მოდრკების და ენაჲ ყოველი
შენსა
ჴმობს აღსარებასა,
მეცა, სიტყუაო,
აღმსარებელსა მომხედენ!

**2.** ხატსა თჳსსა მამსგავსე
და საკრველად გრძნობადისა
და გონიერისა მყოფობისად დამაწესე
შენებრ
არსთა სიტყუებისა
ჩემ შორისცა შეკრებითა,
ხოლო მე უმადლო გექმენ.

**3.** ბუნებითი რაჲ ძალნი
არა სჯულთაებრ ვიჴუმიენ
მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი,
ხოლო
ხილულთა-მიერსა
გემოვნებასა
ვრცელად განუხუენ გრძნობანი.

**4.** ქალწულო, ბრალეულთა
თავმსდებო, რომელმან სიტყუაჲ
განაზრქე ჴორცითა და კარვითა მიწისაჲთა,
სიზრქე
უსასოებისაჲ
განმძარცუე, რაჲთა
მონანული შეგივრდე შენ!

### განძლიერდითსა

**1.** ბუნებითსა რაჲ პორფირსა
თჳთმფლობელობასა თანა
მეფობისაცა შარავანდნი
მარწმუნენ, ხოლო
მე ვნებათა ბილწთა
მონად მივჰყიდე თავი,
რამეთუ „რომლისაგანცა ვინ
ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ.“

**2.** კაენის მკვლელებრი ცნობაჲ,
სეითის ძეთა ლირწებაჲ,
გმირთა სიღოდით მავალობაჲ
ხუთ ქალაქელთა შეგინებისა მწჳრე –
უფროჲს ვამრავალწილე,
ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან
მდინარემან უკეთურებისამან.

**3.** მეგჳპტური გულმძიმობაჲ,
ქანანელთა ჩუეულებანი,
მსხუერპლვაჲ ნაგებთაჲ, ზმნაჲ და სახრვაჲ,
კოწოლი თმათაჲ
და სხუანი, რომელთაჲ
შენ ჰბრძანე არა-მსგავსებაჲ,
უწარმდებესად მოვიგენ
თჳთ მათ პირმშოთა სახეთასაცა.

**4.** ამისთჳს იყო ქალწული
და ჴორც-ქმნაჲ სიტყჳსაჲ, რაჲთა
დედობრივთა ოხათა მიერ
ცხოვნდნენ ცოდვილნი,
რომელთა პირველი,
საშუალი და დასასრული,
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,
შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ!

### მესმასა

**1.** ისრაელისა მეფეთა
ვჰბაძევდ, გარნა უსჯულოთა
და რავდენ მეძლო, ვსცდებოდე
მაღალთა ზედა
კუმევისა, და წარმართთა აღრევისა მიერ,
და ძალთა ცისათა თაყუანისცემისა.

**2.** ზენაჲს მოძრაობისა
ასურასტანული ზმნობაჲ,
და ცთომილთა ვარსკულავთა
და უცთომელთა
კრებაჲ და განყრაჲ, სუჱ და ბედი და შობის დღე,
ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ.

**3.** ელლინთა მიერ ვერ ცნობაჲ
სიბრძნითა ღმრთისაჲთა ღმრთისაჲ
და შემოქმედისაგან
შექმნილთა მიმართ
ცვალებაჲ თაყუანისცემისაჲ სრულ-ვყავ, რაჟამს
თითოეულსა ვნებისა კერპსა ვჰმსახურე.

**4.** ამისთჳს ღმერთ-მამაკაცებრ
მოქმედ იქმნა ზეშთა ღმერთთაჲ,
რაჲთა კაცებრ უწყოდნის
ვნებანი ჩუენნი
და ღმრთეებრ იჴსნიდეს ბრალთაგან, რომელთა
ღმრთისმშობელად ქადაგონ ქალწული დედაჲ!

### ღამითგანსა

**1.** შჯულნი დავთრგუნენ
წიგნისა[ნი] და ახალი ბუნებითურთ,
და შჯულისა შენისა მოწამე, შჯული
გონებისაჲ, ცოდვისა
და ჴორცთა შჯულსა დავამონე.

**2.** თითოეულთა
მჴეცთაგან შეზავებულსა მჴეცსა ვემსგავსე,
მრავალ-გუარსა და მრავალ-ხატსა და სხუა ჟამ სხუებრ
ხილულსა და მკსენარსა
ბუნებისაებრ თითოეულისა.

**3.** არა შევძრწუნდი
მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი
შურსა სიკუდილისასა მიჰჴდის, რომელნი ჩემებრ
მიდმემად ცრუდ ფიცვიდენ
განსაკრთომელსა სახელსა შენსა.

**4.** ამისთჳს სისხლთა
ქალწულებრივითგან ჴორცნი ღმრთისანი
და ახალი შეზავებაჲ, ღმერთი და კაცი,
რაჲთა იოხდეს დედაჲ
ჩემებრ განწირვით უსასო-ქმნილთა!

### ღაღადყავსა

**1.** სოლომონისაჲსა
წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი
სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად
და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ,
ვითარცა მცირეთა და უნდოთა
ჩემისამდე უძღებებისა და გულისთქუმისა.

**2.** ბოროტად გარდავჰჴედ
საზღვართა და შევჰრთე სახლი სახლსა,
და აგარაკი აგარაკსა, და უუძლურესთა
მივჰხუეჭე ნაწილი მათი,
და ვიღუწიდ უმეზობლობასა,
ვითარცა მარტოჲ ვმკჳდრობდი ქუეყანასა ზედა.

**3.** მბრძოლ ვექმენ ყოველთა
წესთა სჯულისა შენისათა
და ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა,
და სახეთა მიერ ბოროტთა
მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი,
ვითარცა მეფეთა მისთა – ისრაელი.

**4.** ამისთჳს ქალწული
დედაჲ და შობაჲ ახალი
სიტყჳსაჲ, რაჲთა ახალი ხატყოფაჲ მეორედ მისცეს
ცოდვით განრყუნელთა მისთა,
დედობრივთა რაჲ ოხათა ბრძმედითა
დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაჲ!

### კურთხეულ არსა

**1.** ვეცხლი, ვითარცა
მიწაჲ და ოქროჲ, ვითარ თიჴაჲ უბნისაჲ ვიუნჯენ,
თაყუანის-ვეც ანგაჰრებისა მამონას
ვითარ-იგი ძუელთა მათ –
ბაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა.

**2.** სიტყუაჲ წმიდაჲ და
ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო
მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე,
და შემასმენელთანი
დავიტკბენ მზრახვანი
და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი.

**3.** ცრემლნი ქურივთანი
და ობოლთა ბრგუნვილი ტირილი არ შევიწყალე,
არა განუხუენ ნაწლევნი მოქენეთა,
უფროჲსღა, შენ, ქრისტეს,
რომელი იზრდები
მცირედითა ზრდითა მათითა.

**4.** ამისთჳს შობაჲ
ღმრთისაჲ ადამიანისაგან დედაკაცისა,
რაჲთა მიწით შობილთა კაცთა ცთომასა,
ვითარცა ღმრთისა დედაჲ
დაჰჴსნიდეს ქალწული
და იოხდეს ცოდვილთა!

### აკურთხევდითსა

**1.** ესენი ვცოდენ, სახარებისა სჯულთა
და მცნებათა შენთა შინა
მცემელთა რაჲ ყურმილისა მიპყრობასა
და გლახაკთათჳს განშიშულებასა,
და რაჲთურთით არა ფიცსა
შენ, სჯულის-მდებელი ჩემი, ჰბრძანდები
და გულისთქუმით მიმხედველობასა
განსრულებად მრუშებად დასდები.



**2.** დაღათუ ესრეთ განვხრწენ ყოველნი გრძნობანი
და ყოვლად ხრწნილება ვიქმენ,
გარნა არავე აღვიხუენ ჴელნი,
არცა დავდე სასოებაჲ ჩემი
ღმრთისა მიმართ უცხოჲსა, არცა
უცხო-თესლი რაჲმე სარწმუნოებაჲ
საწურთელ ვყავ სულისა, გარეშე მისსა,
რომელი მასწავეს ღმრთისმეტყუელთა შენთა!

**3.** და აწ, მომდრეკელი მუჴლთა გულისათაჲ
ვჴმობ, ვითარცა სხუაჲ მანასე,
მილხინე, ჵ მეუფეო, მილხინე
და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა,
და ნუ იჴსენებ ძჳრთა ჩემთა,
და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ,
ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან!

**4.** საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ,
უხრწნელო ქალწულო, და გურწამს, ვითარმედ
პატივი ხატისა შენისაჲ შენდამო
წიაღმოვალს, ღმრთისმეტყველებრ,
და ცოდვილთა მოქცევასა
ანიშებ მის მიერ, ვითარცა ცხად-ჰყოფს,
თეატროჲ იგი მრჩობლთა სოფელთაჲ,
სიკეთე ეგჳპტისაჲ, ღირსი მარიამ!

### ადიდებდითსა

**1.** ჟამი რაჲ წულილთა და ჴმელთა აღმოფშჳნვათაჲ
წარმოდგეს, ზარი მეფობისაჲ წარჴდეს და დიდებაჲ
დაშრტეს,
შუებაჲ უქმ იქმნნენ,
ყუავილოვნებაჲ დაჭნეს,
სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ,
სხუასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

**2.** გან-რაჲ-ეღოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა
და მე ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვაჲ ქროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

**3.** ვანაჲთგან აღსარებით გრძნობად და შეკრებად იწყო
ძუალი ძუალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა,
და განჴმელთა მოჰბერა
სული კუალად – შობისაჲ,
მწრამს, ვითარმედ აღვსებაჲ
სრულ-ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისაჲ!

**4.** მარტიო, სრულო, სამ-მზეო, ერთ ცისკროვნებაო,
განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაჲთა
გიხილო ნათელი
ნათლითა უფლისაჲთა,
სულითა ღმრთისაჲთა,
გამოგჳბრწყინვო მაშინ
დაუსრულებელთა საუკუნეთა!

**5.** არაჲ უხილავს მზესა ქალწული დედაჲ თჳნიერ შენსა,
არცა ჩემოდენ ბრალეულსა – ნათელი მისი,
გარნა მე შენითა
ოხითა, დედოფალო,
ვესავ ხილვად ნათელსა
ძისა შენისასა
და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა!

№ 1 (265)
7 - 13 იანვარი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

პროზა



# საახალწლოდ

## ილია ჭავჭავაძე

ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარიან იესო ქრისტეს შობის დღე. გვესმის, ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველწლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარასათვის.

ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მსხნელის სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშინისმცემელი უძლურისა და უღონოსი, დავრდომილთა აღმადგენელი, სნეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შეშინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა. „ვით მამა ზეცის, იყავ შენცა სრულიო“, უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არს აღსვლად ღვთაების სისრულემდე. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვსს სიტყვაში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში... იღვაწე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიახწიოო. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა ადამიანს არ გაეგონა და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველწლივ იესო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითოეულის გული მოწყალებისათვის და მადლისათვის სძგერს.

ხოლო არ გვესმის, რა მიზეზით ამასთანავე, თუ არ მეტის, სიხარულით ვეგებებით ხოლმე პირველ დღეს ახალი წლისას. აი ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა, თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგვიცვნია. წასვლა ძველისა თავის-თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლელი უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვეული ჭირი იყო და შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითოეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას სამოცდა ხუთი დღე და სამას სამოცდა ხუთი დღით ახლო მიუვედით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო... ხუმრობაა, მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტი საათიანივე ღამე... წავიდა და დაიღუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია. დროთა ბრუნვამ რომ ეს ამოდენა ღალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესინა, რა მოგვამკევინა, რა დაგვამუნათა? რომ გვეთქმოდეს - ბევრი არაფერიო, ცოტა მაინც საგულვებელი გვექნებოდა. საქმე ის არის, რომ სულ არაფერი მოუცია, და ეს რა ნუგეშია. მიდიან დღენი, მიდიან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელცარიელნი, როგორც ვყოფილვართ, და ვიძახით: სად წავიდეთ, ვის შევჩივლოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახშულ კარებს ბედისას?

ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშიერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგეშა, რომ პარასკევიაო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურების კარის დახურვას და შიგნიდან ჩაკეტას მაინც ვღირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობებინა ძველს წელიწადს, კიდევ ღმერთს მადლობას ვეტყოდით და არ დავინანებდით ამისთვის იმ ძვირფას საფასურის გაცემას, რომელსაც დღენი სიცოცხლისანი ჰქვიან, და რომელიც მით უფრო ძნელი გასამეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიდის და აღარ ბრუნდება უკან. სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსული დღენი-კი აღარა. ვაი ფუჭად განვლილს სამას სამოცდა ხუთს დღეს და ღამეს. ჩვენს სიცოცხლეს ეს ამოდენა ხანი მოაკლდა და ერთის ბეწვის ოდენაც-კი არა შეგვმატნია რა. უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდეს კი, რომ ესე უგემურად, ურგებად დღენი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვას და სამძიმარს, ვიდრე მხიარულებასა და მილოცვ-მოლოცვას.

სინანულიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩაგვაგდო და ნამუსი და სინდისი თავისის უტყუარის სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად. განკითხვა თავისის თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახვებდა ჩვენის უბედურებისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასვლისას და ახალის მოსვლისას ქარსავე გაატანდა, მაგრამ სად არის. სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“, მაშინ, დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს.

რაღა საკვირველია, რომ ჩვენ, ძველის წელიწადისაგან გულგატეხილნი და ასე უნუგეშოდ დარჩენილნი, ახალ წელიწადს რაღაც იმედით ვებღაუჭებით, რაღაც სიხარულით შევნატრით. მეტი რა გზაა, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ჩვენც ასე მოგვდის. ხოლო საკითხი ეს არის: ეს კარზე მოსული ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი ნესვია და რა საბუთია, რომ შევხარით. ქრისტეს აქეთ სრული ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი წელიწადი გასთენებია ადამიანს საერთოდ და ჩვენ, ქართველებს ცალკე და ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტჯერ სიხარულით და მილოცვით მივგეგებივართ და ამდენჯერვე მოვტყუებულვართ, იმედი და სიხარული გაგვცრუებია და ათას რვაას ოთხმოცდამეცხრამეტე წელიწადისაგან რაღას უნდა მოველოდეთ, ჩვენ, ქართველები მაინც.

მართალია, დღევანდელის დღის გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა. რაკი ასეა, მაშ დედა ვუნახოთ, მამა ვუნახოთ და შვილი ისე გამოვნახოთ, ქართულის ანდაზისამებრ, და მაშინ დავინახავთ, — რა წითელი კოჭი უნდა ბრძანდებოდეს ჩვენთვის ეს ახლად შობილი ახალი წელიწადი, რომლის მზე და მთვარე, ნათელი და ბნელი პირველ შეხედვით თვალით არა სჩანს, აბა ერთი გვიბრძანეთ, — რა მოვუხანით, რა მოვუთესეთ, რომ რა მოგვამკევინოს.

„ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობსო“, ნათქვამია, და უხეირო, უსაქმურ წელიწადისაგან ნაშობი რა ხეირს მოგვიტანს. განა ამისთანა წელიწადი ერთი და ორია!.. ეს რამდენი დრო და ჟამია, რაც ჩვენ ვიძახით: „წახდნენ ყოველნი ჩვენთვისა, რაიც გვქონდა ქონებანიო“. ვინ არის ამის მიზეზი? არავინ, ჩვენს მეტი, და ამის მაგიერ, რომ ყოველმა ახალმა წელიწადმა ჩვენს თავზე მიგვახედოს, დაგვიჟინია „შემოვდგით ფეხი და გწყალობდეთ ღმერთიო“ და გვგონია, რომ რაკი ეს ვთქვით, ციდან მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდება. ის-კი აღარ გვახსოვს, რომ ღმერთი მარტო გამრჯელის მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს. დღენი დღესა სცვლიან, წელიწადნი წელიწადს და ჩვენი თავი კი ისევ ისე წყალს მიაქვს, ანდაზისა არ იყოს, — ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო. გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს. მაშ რა მოუვა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა.

„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი ფეხის გადადგმაღაა სიკვდილამდე. და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ესეა, აბა ეხლა თარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნია-რა. ამაზე უკეთესი სანატრელი ვეღარა გვიპოვია-რა. ნატვრის უნარიც კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რა გზაა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ლონე ლონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და განძლიერდი“ — აი, ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
7 – 13 იანვარი 2015
№ 1 (265)
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა


„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## ახალი ლექსები

### გურამ ჭაჭანიძე

**დეკემბერია**

დეკემბერია ნამდვილი,
ხეებს დასცვივდა ფოთლები,
რას ქაქანებენ ამ დილით
სკვერში უბნელი ლოთები.
ეს ჩვენი ქუჩის მხვეტავი,
რა მოხდენილი ქალია...
თუ გაეხუმრნენ, ნეტავი,
აბა, სხვა რა უხარიათ.
დეკემბერია თბილისში,
ქარს მიჰყვებიან ფოთლები,
რას ქირქილებენ, ვინ იცის,
სკვერში უბნელი ლოთები.

**თოვდა**

თოვდა ისე მეფურად,
ისე ჩამობარდნილა,
გათოშილი ბეღურა
ხიდან ჩამოვარდნილა.
თანაც ისე დათოვა,
გაქრა ნაფეხურები,
აღარც ჩვენი დატოვა,
აღარც — ნაბეღურები.
წელს უშენოდ მათოვს და
თვალი დამენამება,
ერთად როცა გვათოვდა,
ის დრო დამენანება.
თოვს და კიდევ ითოვებს,
ციდან ფიფქი რამდენი,
მწარე ფიქრებს მიტოვებს,
ფიფქი ცრემლის დამდენი.
წელსაც წინანდებურად,
უხვად ჩამობარდნილა,
არ ჩანს ხეზე ბეღურა,
ალბათ, ჩამოვარდნილა.
თანაც ისე დათოვა,
გაქრა ნაფეხურები,
აღარც ჩემი დატოვა,
აღარც — ნაბეღურები!

**უშენოდ**

ახლა ვის ვანდო შენთვის სათქმელი,
ან ვინ გამიგებს შენზე ძალიან,
ჩამოიღვენთა ყველა სანთელი,
ყველა ოცნებამ სული დალია.
თითქოს დადუმდა მთელი სოფელი,
როგორც წყვდიადში უმთვარო ღამით,
სადღაც ხარხარებს მეფისტოფელი
და ყველაფერი თავდება ამით.

**ამოძახილი**

ნეტავი, სულაც არ მეოცნება,
დარდი გულიდან აღარ გადამდის,
როგორ გაცუდდა ყველა ოცნება,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდის!
ვაგლახ, ვერა და ვერ ვიდავითეთ,
ვინ იცის, კიდევ რა მოგვენატროს,
იქნებ, ენგურსაც ვერ გადავიდეთ,
ვერ დავაქუხოთ ლილე ვერასდროს.
ასე უვლიათ განა, წინაპრებს?
ცას შეჰღაღადებს სული ათასთა,
ვინ იცის, იქნებ, იმათ ვინატრებთ,
რომელთა ღვაწლი არც კი დაფასდა.
როგორ მინდოდა, რომ დამეფიცა,
სისხლი, რომელიც გულზე გადამდის,
სამშობლო, ლამის მითად რომ იქცა,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდის!

**ელეგიური**

ავკაცობას არ ჰქონია ზღვარი,
ნუთუ, ღმერთო, შენ ვერაფერს ხედავ,
ისევ სისხლი, ისევ ცრემლის ღვარი,
რა ცოდვა გვჭირს ცოდვის მიღმა, ნეტა.
რატომ გლოვის არ გუგუნებს ზარი,
ქარიშხლებიც რატომ დუმან, ნეტა,
მხოლოდ მტკვარი, ცრემლით სავსე
მტკვარი,
ისე მოთქვამს, ვით შვილმკვდარი დედა.

**როცა ამდენი...**

როცა ამდენი მათხოვარია,
მიუსაფარი და მშიერია,
როცა ამდენი ცრემლის ღვარია,
ნუთუ, „ცხოვრება მშვენიერია“?

•

თუ ქვეყანა აგვევსება
თურქებით და არაბებით,
მალე თვალიც დაგვევსება,
ველარც ვივლით გალაღებით.

**საყდრისის გამო**

ამას ჰქვია ქვეყნის წინსვლა?
ამას ჰქვია შენება?
რაც დღეს ხდება, ამას ჰქვია
ერის გადაშენება!

•

ნუთუ, ძნელია იმის დანახვა,
იმის გაგება, რაც ჩვენთან ხდება?
ქართველო ხალხო, ბრმა ხომ არა ხარ,
ყრუ ხომ არა ხარ, რა გემართება?
რამ „დაგაჩმორა“, რამ დაგაკნინა,
აღარც ძალა გაქვს, აღარც — მორალი,
ეგ სისხლი მაინც რამ გაგიყინა,
„ნადიდგორალი, ნაშამქორალი“?

**თუ გწამთ ღმერთი**

ის დრო ჯობდა,
თუ გწამთ ღმერთი,
თავი გამოგვეყოფოდა,
საამაყოდ მარტო ერთი
ქართველობა გვეყოფოდა!
დღეს კი ისევ „ბედნი ერი“,
სიმწრისაგან მეცინება,
ისე წახდა ყველაფერი,
ქართველობა მერცხვინება!

**ვისაც დრო-ჟამი ვერ მოერია**

საქართველოში დღესაც ბევრია,
ვინც არ არიან ხსენების ღირსი,
მაგრამ ის ერი რაღა ერია,
თუ ვერ იგუა გენია თვისი.
სიბრიყვე სხვა კი არაფერია,
გავწიროთ შვილი დიდების ღირსი,
და „თუ დიდკაცი გამოგვერია“,
სულაც დავკორტნოთ სხეული მისი.
ვაი, რომ მართლაც, „ბედნი ერია“,
ვინც ვერ იგუა გენია თვისი,
ვისაც დრო-ჟამი ვერ მოერია,
ვინ მოიგონა სიკვდილი მისი?!

## ნათლობა

### გიორგი სისაური

**აღსრულებად ნება მისი**

**10** არის მცნება მცნებად ცოდვილ სულს რომ ეტანება,
**9** კი იყოს ღვთის სახიერ — ნათლად ის ცხრა ნეტარება,
**8** სიკვდილად არსად მისად, სიცოცხლისა დამთრგუნველად,
**7** მისსა სანუგეშოდ სული ზენა მათ მზრუნველად,
**6** არს იქ სხვა თვისება ჯოჯოხეთის მერვე შრეში,
**5** წუთიც ვერ ისვენებს ბნელი ეშმა ნათელ წრეში!
**4** სამად თუ სამებად, დღეს სამოთხე დამებედა!
**3** თვისი სახიერი, ვითა სამთა სამება და
**2** არსი ვით მშობელი ერთთა არსად ერთადერთი,
**1** იყოს აღსრულება! ერთი ნება! ერთი ღმერთი!

**საქართველო, რთველო, ველო!**

ზეციურო საქართველო,
ღვთის საქმესა იქმ, ქართველო,
ღვთიურ სასმისს იმკი, რთველო,
სამოთხისა დიდო ველო!
ოქროს ვარდთა მინდორ-ველო,
უფლის ხელით გასამკელო,
თეთრ ირემთა შვილთა შველო,
აბა, მითხარ: რა გიშველო?!
ამომხედე შენ, ქართველო,
მამულისა დიდო მცველო!
იქნებ, შენი საქართველო
რაიმე მხრივ ასახელო!
საქართველო, რთველო, ველო
ზეციურო საქართველო,
ღვთის საქმესა იქმ, ქართველო,
ღვთიურ სასმისს იმკი, რთველო,
სამოთხისა დიდო ველო!

**ცხოვრების ციფრი**

ვხედავ — ზეცაზე ფერი შვიდია...
და ეს გარემო სულ მთლად მშვიდია.
ვუსმენ, ვუყურებ — მუზა ექვსია...
არ გამაკვირვებს შენი ვერსია.
გიცდი, გელოდი — საათი ხუთია...
დაგემშვიდობე სულ ერთი წუთია.
ვხედავ ანგელოზს — ჩემს წინ ოთხია...
ჩემი სამშობლო ხომ სამოთხეა!
ვხედავ — ზეცაზე ღვთაება სამია...
ჩემი ცხოვრება მხოლოდ წამია...
ცხოვრების გზაზე „ის“ გზა ორია...
ვფიქრობ, შენამდე ძალზედ შორია.
დღეს ამ ცხოვრების არსი ერთია...
ჩემი გამგონი მხოლოდ ღმერთია!

•

ჩნდება სიცოცხლე, ჩნდება გრძნობები
და მას ლოცავენ მახარობლები!
ქრება ტკივილი, ქრება იარა,
ცხოვრების გზაზე თან რომ იარა.
გაჩნდა სიცოცხლე, გაჩნდა გრძნობები,
ისმის ზეციდან საგალობლები!
გაქრა სიტყვები, გაქრა ფიქრები,
მე, ანგელოზო, შენთან ვიქნები!
გაჩნდა ღვთიური, გაჩნდა ოცნება,
ნათელი სხივი და მოგონება,
გაქრა გოდება, გაქრა ვაება,
ბოროტ ეშმასაც ენა დაება!
ქრება ცრემლები, ქრება სიბნელე,
ზღვართა საზღვარი ცად გავიგრძელე,
ჩნდება სიცოცხლე, ჩნდება გრძნობები
და მას ლოცავენ ანგელოზები!

**უსახელო პოეტი**

სადღაც ჩუმად ისმის ბგერა ყოვლის სევდის მომცველი,
ვით ჩურჩული მგლოვიარე — დღეს ღამეა მლოცველი.
კვლავ მომესმის თვით ზეციდან ანგელოზთა სონეტი...
დღეს ვარ სული გარიყული — უსახელო პოეტი...
დავრჩი ნათელ ქალწულებში, ვით მათ პირმშო-მშობელი...
შენ ყოველთვის სიცოცხლის ჟამს სიკვდილპირას მტოვებდი,
რომ მოისმის სიბნელიდან დღეს ქვესკნელის სონეტი,
დავრჩი მარტოდ, ლანდგარეშე — უსახელო პოეტი...
ჩუმად... სადღაც ისმის ბგერა, კვლავ სევდაა მლოცველი,
სული — ღამის, მარტოსული არის ცრემლი მთხრობელი,
ცის ვარსკვლავთა კრთომის ფონზე მესმის მთვარის სონეტი...
ვხეტიალობ მარტოდ, ობლად — უსახელო პოეტი...
ეს სხვა სიტყვა, ეს სხვა ბგერა, სულში ძვრება ყოველი,
ვით ზმანებით შეპყრობილი, ანგელოზებს მოველი,
ცად ჩამესმის მე ის სიტყვა, ცის — სამოთხის სონეტი...
მე კვლავ აქ ვარ, უფლის გზაზე — უსახელო პოეტი...

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პრესბლოგი

# ნიცშედან მარგველაშვილამდე, ანუ 2015-დან დანახული 2014

**შევაბიჯეთ 2015-ში და, როგორც ჰოროსკოპი გვაუწყებს, ცხვრის წელი იქნება მშვიდობიანი, მართალი, შემოქმედი, გულწრფელი, მზრუნველი, გულუხვი და მოკრძალებული, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — მერყევი, ზედმეტად პასიური, პესიმისტური, უნებისყოფო და მომჩივანი. ასეთია მედლის ორივე მხარე და ჯერ, რა თქმა უნდა, მკაფიოდ არ ჩანს, „ცხვარი“ რომელი მხარით შემობრძანდა... „ცეცხლოვანმა რაშმა“, ანუ 2014-მა საქართველოს იმდენი პრობლემა დაუტოვა, რომ გულუხვი „ცხვრის“ იმედი, დიდი ალბათობით, არ უნდა გვქონდეს, თუმცა როგორც ამბობენ, იმედი ბოლოს კვდება, ოცნებას კი, კაცი არ მოუკლავს... ამ მოსაზრებას აბსოლუტურად ვეთანხმები, მაგრამ მაინც ვკითხოთ ზარატუსტრას: რა მოგვიტანა, უფრო სწორად, რა დაგვიტოვა 2014 წელმა?**

**„თუ კაცი ეცემა, ხელი კარი!“ — ასე ამბობდა ზარატუსტრა...**

წინა წლის ბოლოს აქტუალური გახდა ნიცშე. მისი თხზულების ცნობილი გმირი, ზარატუსტრა ამბობს: „ღმერთი მოკვდა, ახლა ჩვენ გვინდა, რომ ზეკაცმა იცოცხლოს“... რა თქმა უნდა, ნიცშეს ფილოსოფიის გაანალიზებას არ ვაპირებ, მაგრამ შეშლილი გენიოსის (სიცოცხლე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაამთავრა) ფილოსოფია დღევანდელ მსოფლიოს ნამდვილად ესადაგება. ზეკაცობაზე პრეტენზია შესაძლოა, სხვებსაც აქვთ. მაგალითად, პუტინი არც მალავს, რომ თავი ზეკაცად მიაჩნია და პლანეტის ბატონობა უნდა.

ცნობილმა რუსმა დიპლომატმა და ფილოსოფოსმა, კონსტანტინე ლეონტიევმა თქვა: „რუსეთი შობს ანტიქრისტეს!“ ლეონტიევი და ნიცშე თანამედროვეები (მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი) იყვნენ და იმ დროისთვის ნიცშეს უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი, ასევე, ცნობილი თხზულება „ანტიქრისტე“, რომელშიც ქრისტიანობას ამათრახებს.

მარტივად რომ ვთქვა, ნიცშე, თავისი ფილოსოფიით, დაუპირისპირდა მორალს, რელიგიას, ფასეულობებს, ყველას და ყველაფერს. დაუპირისპირდა ადამიანს, რომელიც მისი სწავლების თანახმად, გარდამავალი რგოლია ზეკაცის მოსასვლელად...

თავის დროზე ნიცშეთი მოხიბლული იყო ჰიტლერი.

დღეს ნიცშეთი მოხიბლულია დუგინი, რომელმაც ევრაზიის კავშირის იდეოლოგია ზეკაცის იდეის მიხედვით შექმნა და ამას ხაზს თვითონვე უსვამს.

ევრაზიის ახალგაზრდული კავშირის ვრცელ კატეხიზმოში (Катехизис _ Евразийского союза молодёжи) წერია: „ჩვენ ახალი ტიპის იმპერიამშენებლები ვართ და მსოფლიო ძალაუფლებაზე ნაკლები არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ დედამიწის ბატონები ვართ. ჩვენ დედამიწის ბატონების შვილები და შვილიშვილები ვართ. ჩვენ თაყვანს გვცემენ ერები და ქვეყნები!..“

ევრაზიის ახალგაზრდული კავშირის წევრია „ერეკლე მეორის საზოგადოება“. არ ვიცი, აქვს თუ არა წაკითხული ეს კატეხიზმო არჩილ ჭყოიძეს (ამ საზოგადოების ლიდერი) და თუ წაკითხული აქვს, რატომ ჭინჭრის ციებით არ დაიფოთლა?!

ზეკაცი, ანტიქრისტე, ევრაზიის კატეხიზმო და... ამ ფონზე ზურაბ აბაშიძე კარასინთან ურთიერთობას ალაგებდა(?!). აბაშიძე-კარასინის ორწლიანი დუეტი, როგორც ყოველთვის, მთავრდებოდა ხელის ჩამორთმევით — ასეთია დიპლომატიური ეტიკეტი. ამის იქით არაფერი ხდებოდა. მას შემდეგ კი, რაც მოსკოვმა სამოკავშირეო პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა სოხუმთან (იგივე ცხინვალთანაცაა დაგეგმილი), ზურაბ აბაშიძემ პაუზა „დაიჭირა“. ბატონმა კარასინმა (რადიო „ამერიკის ხმა“) განაცხადა: „ეს პაუზა საჭიროა, რათა ქართულმა მხარემ იფიქროს და ახალი რეალობა ემოციების გარეშე, ადექვატურად შეაფასოს“.

ჩნდება შეკითხვა: რისი მომტანი იყო კარასინ-აბაშიძის რანდევუები? — ალბათ, აფხაზეთსა და ცხინვალთან სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმების, რაც უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, ამ რეგიონების რუსეთის ფედერაციაში შესვლით დაგვირგვინდება.

როცა თბილისი-მოსკოვის რეგულარული რეისები დაინიშნა და ქართულ საჰაერო ბაზარზე რუსული კომპანიები შემოვიდნენ, ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა: „ფრენები პარიტეტულ რეჟიმში აღდგება. ქართული მხრიდან მოსკოვის მიმართულებით ფრენებს ორი ავიაკომპანია — „აირზენა“ და „[illegible]ლყვისტა“ შეასრულებენ, რუსული მხრიდან კი — „აეროფლოტი“ და „ციმბირის ავიახაზები“.

მართალია, ბიზნესმენი არა ვარ, მაგრამ ფრენა მხოლოდ ქართულ ავიაკომპანიებს რომ ეწარმოებინათ, არა?

2014 წლის 28 დეკემბერს, ერგნეთში, რატომღაც, ერთდღიანი წინასაახალწლო ბაზრობა გაიმართა, რომლის ორგანიზატორიც ქართული მხარე იყო (არასამთავრობო ორგანიზაცია). ვინმე ია ჩლაიძის (ერთ-ერთი ორგანიზატორი) განცხადებით, ადგილობრივი ქართველები, თურმე, დადებითად შეხვდნენ ერგნეთის აქციას. ცხინვალელმა ოსებმა კი (დე ფაქტო ხელისუფლების წევრებმა და იქაურმა არასამთავრობოებმა) კატეგორიულად დაგმეს ქართული მხარის ინიციატივა და, როგორც იტყვიან, ქოში სულ უკუღმა ყარეს. საინტერესოა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ამ აქციას მიესალმა — დადებითად შეაფასა წინასაახალწლო ბაზრობა ერგნეთში, მაგრამ... არ უნდათ ამ ოსებს და აფხაზებს საქართველო, უყვართ რუსეთი, უნდათ ევრაზიაში, ამ ჩვენს პოლიტიკოსებს კი, მაინც არ სჯერათ.

2015 წლის 1 იანვრიდან, რუსეთის ფედერაციაში პროდუქტის შეტანის წესებში ცვლილებები შევიდა და ხილ-ბოსტნეული, თხილი, ჩაი და სხვა პროდუქტები კარანტინს დაექვემდებარა, ანუ მათი შეტანა აკრძალული იქნება საქართველოდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, აზერბაიჯანიდან, უზბეკეთსა და ტაჯიკეთიდან. მხოლოდ „როსსელხოზნადზორის“ ნებართვის შემდეგ იქნება შესაძლებელი პროდუქციის გატანა.

ცხადია, „როსსელხოზნადზორის“ ნებართვის მიღება პოლიტიკური ანგაჟირების გარეშე გამორიცხულია და შესაძლოა, ქართული ეკონომიკა არჩევანის წინაშე დადგეს — ევროკავშირი თუ ევრაზია? ამ თემაზე ლაპარაკი ვრცლად შეიძლება, მაგრამ თუ ზოგიერთი ქართველი მეწარმეების საბჭოურ მენტალობასა და ძველ კავშირებს გავითვალისწინებთ, გამორიცხული არაა, არჩევანი ევრაზიაზე გაკეთდეს. იკითხავთ, რატომ? იმიტომ, რომ ევროკავშირს ხარისხი აინტერესებს, „როსსელხოზნადზორის“ კი — პოლიტიკური არჩევანი.

13 დეკემბერს, როცა საყდრისი ააფეთქეს და საქართველოს უძველესი ისტორია — ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის ოქროს მაღარო ბულდოზერებით გაასწორეს, კულტურის მინისტრმა განაცხადა, სახელმწიფო კომისიამ (კომისიაში ისტორიკოსები, არქეოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები შედიოდნენ) დაადგინა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს საბადო ისტორიულ ღირებულებას არ წარმოადგენს და ამიტომაც, უფლება არ მქონდა, კომპანია RMG Gold-ის სამუშაოები შემეჩერებინაო.

ახალს ვერაფერს ვიტყვი: კომპანია RMG Gold რუსულია, საყდრისის ოქრო ყველაზე მაღალი — 999 ხარისხის ნიმუშია, მითი არგონავტებზე კი... მეორდება...

რაც შეეხება მითებს, ყველას კარგად გვახსოვს წინა წლის ბოლო სკანდალი — თავდაცვის უწყების განცხადება და მინდია ჯანელიძის ოდისეა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეცდომაში შეჰყავთ ქართველი მოქალაქეები და ქვეყნის გარეთ წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობისკენ მოუწოდებენ. სამინისტრომ კი, თავის მხრივ, მოუწოდა საქართველოს მოქალაქეებს, არ აჰყოლოდნენ პროვოკაციას და ა.შ. განცხადებას ხელს აწერდა მინისტრი მინდია ჯანელიძე.

ეს ხდება მაშინ, როცა 32 წლის ალექსანდრე გრიგოლაშვილი გმირულად დაიღუპა უკრაინაში, მთელმა უკრაინამ მის წინაშე ქედი მოიხარა და პატივი მიაგო. ზემოხსენებულ განცხადებას მძაფრი კრიტიკა მოჰყვა არა მხოლოდ ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა და რიგითი მოქალაქეების მხრიდან, არამედ, „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების ზოგიერთი წევრისგანაც. საზოგადოებამ აღშფოთება გამოხატა... ჟურნალისტები პასუხს ითხოვდნენ მინისტრისაგან. მინისტრი არ ჩანდა, სამინისტრომ კი, განცხადება საიტიდან „გააქრო“.

პრემიერმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, მეც არ მომეწონა ეს განცხადება, ამ ტიპის პოლიტიკურ განცხადებას თავდაცვის სამინისტრო არ უნდა აკეთებდესო და... ჟურნალისტები ისევ მიადგნენ თავდაცვის სამინისტროს, მაგრამ მინდია ჯანელიძე ისევ ვერ აღმოაჩინეს: ცამ უყო პირი თუ მიწამ, ვერ გაარკვიეს. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ პრემიერთან არკვევდნენ ჯანელიძის ადგილსამყოფელს და არჩევდნენ, ვინ იყო საქართველოს მტერი, უფრო კონკრეტულად, იყო თუ არა პუტინი საქართველოს მტერი.

და ბოლოს, 2014 წლის ერთ-ერთი მთავარი „მონაპოვარი“ 10 ლარით გაზრდილი პენსიაა და ეს მაშინ, როცა მთავრობა, პრემიებითა და ხელფასზე დანამატებით, შემოსავალს 350 მილიონი ლარით იზრდის. საკითხავია, რისთვის დაიმსახურეს პრემიები და დანამატი ხელფასებზე? — ამ შეკითხვაზე უბრალო პასუხი არ გამოვა, პასუხი ფილოსოფიური უნდა იყოს, ნიცშეს დონის და ვკითხოთ ზარატუსტრას...

ზარატუსტრა კი, ამბობდა: „ავადმყოფები და სუსტები უნდა დაიღუპნონ, ძლიერებმა უნდა გაიმარჯვონ“ და სწორედ აქედან არის ნიცშესეული აფორიზმი: „თუ კაცი უნდა დაეცეს, ხელი კარი!“

არ მინდა, დაუმსახურებლად მოვსპო ნიცშე ზოგიერთი მკითხველის წინაშე, არ მინდა, მისი ნათქვამი ასე პირდაპირ და მარტივად იქნეს გაგებული. აფორიზმის ფილოსოფიური აზრი ასეთია: როცა ადამიანს აძლევ იმის შესაძლებლობას ან უბიძგებ იქითკენ, რომ უკიდურეს წერტილს მიაღწიოს, იმ წერტილს, როდესაც მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობაზე, გადარჩენის საკუთარ ინსტინქტებზე იქნება დამოკიდებული, სწორედ მაშინ შეიცნობს ადამიანი თავის თავს, შეიცნობს და აღსდგება, თუ ამის რესურსი აქვს, ან დაიღუპება.

„რაც არ გვკლავს, ის გვაძლიერებს!“ — ასე ამბობდა ზარატუსტრა.

ასე რომ, მოსახლეობაზე ნიცშესეული ექსპერიმენტი დაწყებულია...

არ მინდა, საქართველოს პრეზიდენტი გამომრჩეს, პრეზიდენტი თავისი გადალახული ვეტოებითა და შეზღუდული პასუხისმგებლობით. ფრანგები ამბობენ, ცხენზე ჯირითს და ფრანგულ ენას ყმაწვილობიდან უნდა სწავლობდნენო. არისტოკრატია და, საერთოდ, ელიტა ცხენზე ჯირითითა და ფრანგულის ცოდნით გამოირჩევა — ორივე ერთად უნდა იცოდეს, ცალ-ცალკე არ ითვლება. შეგვიძლია, ვიამაყოთ: ჩვენმა პრეზიდენტმა ცხენის ტარებაც იცის და ფრანგულიც — თეთრ ახალთექურ ცხენზე, მართლაც, შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.



P.S. **1889 წლის 3 იანვარია, ტურინის მოედანზე მეეტლე ცხენს სასტიკად სცემს, რისი უნებლიე თვითმხილველიც ფრიდრიხ ნიცშე აღმოჩნდა. ნიცშე ცხენს მივარდა, გულში ჩაიკრა და გაჩუმდა. ამ შემთხვევის შემდეგ, ნიცშეს ხმა აღარ ამოუღია და სიცოცხლის უკანასკნელი წლები სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში მდუმარემ გაატარა...**

**მარიკა კახაძე**

ინფორმაცია განსჯისთვის

# ახალგაზრდა ევრაზიელი ზომბები და პუტინის საიდუმლო დოქტრინა

**რა ვიცით ევრაზიაზე: როგორია, რა მიზნები აქვს, როგორი უნდა იყოს ევრაზიელი მოქალაქე, რა ფასეულობები უნდა ჰქონდეს ევრაზიის საზოგადოებას? — ყველა ამ შეკითხვის პასუხს ნახავთ პროგრამაში, რომელიც ევრაზიული კავშირის ახალგაზრდებისთვისაა.**



### ამერიკელი მტერი

ამერიკელები აშენებენ თავიანთ მსოფლიო იმპერიას, სადაც ჩვენი ადგილი არ არის. იქ არ აქვს ადგილი არც დიდ ევროპას და არც — თავისუფალ აზიას. არ აქვთ ადგილი რუსებს, გერმანელებს, ფრანგებს, თურქებს, ჩინელებს. ეს არის ახალი კართაგენის იმპერია, სადაც მეფობს მკვლელი მოლოქი (წარმართი ღმერთი, რომელსაც ბავშვებს წირავდნენ), პროცენტული მონობა, პლუტოკრატია, სპეკულატური კაპიტალის აბსოლუტური ძალაუფლება, დაცემისა და ლპობის დოგმატიკა, მოგების და გადაგვარების საზიზღარი მორალი.

ჩვენ გვართმევენ წარსულს და მომავალს. ჩვენ ზამბარასავით მოხრილები ვართ და უნდათ, რომ ძირფესვიანად ამოგვთხარონ მიწიდან.

ველარავის ვენდობით: ხელისუფლება დაბნეული და სუსტია. მტერი ძლიერი და მზაკვარია.

დღეს გლობალიზაციის რბილი სტრატეგიის ქვეშ იხრწნება არა მხოლოდ ევრაზიის, არამედ, მთელი მსოფლიოს სული.

ასე არ გამოვა! ჩვენ მოწოდებულნი ვართ, რომ გავხდეთ ბოლო ბასტიონი და თუ ჩვენ არა, მაშინ — არავინ.

ევრაზიის ახალგაზრდობა ბოლო იმედია.

ჩვენ, ევრაზიის ახალგაზრდობა ქვეყნის, კონტინენტის ფინალური იმედი ვართ! საერთაშორისო მობილიზაცია გამოცხადებულია და ფსონი სამშობლოს თავისუფლებასა და თვით დიადი რუსეთის არსებობაზეა დადებული.

მტერი მჭიდროდ უახლოვდება ჩვენს საზღვრებს. მტრები არიან გარეთ და მტრები არიან შიგნით!

გარეშე მტერი რომ მოვიგერიოთ, ჯერ შინაურ მტრებს უნდა გავუსწორდეთ. შინაური მტრები არიან: აშშ-ის მომხრეები, გლობალისტები, ქურდები, იდიოტი ჩინოვნიკები, ტელევიზიის დაცემული თანამშრომლები, მძინარე ობივატელები და ყველა მასტის კომფორმისტები. ესაა გარეშე მტრის რეზიდენტურა და სწორედ ეს ხალხი არ აძლევს საშუალებას ჩვენს ქვეყანას, ძალა მოიკრიბოს და ბოლო და გამანადგურებელი ბრძოლა აჩვენოს.

### დიადი დასუფთავება

ჩვენ მოვედით, რათა გამოვაცხადოთ დიადი დასუფთავება.

ჩვენი მიზანია, შევქნათ ახალი არმია — ევრაზიის არმია.

ჩვენ მზად ვართ ევრაზიული რევოლუციის მოსახდენად.

ჩვენ ევრაზიის რევოლუციის შემომქმედნი ვართ.

ჩვენ ნებისა და ელვის მატარებელნი ვართ, ჩვენ მატერიკის უძველესი ხალხების შვილები ვართ — სლავების, არიელების, თურქების, ფინელების, მონღოლების, პალეოაზიატების, კავკასიელების.

ჩვენ განაჩენი გამოგვიტანეს „მსოფლიო მაკდონალდის“ არქიტექტორებმა, ჩვენი წმინდა მიწები და ჭალები, ტაძრები და ქალაქები უკვე ნაყიდი და გაგირავებულია.

ჩვენ აღარ გვაქვს მომავალი, ჩვენ ახალი ბატონების — „ოქროს მილიარდის“, რბილ კონცლაგერში გველის მონობა.

ჩვენ უნდა აღვსდგეთ, ჩვენ ვდგებით და საკუთარ ხელში ვიღებთ ძალაუფლებას და საკუთარ ბედს.

### მკვდრები და რევოლუცია

ჩვენ სისხლში ჩვენი მიცვალებულების სისხლია გაზავებული, მათი, ვინც უძველეს იმპერიებს ქმნიდნენ, მათი, ვინც არ ინდობდნენ საკუთარ თავს და არც სხვას — დიადი მიზნის მისაღწევად.

დღეს ჩვენ გვეუბნებიან, რომ წითელი სისხლის ოკეანეები ტყუილუბრალოდ დაიღვარა და უფრო გონივრული იქნება, თუ მცოცავებივით მუცელზე გართხმულები მყუდროდ მოვკალათდებით. ეს რებტილიების არჩევანია. ჩვენი არჩევანია ვერტიკალური სვლა დიადი ნებით და თავადურად.

ჩვენი არჩევანია ევრაზიული რევოლუცია. ჩვენი სვე-ბედი მეწამული განთიადია. ჩვენი ბედი გონებისა და ნების წმინდა კავშირი და შთაგონებული სხეულის დღესასწაულია.

გამოიღვიძეთ, ძლიერო და თავისუფალო მეომრებო, თქვენ შეგიძლიათ, სამშობლოს შთამომავლობა მისცეთ. მხოლოდ ძლიერი, ჯანმრთელი, საკუთარ თავსა და თავის სამშობლოში დარწმუნებული ქალები მოაწოვებენ ძუძუს თაობას!

მრავალრიცხოვან, მაძღარ და დაუდეგარ თაობას ექნება ძალა, აღადგინოს პლანეტარული ძალაუფლება.

### ჩვენი მიზანი რევოლუციაა

ჩვენი მიზანი ევრაზიული იმპერიაა. მასში თავის ადგილს იპოვიან ხალხები და კულტურები, მაგრამ იმპერიის მმართველები მხოლოდ ყველაზე ბრძენნი და ძლიერნი გახდებიან და მათი შერჩევა დაუნდობლად მოხდება.

ჩვენი ეთიკაა — სიკვდილი ჯობია სირცხვილს. თუ არ შეგიძლია, იყო ძლიერი, მაშინ საერთოდ არ უნდა იყო!

ჩვენი სტილი ფესვების ერთგულებაა, რომ მომავალში, მყარ ფესვებზე თავხედური ჭაბუკთა გზა ევრაზიულ რევოლუციაში.

ევრაზიის რევოლუცია სიცოცხლის აზრს მოგცემთ. თქვენ მიიღებთ ყოფის (არსებობის) მანდატს, შინაარსს, პერსპექტივას, ღირსეულ ქორწინებას. მსგავსი მსგავსს იზიდავს და ევრაზიულ ზონებში ჩვენ ფოკუსირებას მოვახდენთ საუკეთესოსა და ყველაზე აუცილებელზე.

ჩვენ გასწავლით ჭეშმარიტებას, გაქცევთ ჭკვიანებად, ძლიერებად და ლამაზებად.

გაჩვენებთ ადგილს რჩეულთა შორის, ვუზრუნველვყოფთ ზემოთ მიმავალ გზას.

ქვეყანას ახალი ადამიანები სჭირდება, რად ამოზრდილი ყლორტები აკრძალულ მხარეებს მოედოს და წინაპრების განძი დაიბრუნოს.

ჩვენ ვულალატებთ წარსულის დიდ გმირებს, ევრაზიის დიადი იმპერიამშენებლებს, თუ მათზე უფრო ძლიერ და დიად იმპერიას არ შევქმნით.

და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი იმპერიის საზღვრები ოკეანიდან ოკეანემდე იქნება, ჩვენი მიცვალებულების თვალებზე გამოისახება მშვიდი, გამჭვირვალე სინათლის ჯვარი და იტყვიან: მათ, ჩვენმა შთამომავლებმა, გააკეთეს ეს! წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვდრები არ მოგვასვენებენ.

### საუკეთესო წილი

ჩვენ სხვა წილი და სხვა გზა გვერგო — ახალი კადრები, ახალი ბავშვები, ახალი ძალები, მხიარულები და დაუნდობლები.

ეს არის ევრაზიული რევოლუციის ესკადრონი. მათთვის ჩვენ ვაცხადებთ ევრაზიულ გაწვევას „ევრაზიის ახალგაზრდულ კავშირ“-ში.

P.S. **ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ამ მანიფესტის წაკითხვის შემდეგ, ან ჰომერული ხარხარი უნდა აგიტყდეს, ან უნდა დაიზაფრო, ან ორივე ერთად.**

**ამ პროგრამის გარდა, არსებობს ვრცელი კატეხიზმო ახალგაზრდებისთვის, რომელიც ადამიანს ზომბად გადააქცევს. „ევრაზიის ახალგაზრდული კავშირის“ დევიზია — „დიდება იმპერიას! რუსო ადექი!“ იდეოლოგია — „ტრადიციონალიზმი, ნაციონალ-ბოლშევიზმი, კონსერვატორული რევოლუცია“. პარტიული გაზეთი — „Евразийское вторжение“** (ევრაზიული შემოჭრა).

**დღევანდელი მდგომარეობით, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრები არიან: ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, სომხეთი და, რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაცია.**

**„ევრაზიის ახალგაზრდული კავშირის“ წევრი (სულ 12 სუბიექტი) საქართველოდან „ერეკლე მეორეს საზოგადოებაა“** (www.rossia3.ru).

**მარიკა კახაძე**

სტოპკადრი



## მაკკეინი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა

ანტიპუტინური პოზიციით ცნობილი რესპუბლიკელი სენატორი აშშ-ს სენატში შეიარაღებული ძალების საკითხთა კომიტეტს უხელმძღვანელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პენტაგონის ასიგნირების მოცულობისა და მიზნების განსაზღვრაში უშუალოდ მაკკეინი მიიღებს მონაწილეობას.

კრემლისა და პუტინის გარდა, გავლენიანი რესპუბლიკელი სენატორის კრიტიკის მთავარი ობიექტი თეთრი სახლის ლიდერიც გახდა — მაკკეინმა ობამა შეერთებული შტატების გავლენის შესუსტებაში არაერთგზის დაადანაშაულა.

**„ჯი-ეიჩ-ენ“-ი**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

დეკლარაცია

# კოტე კუბლაშვილის უძრავი ქონება და ფულადი შემოსავლები



**თანამდებობის პირთა შემოსავალი და მათი ქონება მუდამ განხილვის თემაა, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი შიმშილის ზღვარზეა. პოლიტიკოსების გარდა, საინტერესოა, თუ როგორ გამოიყურება მოსამართლეთა ქონება. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ პროექტის ხელმძღვანელმა, გია გვილავამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, თბილისის, ბათუმის და ქუთაისის სააპელაციო და სამოქალაქო სასამართლოების 168 მოსამართლის განათლება, სამუშაო გამოცდილება და ქონებრივი დეკლარაცია შეისწავლა:**

– 2014 წელს წარდგენილი დეკლარაციები 2013 წლის მონაცემებს შეიცავს. საერთოდ, დადებითია, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია... მაგალითად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ქონებრივი დეკლარაციებით ირკვევა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა და მათი ოჯახის წევრები სამეწარმეო საქმიანობაში უშუალოდ არ მონაწილეობენ. ამ მხრივ გამონაკლისი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილია, რომელიც „ელექტროიზოლიტის“ აქციების მესაკუთრე გახლავთ. რაც შეეხება კონსტანტინე კუბლაშვილსა და მის ოჯახის წევრებს, მათ საკუთრებაში 6 უძრავი ქონება აქვთ რეგისტრირებული.

— **როგორია მათი წლიური შემოსავალი?**

— შესწავლილი დეკლარაციებით, 2013 წელს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წლიურმა შემოსავალმა 127 300 ლარი შეადგინა, მისი მოადგილის, ზაზა მეიშვილისამ – 114 795 ლარი. მოსამართლე ვასილ როინიშვილმა მიიღო 97 025 ლარი, მიხეილ ჩანჩალაძემ – 108 75. ყველაზე „ღარიბი“ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე თეიმურაზ თოდრია გახლავთ, რადგან მის სახელზე მხოლოდ ერთი უძრავი ქონებაა რეგისტრირებული. უზენაესი სასამართლოს თითქმის ყველა წევრი ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, რაც დამატებითი შემოსავლის წყაროცაა. აქვე, უნდა დავამატო, რომ აღნიშნულ მოსამართლეებს ძვირადღირებული საჩუქარი არ მიუღიათ.

რაც შეეხება მოსამართლეების სამუშაო გამოცდილებას, ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი 15 მოსამართლიდან 11 წარსულში პროკურატურაში ან სხვა ძალოვან უწყებაში მუშაობდა.

— **მოდით, კოტე კუბლაშვილის ქონებაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ, რადგან ამ კუთხით არაერთი ლეგენდა არსებობს...**

— კონსტანტინე კუბლაშვილი 2005 წლიდანაა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ამიტომ მას ხანგრძლივი ჩინოვნიკური კარიერა აქვს და ბუნებრივია, ქონებრივი დეკლარაციაც არაერთხელ შეუვსია. ბოლოს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, მის ანგარიშზეა საცხოვრებელი სახლი ვაჟა ფშაველას გამზირზე, გაზრდილია მისი მეუღლის, მარინა მესხის საკუთრების ჩამონათვალიც. მესხის სახელზეა ბინა პეკინის გამზირზე, მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე (1500 კვ. მეტრი), ასევე, მიწის ნაკვეთი ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში, მცხეთის რაიონის სოფელ წოდორეთში და იქვე მდებარე საცხოვრებელი სახლი. ანაბარი ირიცხება შვილის, ანა-მარის სახელზე – 19 300 ლარი. დეკლარაციის შევსებისას კი, კოტე კუბლაშვილს ჰქონდა 10 000 ლარი. 2012 წელს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ხელფასის სახით, 131 525 ლარი მიიღო, მისმა მეუღლემ კი, რომელიც „ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის დახმარების სახელმწიფო ფონდის“ დირექტორია, – 39 400 ლარი. ქალბატონ მესხს, ჰონორარის სახით, აღებული აქვს 2 185 აშშ დოლარიც, სახლში სარემონტო სამუშაოებისთვის გადახდილია 11 500 ლარი.

— **სხვა ინსტანციის მოსამართლეების ქონებაზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

— თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ვალერი ცერცვაძის 2013 წლის შემოსავალმა, დეკლარაციის მიხედვით, 99 405 ლარი შეადგინა, სამოქალაქო პალატის თავმჯდომარის, ლაშა კალანდაძის შემოსავალმა კი, – 84 725 ლარი. შემოსავლის წყაროდ მითითებულია პალატის თავმჯდომარის ხელფასი და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ირაკლი შენგელიას წლიურმა შემოსავალმა 64 310 ლარი შეადგინა, საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის, მერაბ გაბინაშვილის შემოსავალი 72 260 ლარია.

— **ბატონო გია, მოსამართლეებს საბანკო კრედიტები აქვთ?**

— როგორც გავარკვიეთ, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, მამუკა ახვლედიანს, იპოთეკური სესხის სახით, 2009 წელს აღებული აქვს 86 000 აშშ დოლარი. სესხის დაფარვისთვის ახვლედიანმა, ერთი წლის განმავლობაში, 20 750 ლარი გაიღო, რაც თვეში 1 729 ლარია. 2014 წელსვე, ხელფასის სახით, როგორც მოსამართლემ, ახვლედიანმა 65 000 ლარი აიღო, ხოლო როგორც ლექტორმა – 24 562 ლარი. ჯამში, მისი შემოსავალი 89 562 ლარი გამოვიდა, ანუ მამუკა ახვლედიანის ყოველთვიური შემოსავალი 7 463 ლარია. მოსამართლეებისგან განსხვავებით, მინისტრებისა და მათი მოადგილეების მიერ აღებული სესხების შესწავლით გამოირკვა, რომ სესხის ყოველთვიური გადასახადი ხელფასის ნახევარზე მეტს შეადგენს, ზოგ შემთხვევაში კი, აღემატება კიდეც.

— **როგორც ვიცი, მოსამართლეების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილებაც შეისწავლეთ...**

— დიახ. მოსამართლეების უმეტესობას დამთავრებული აქვს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, თუმცა რამდენიმეს კერძო ინსტიტუტი აქვთ დამთავრებული, თან ეს ინსტიტუტი გაუქმებულია... თუ ადრე თანამდებობაზე მხოლოდ ის ხალხი ინიშნებოდა, რომელსაც კავშირი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ჰქონდა, ბოლო 2 წელია, ეს ტენდენცია შეიცვალა. მაგალითად, ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნული 3 ახალი მოსამართლიდან სამივე სასამართლო სისტემის ძველი თანამშრომელია. ისიც დადებითია, რომ მოსამართლეთა უმეტესობა, პარალელურად, აკადემიურ საქმიანობას ეწევა.

ბოლოს, მინდა, გენდერულ გადანაწილებასაც შევეხო: 168 მოსამართლიდან 85 ქალია, პალატის კოლეგიის თავმჯდომარის პოზიციები კი, კაცებს უკავიათ. ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი 15 მოსამართლიდან ქალი მხოლოდ ორია.

**ესაუბრა ნათია ლეზანიძე**

სტოპკადრი

# გიორგი ალიბეგაშვილმა სოციალურად დაუცველ ოჯახს საშობაო ნობათი გადასცა

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახს ეწვია და მრავალშვილიან დედას ტკბილეული და საკვები პროდუქტი გადასცა.

როგორც გიორგი ალიბეგაშვილმა აღნიშნა, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება მიმდინარე წლის ბიუჯეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია და ანალოგიურ ღონისძიებებში საკრებულოსთან ერთად დედაქალაქის მერიაც აქტიურადაა ჩართული.

„დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოსა და თბილისის მერიას ბევრი ერთობლივი პროექტი გვაქვს, რომლებიც აუცილებელ დახმარებას გაუწევს ამგვარ ოჯახებს. ვფიქრობ, მხარში დგომით და ერთმანეთის ტკივილის გულთან ახლოს მიტანით ჩვენ ძალიან ბევრ პრობლემას მოვაგვარებთ. მიმდინარე წლის ბიუჯეტში ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებაა. აქ არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური მხარე, რადგან პროგრამები ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და სპორტულ პროექტებსაც მოიცავს,“ – განაცხადა გიორგი ალიბეგაშვილმა.

ისერგაშვილების ოჯახში 5 არასრულწლოვანი ბავშვი ცხოვრობს.

„ჩვენ სოციალურად დაუცველები ვართ და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ყურადღება. დიდ მადლობას ვუხდი, როგორც გიორგი ალიბეგაშვილს, ასევე ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს რიმა ბერაძეს, რომელმაც მრავალჯერ გაგვიწია, როგორც ფინანსური ასევე მედიკამენტური დახმარება,“ – განაცხადა ლელა მამულაშვილმა.



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ქართული სიტყვა
„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
7 – 13 იანვარი 2015
№ 1 (265)


რეპორტაჟი

# „ქათამი ვიყიდე, ბავშვებს „ბლინები“ გამოვუცხე და სულ ეს იყო ჩვენი საახალწლო სუფრა“

**უსახლკარობა, უმუშევრობა, გაჭირვება – ეს ყველაფერი არაა, რაც ნაძალადევის რაიონში, ყოფილი ნევროლოგიის ინსტიტუტში მცხოვრებ დევნილებს აწუხებთ. აქ, დევნილების გარდა, თბილისის მიწისძვრით დაზარალებულებიც ცხოვრობენ... „ნევროლოგიის ინსტიტუტის“ მე-11 სართული... კორიდორი ძველი და გამოუსადეგარი ნივთებითაა სავსე... უშუშო ფანჯრები... აფხაზეთიდან დევნილი 41 წლის ქალბატონი თავის ოთახში მეპატიჟება:**

## „ნევროლოგიის ინსტიტუტში“ მცხოვრები დევნილების არაადამიანური ყოფა



– ხომ ხედავთ, რა სივიწროვეა? – ამ 10 კვმ-იან ოთახში ათი წელია, ქმარსა და ორ შვილთან ერთად ვცხოვრობ. იატაკზე ფიცარიც ჩვენი სახსრებით დავაგეთ – აბა, ბავშვებს ცემენტზე ხომ არ ვამყოფებდით? მე-10 და მე-11 სართულებზე დევნილები ვცხოვრობთ, დაბლა კი, – მიწისძვრით დაზარალებულები. მათ ფართები დაუკანონეს, ჩვენ კი, საშველი არ დაგვადგა.

– **როგორც ვიცი, დევნილებისთვის ახალი კორპუსები შენდება და მინისტრი სუბარი ამბობს, დევნილებს ბინა ეტაპობრივად გადაეცემათო. ამ ერთ ოთახში დარჩენა რატომ გინდათ?**

– მართლა გგონიათ, რომ დევნილებს კარგ და გარემონტებულ ბინებს მისცემენ? ბინას ორ დღეში რომ ააშენებენ, იქ ცხოვრება როგორ შეიძლება? ჩემს ნათესავს სახლი მისცეს და წვიმა რომ მოვიდა, ჭერი თავზე დაემხო. ეგეთ ბინაში ცხოვრებას, ისევ აქ ყოფნა მირჩევნია! რაც შეეხება ფართების დაკანონებას, როგორც გვითხრეს, ეს შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და იმან თუ არ დაგვიკანონა, დევნილთა სამინისტო ვერაფერს იზამს. ეს ორი სამინისტრო ერთმანეთში ვერ რიგდება და ჩვენი პატრონი არავინაა.

– **ეს შენობა გაყიდული ხომ არაა?**

– გაყიდული რომ ყოფილიყო, ქვემო სართულებზე მცხოვრებ ხალხს ფართებს არ დაუკანონებდნენ. ისე, გამორიცხული არაფერია – მთავრობისგან უსიამოვნო სიურპრიზებს მიჩვეულები ვართ. რაც ჩვენი მინისტრი სოზარ სუბარი გახდა, სამინისტროდან ჩვენთან არავინ მოსულა და არ უკითხავს, რა გვიჭირს და რა გვილხინს. ტელევიზიით კი გვაჯერებენ, რომ ყველაფერი კარგადაა და დევნილებზე თითქოს ზრუნავენ. წლებია, ერთი ოთახის დაკანონებას ვითხოვ და ამის ღირსიც არ გამხადეს. მაგათ იმედზე როგორ უნდა ვიყო?!

– **ხელმოკლედ ცხოვრობთ... თავი როგორ გაგაქვთ, სოციალურ დახმარებას იღებთ?**

– არჩევანი უნდა გაგვეკეთებინა: ან დევნილობის კომპენსაცია აგვეღო, ან სოციალური დახმარება, ორივეს ერთად არ გვაძლევენ... მეუღლე შემცირებაში მოჰყვა და უმუშევარია, ორი შვილი მყავს და, გათენდება თუ არა, იმაზე ვფიქრობ, ბავშვებს რა ვაჭამო...

– **ახალ წელს როგორ შეხვდით?**

– ახალი წელი და დროს ტარება მდიდრებისთვისაა. ერთი ქათამი ვიყიდე, ბავშვებს „ბლინები“ გამოვუცხე და სულ ეს იყო ჩვენი საახალწლო სუფრა. შემწეობის თანხა სულ რომ დამეხარჯა, მერე მშივრები დავრჩებოდით. იცით, გული რაზე მწყდება? – ამდენი მთავრობა გამოიცვალა და ტყუილის თქმასა თუ ცრუ დაპირებებში ყველა ერთმანეთს ჯობნის.

**ამასობაში კარზე დააკაკუნეს. სტუმარი მრავალშვილიანი დედა აღმოჩნდა, რომელმაც მეზობელს შაქრისთვის მოაკითხა... მერე, თავისთან მიმიწვია... ორი პატარა ოთახი... ერთ-ერთში ბავშვების ტანსაცმელია გასაშრობად გაფენილი... პატარა ტახტი... ფეხმომტვრეული ძველი მაგიდა და რამდენიმე სკამი... დენის პატარა გამათბობელს ოთხი ბავშვი შემოხვევია. ცოტა ხანს გამორთეთ, თორემ დენის გადასახადს ვერ გადავიხდითო, – დატუქსა დედამ შვილები... უფროსმა გოგონამ დედას დაუჯერა, გამათბობელი გამორთო და, სითბო რომ შეენარჩუნებინა, ჯემპრი მოისხა...**

**ნელი, მრავალშვილიანი დედა:** – 21-ე საუკუნეში სიცივით რომ იყინები და მცირეწლოვან ბავშვებს დედა გამათბობელს უთიშავს, ამის ატანა როგორია? გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობ, ამდენი ნერვიულობისგან, მეშინია, რამე არ დამემართოს და 4 შვილი მთლად უპატრონოდ არ დამრჩეს.

– **მეუღლე არ გყავთ?**

–არა, ვიღაც ქალს გაეკიდა და დამტოვა 4 შვილით. ვის მივმართო, აღარ ვიცი. დახმარებას ვღებულობ – თითო ბავშვზე 25 ლარს, მაგრამ 100 ლარი როგორ ვიმყოფინო?

– **მარტოხელა დედის დახმარება არ გეკუთვნით?**

– კარგი, რა?! იმ 100 ლარს რომ ვიღებ, ეგეც გასაკვირია, მარტოხელა დედად იმას აღიარებენ, ვინც ბავშვი კანონიერი ქორწინების გარეშე გააჩინა. ახლა, რა ვქნა, სხვა კაცი უნდა მოვნახო, რომ მარტოხელა დედად მაღიარონ? ქმარი აღარ მყავს, აღარც ვახსოვართ და როგორ დავამტკიცო, რომ მომკითხველი არავინ მყავს? ნათესავები კი მყავს, მაგრამ ჩემს ირგვლივ დალხინებული არავინაა. ყველა თავის გატანას ცდილობს და 5 სულს ვინ დაგვეხმარება? დედაჩემი ლოგინადაა ჩავარდნილი, მაგრამ იმის საშუალება არ მაქვს, რომ სოფელში წავიდე, თან ხელცარიელი ხომ ვერ მივალ?

– **100 ლარის გარდა, სხვა შემოსავალი არ გაქვთ?**

– 100 კი არა, 200 ლარიც რომ მომცენ, საკმარისია, რომ კუჭი მშიერი არ გვქონდეს? დღეს ბავშვებს წყალწყალა სუპი გავუკეთე... მოზარდები ხორცს რომ ვერ შეჭამენ და ვერც ვიტამინს მიიღებენ, როგორი ჯანმრთელობა ექნებათ? სამსახურები ისედაც არაა, მაგრამ რომც ვნახო, როგორ ვიმუშაო? – ძიძას ვერ დავიქირავებ და რა გავაკეთო? ჩვენს მთავრობას რომ ჰკითხო, ქალებს ხელს უწყობს, რომ ბევრი შვილი იყოლიონ, მაგრამ დახმარებას მხოლოდ მათ აძლევენ, ვინც მაღალმთიან რაიონებში ცხოვრობენ. ჩვენ, ვინც თბილისში ვართ, თითქოს არაფერი გვიჭირს.

– **ბავშვებს, კვების გარდა, ტანსაცმელიც სჭირდებათ...**

– ყველას ვეხვეწები, რომ დაპატარავებული ტანსაცმელი არ გადაყაროს. ჩვენს დაბლა მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაა. გამყიდველ ქალს ვიცნობ და თუ რამე არ გაეყიდება, მაძლევს ხოლმე... ძონძები გვაცვია, მაგრამ არ ვჩივი – მთავარია, არ შეგვცივდეს. ჩემი შვილი, ნატო კარგად სწავლობს, მასწავლებლები ძალიან აქებენ, მაგრამ გული მტკივა, რომ მისი თანაკლასელები ლამაზად ჩაცმულები დადიან, ეს კი, – ძველი ტანსაცმლით. ამას წინათ, თანაკლასელები ჩურჩულებდნენ, თურმე, ნატოს რა მოდიდან გადასული ტანსაცმელი აცვიაო. ბავშვი შინ ტირილით მოვიდა... ისე ავნერვიულდი, მეზობლებმა ვალერიანის წვეთები დამალევინეს.

– **თქვენც ფართის დაკანონებას ითხოვთ თუ ახალი ბინა გირჩევნიათ?**

– ახალი ბინა რომ მომცენ, ფული უნდა გადავიხადო – ასე მისცეს ჩემს ნათესავს ფოთში, სად მაქვს დოლარები? ადრეც იყო კორუფცია და ახლაც იგივე ხდება. რომ აცხადებენ, ერთ ლარად სახლებს გადავცემთო, ვის აძლევენ? ვერ გავიგე. ჩემზე მეტად გაჭირვებულები არიან, რომ რიგში წინ დააყენეს, ან რა კრიტერიუმით არჩევენ, ვინ მალე მიიღებს ბინას და ვინ – გვიან? ჩემი შვილები მეგობრის მოყვანას ვერ ბედავენ – რცხვენიათ, ამ სოროში სტუმარი მიიღონ, მოუკვდეთ ამათ დედა (ტირის)! ყველგან უსამართლობაა გამეფებული, არადა, სამართლიანობის აღდგენას გვპირდებოდნენ, სადაა ეს სამართლიანობა?

– **ხელისუფლებას რას ეტყვით?**

– რა უნდა ვუთხრა, გენაცვალე? – მოგვხედოს, გულთან ახლოს მიიტანოს ჩვენი გასაჭირი. ისიც გვეყოფა, მამა-პაპის მიწიდან რომ აგვყარეს და აქ გადმოგვაგდეს. ტელევიზორის ჩართვა აღარ მინდა: რა დღეშია მთავრობა, ჯიბეებს ისქელებს და რა იყიდოს, აღარ იცის. იმდენ ქონებას მოაგროვებენ, რომ მაგათ შვილიშვილებსაც ეყოფათ. მთავრობა ხალხს უნდა ემსახუროს, მაგრამ მაგენი მარტო თავიანთ ჯიბეს ემსახურებიან!

– **საახალწლოდ ნაძვის ხე მორთეთ?**

– ამ სივიწროვეში ნაძვის ხე სად დამედგა? შარშან, მეზობლის ქალმა ბავშვებს ჩიჩილაკი მოუტანა... ოთხი პატარა ჩურჩხელა მქონდა და ბავშვებს ახალ წელს მივეცი, კარტოფილიც შევწვი... ნამცხვარი და ხორცი კარგია, მაგრამ სადაა?! ნიგოზი 25 ლარი ღირდა და არც გოზინაყი გვქონდა. ამ სილატაკეში ახალი წელი არ იგრძნობა!.. ცხოვრება უკან მიდის, ფასები ყველაფერს ემატება და სექტემბერში პენსიონერებს მხოლოდ 10 ლარს უმატებენ. იმ დახმარებაზე კი, რასაც ვიღებ, თეთრსაც არ მომიმატებენ. ჩვენნაირი ხალხისთვის ფული არა აქვთ, თვითონ კი არაფერს იკლებენ. ცუდია სიღარიბე, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ იქნება, შვილები მაინც მოესწრონ კარგ და გალაღებულ ცხოვრებას!

**მრავალშვილიან დედას დავემშვიდობე და რას წარმოვიდგენდი, რომ კიდევ უფრო ტრაგიკულ მოხუცს შევხვდებოდი: ნაგვის ბუნკერში ქალბატონი იქექებოდა... დახეული ფეხსაცმელი ეცვა... წაიბორძიკა... ხელი მივაშველე. მადლობა გადამიხადა, ბუნკერიდან ამოღებული პური გამომიწოდა და მკითხა, შვილო, კარგად ვერ ვხედავ და ობიანი ხომ არააო...**

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ნაგავში მომიწევდა ქექვა, მაგრამ მეტი გზა არ მაქვს. ადრე უფასო სასადილოში დავდიოდი, ახლა ფეხებს ძლივსღა დავათრევ, 84 წლის ბებერი ვარ და სიარული აღარ შემიძლია.

– **მარტოხელა ხართ?**

– დიახ, მთელი ცხოვრება მარტო ვარ. არ გავთხოვილვარ და აბა, ვინ მომხედავს? – შვილი არ მყავს. ერთი და მყავდა, მასთან ვცხოვრობდი, მაგრამ 5 წლის წინ გარდაიცვალა. ჩემმა დისშვილმა და მისმა ქმარმა კოპები შემიკრეს. მივხვდი, ჩემი იქ დარჩენა არ უნდოდათ და წამოვედი. ამ შენობას ლტოლვილებთან ერთად შევეხიზნე... ნათესავებს აღარც ვახსოვარ, ვის რაში სჭირდება ჩემნაირი გაჭირვებული მოხუცი? ერთი სურვილი მაქვს: მალე მოვკვდე, რომ დავისვენო და ასე აღარ ვიბოდიალო.

– **როგორც სოციალურად დაუცველი, დახმარებას არ იღებთ?**

– მხოლოდ პენსია მაქვს და წამლებს ვყიდულობ, ფული რომ აღარ მრჩება, აქ მოვდივარ, ზოგჯერ კეთილი ხალხი მაჭმევს... დღეს რომ გამეღვიძა, შინ პურიც არ მქონდა, აქ მოვედი, იქნება პურის ნაგლეჯები მაინც მოვნახო.

– **ხელისუფლება რატომ არ გეხმარებათ?**

– კაი, ერთი, როდის გვყოლია ხელისუფლება? ხალხს მხოლოდ ატყუებენ, მაგათ ჩვენი ჯავრი სადა აქვთ?! ახალ წელს ნაგავსაყრელზე შეხვდნენ, ეგენი კი რესტორნებში წავიდოდნენ და იქეიფებდნენ. არა უშავს, შვილო, ყველას მოეკითხება.

**ყოფილი ნევროლოგიის ინსტიტუტში სტუმრობის შემდეგ, „ქართული სიტყვა“ დევნილთა სამინისტროს დაუკავშირდა და, როგორც სამინისტროს რეგისტრაციის სამმართველოს უფროსმა, ლევან კოკაიამ სატელეფონო საუბრისას განაცხადა, გუდამაყრის ქუჩაზე მდებარე შენობაში სულ 48 დევნილი ოჯახი ცხოვრობს, რომელთაც ფართები წელს აუცილებლად დაუკანონდებათ. ვნახოთ...**

**ნათია ლეზანიძე**



ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენი ...
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქა

პრობლემა

# 41 წელს გადაცილებულ ქალებს შვილის ხელოვნური განაყოფიერებით გაჩენა შეიძლება, აეკრძალოთ

**მსოფლიოსა და საქართველოში ხელოვნური განაყოფიერებით უშვილობის პრობლემის მოგვარებას არაერთი წყვილი ცდილობს. საერთოდ, ინ ვიტრო ფერტილიზაციას, ანუ ინსტრუმენტული გზით მიღებული ქალის კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის ჭურჭელში ხელოვნურად შერწყმას დიდი ხნის ისტორია აქვს: 1978 წელს, ქალაქ კემბრიჯში, პატრიკ სტეპტოუსა და რობერტ ედუარდსის კლინიკაში დაიბადა ლუიზა ბრაუნი, რომლის დაბადებას მხოლოდ რელიგიური წრეები კი არა, მედიცინის წარმომადგენლებიც შეშფოთებით შეხვდნენ, რადგან გასარკვევი იყო, ახალი ტექნოლოგია ნაყოფის სიმახინჯეებსა და ორსულობის გართულებებს ხომ არ გამოიწვევდა. აუარებელი გამოკვლევის შემდეგ, მეცნიერებამ ამ შეკითხვების უმრავლესობას დასაბუთებული პასუხი გასცა. მას შემდეგ 35 წელიწადი გავიდა და... ლუიზა უკვე დედაა... სტატისტიკით, ამჟამად მსოფლიოში, მინიმუმ, 7 მილიონი „ინ-ვიტრო ადამიანი“ ცხოვრობს — განვითარებულ ქვეყნებში შობადობის ერთიდან ორ-პროცენტამდე ხელოვნურ განაყოფიერებაზე მოდის. გამოკვლევები ნათელყოფს, რომ „ინ-ვიტრო ბავშვების“ კლინიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა და განვითარება ბუნებრივი გზით ჩასახულებისას არ ჩამორჩება. რა შეეხება სუროგაციას, კვლევა ადასტურებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სუროგატ დედებს მეტწილად ალტრუისტული მოსაზრება ამოძრავებთ — სიხარულს სხვებისთვის დედობის ბედნიერების მინიჭებით განიცდიან... 2000 წლის 21 ივნისს, ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირველად, ინ ვიტრო (სინჯარაში) განაყოფიერების შედეგად, ბიჭი დაიბადა. საქართველოში ამ საქმის პიონერს, გინეკოლოგს, ახალი სიცოცხლის დამბადებელს განგებამ საოცარი ბედი არგუნა — ცნობილი ქართველი მედიკოსი, იოსებ ჟორდანია აშშ-დან ბრუნდებოდა. თვითმფრინავმა ავიაკატასტროფა განიცადა და ოკეანეში ჩავარდა. მგზავრებს, ბილეთების შესაბამისად, რეზინის დამცავი რგოლები ჰქონდათ, თუმცა პატარა გოგონას, რომელიც უბილეთოდ მგზავრობდა, რგოლი არ აღმოაჩნდა. იოსებ ჟორდანია არც დაფიქრებულა, თავისი რგოლი ბავშვს ისე გადასცა... გოგონა გადარჩა. ქართველი მეცნიერი კი, ოკეანის ტალღებმა შთანთქეს — ჟორდანიამ ცურვა არ იცოდა... თითქმის წელიწადია, გრძელდება საზოგადოებრივი ვნებათღელვა, თუ რამდენად კანონიერი და მართლმადიდებლურია ადამიანის განვითარების ეს საფეხური... ითქვა ისიც, რომ 41 წელს გადაცილებულ ქალებს, შესაძლოა, ხელოვნური განაყოფიერება კანონით აეკრძალოთ... „ქართული სიტყვა“ „საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის“ პრეზიდენტს, რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, პროფესორ არჩილ ხომასურიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო არჩილ, პროფესორ იოსებ ჟორდანიას გმირობა მსოფლიოს ნებისმიერი ერის ისტორიას დაამშვენებდა. თქვენ სწორედ მისი წამოწყებული საქმე და იდეები გააგრძელეთ...**

— როცა რიო-დე-ჟანეიროდან მომავალი თვითმფრინავის კატასტროფის შესახებ პრესაში დაიწერა, იცით, ზოგიერთმა ბოღმიანმა ქართველმა რა თქვა? — ტყუილია, ასეთი არაფერი მომხდარაო. ამის გამგონეს ნერვები მომეშალა. მაშინ მოსკოვში ვმუშაობდი, იმ რეისიდან გადარჩენილი სამი ადამიანი მოვძებნე და ყველაფერი საგანგებოდ გამოვკითხე. მათ დამიდასტურეს, რომ იოსებ ჟორდანიამ ბავშვის სიცოცხლე იხსნა. მიმაჩნია: დიდი პატივი მერგო, რომ ამ დიდი ადამიანის კეთილშობილური საქმე გავაგრძელე. 1985 წელს, თბილისში დავბრუნდი და ყველაფერი, რაც იოსებ ჟორდანიას ჰქონდა ჩაფიქრებული, ბოლომდე მივიყვანე — უშვილობის დიაგნოსტიკა-მკურნალობიდან დაწყებული აბორტის პროფილაქტიკით დამთავრებული. ასევე, საერთო რეპროდუქტოლოგიის თემაც განვავითარე.

**— საქართველოში არაერთი ხელოვნური განაყოფიერებისა და სუროგაციის ცენტრია. სასურველი კლინიკა როგორ ავირჩიოთ?**

— ხელოვნური განაყოფიერება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა პრობლემა ქალს, ან მამაკაცს აქვს. სამწუხაროდ, უკანასკნელთა რიცხვი განსაკუთრებით მატულობს — გართულებული ყბაყურის ინფექციისას, მამაკაცის ორგანიზმში სპერმა რატომღაც სრულიად ნადგურდება... ინ ვიტრო განაყოფიერება მაშინ გამოიყენება, როცა შვილოსნობისთვის ქალის ორგანიზმი არ ვარგა, დედისა და მამის კვერცხუჯრედს ერთმანეთთან შეხვედრა არ შეუძლიათ, ჩვენ კი, სტერილურ პირობებში ვახვედრებთ — ორსულობის კულტივაცია დედის საშვილოსნოში ხდება.

რაც შეეხება კლინიკის ამორჩევას, პაციენტი ინფორმირებული უნდა იყოს. ამ საქმეში თანამებრძოლი ჟურნალისტები ძალიან გვეხმარებიან — მათი როლი მნიშვნელოვანია.

**— ამ კუთხით ცრუ სპეციალისტებიც მომრავლდნენ, არა?**

— მოგიწოდებთ: ნუ ენდობით შარლატანებს. ჩვენ, ქართველებს კარგი საქმის წამომწყები ადამიანების ჩაქოლვა ისტორიულად გვჩვევია, რაშიც დიდ როლს ზოგჯერ შური თამაშობს, ზოგჯერ კი, — კონკურენცია. ძირითადად, მაინც მერკანტილური მოსაზრებებით ვმოქმედებთ. ისე, აბორტმახერების წინააღმდეგ ბრძოლაც მძიმე იყო, თუმცა კარგა ხანია, თავად ქალებმა თქვეს, რომ აბორტი ცუდია, კონტრაცეპცია — კარგი. რეპროდუქტოლოგების დამსახურებაა, რომ უშვილობის მკურნალობას აბსოლუტურ გამოსახულებაში მიღწევები აქვს. საერთო მაჩვენებლებით, მსოფლიო კანონზომიერება ასეთია: მსოფლიოსა და საქართველოში ოჯახების 10-15% უშვილოა.



**„მეძავი პოლიტიკოსების გარდა, მრავლად არიან სასულიერო ხელმოცარული პირები, რომლებმაც ვერაფერს ვერც პოლიტიკაში მიაღწიეს და ვერც — სხვა სფეროში, მერე, ანაფორა ჩაიცვეს და ჭკუას გვარიგებენ. მათ რა უნდა მოსთხოვო?!“**

**— ხელოვნური განაყოფიერებისთვის ასაკს მნიშვნელობა აქვს?**

— ასაკი ყველაფერს აქვს, მათ შორის, — ქალის რეპროდუქციულ ფუნქციასაც. შვილოსნობის ასაკი 15 წლის ასაკში იწყება, 49 წლის ასაკში კი, მთავრდება, თუმცა ყველაფერი მაინც ინდივიდუალურია. გენიოსი ნიკო მარის მამა 84 წლის გახლდათ, დედა კი 18-ის. ნილს ბორი მშობლების მეთერთმეტე შვილი იყო, ცნობილ ფეხბურთელ გარინჩასაც ასაკოვანი მშობლები ჰყავდა. არსებობს გასაოცარი მსოფლიო რეკორდიც, როცა 72 წლის ქალმა შვილი ბუნებრივი გზით გააჩინა. ხელოვნური განაყოფიერების ეფექტურობა მსოფლიოსა და საქართველოში 40%-ს არ აღემატება, რაც საყოველთაო ინდიკატორია. ბევრს აქვს პრეტენზია, რომ ამაზე მეტი შედეგის დაყენება შეუძლია, მაგრამ მერწმუნეთ, ისინი პროფესიონალები არ არიან.

**— ხშირად ოჯახს აღსაზრდელად ბავშვი აჰყავს, რის მერეც ქალი მოულოდნელად ორსულდება. საქმე რასთან გვაქვს?**

— ამ საოცარი პროცესის ახსნა არავის შეუძლია. მეტსაც გეტყვით, ჩვენთან, გამოკვლევაზე მოსული შვილოსნობის მოსურნე ქალების 12% ყოველგვარი პროცედურების გარეშე ორსულდება. არაფერი განსაკუთრებული: უბრალოდ, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგია — ორგანიზმი, გონება დაწყნარდა და ბუნებამაც თავისი გაიტანა. უშვილობის საკითხში, მაგალითად, მილების გამავლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — გამოკვლევის დროს, როცა ქალი დაძაბულია, მილებში სპაზმი იწყება და სრულიად ჯანმრთელი მილები გაუვალი ხდება.

**— ისე, ბატონო არჩილ, ამბობენ, რომ დედამიწა გადაიტვირთა და ხელოვნური განაყოფიერება ისედაც გადატვირთულ პლანეტას უარესად ხომ არ დაამძიმებს?**

— ხელოვნური განაყოფიერება დედამიწის მოსახლეობას შესამჩნევად ვერ გაზრდის. ყოველდღიურად, 80 მილიონი ახალი სიცოცხლე იბადება. ყველა რეგიონს, მათ შორის, საქართველოსაც თავისებური მოთხოვნილება და დემოგრაფიული პრობლემა აქვს. ჩვენ ევროპული ტიპის ქვეყნისთვის დამახასიათებელი კურსი ავირჩიეთ, რომლისთვისაც შობადობის შემცირება და მოსახლეობის რაოდენობრივი კლებაა დამახასიათებელი.

**— ჩვენმა პარლამენტარებმა ხელოვნურ განაყოფიერებაზე მსჯელობა დაიწყეს. სუროგაციის კანონზე რას ფიქრობთ?**

— საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენი სუროგაციის შესახებ კანონის პროექტის მომზადების თაობაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივა სწორ და აუცილებელ ქმედებად მიმაჩნია. პრობლემა მტკივნეული და საჩოთიროა, რომლის არასწორ ინტერპრეტაციას ხშირად არასასიამოვნო გაუგებრობასთან მივყევართ, რისი მაგალითიც მისი უწმინდესობის 2014 წლის საშობაო ეპისტოლე გახლავთ. დარწმუნებული ვარ, პატრიარქი სუროგაციაზე არასწორად იყო ინფორმირებული. სუროგაციის პროცედურის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევა, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილია, მაგრამ არა ისეთი აკრძალვებითა და შეზღუდვებით, რომლებიც ზემოხსენებულ პროცედურას არსს დააკარგვინებენ.

რეპროდუქტოლოგიის სფეროში ნებისმიერ შეზღუდვას შედეგი არასოდეს მოუტანია. ნებისმიერ აკრძალვას იქამდე მივყავართ, რომ პროცედურა კომერციულ განზომილებაში გადადის და კორუფციისა და იატაკქვეშა, არალეგალური მანიპულაციების ობიექტი ხდება. ვიმეორებ: ჩვენი თვითმიზანი აკრძალვა არაა, ჩვენ მხოლოდ რეკომენდაციების შეთავაზება გვინდა. როგორც მოგახსენეთ, ჩვენს საზოგადოებას სჩვევია ბევრი თანამედროვე ტენდენციისა თუ მეთოდის ინერციული ან წინდახედული და ხელოვნური დაკნინება და გადაგვარება. ამასთან, ჩვენ ვაკრიტიკებთ ფულის კეთების მიზნით „მაჭანკლობად“ ქცეულ სუროგაციის ცენტრებს.

**— არსებული ინფორმაციით, ხელოვნურ განაყოფიერებას ასაკობრივი შეზღუდვაც დაუწესდება, ანუ 41 წელს გადაცილებულ ქალბატონებს „სინჯარის ბავშვების“ გაჩენა შეიძლება, აეკრძალოთ...**

— მიმაჩნია, რომ ეს ანტიკონსტიტუციური და ანტიჰუმანური ქმედებაა. წარმოუდგენელია, ქალს შვილის ყოლა როგორ უნდა აუკრძალო?! ასეთი რამ შეიძლება, მხოლოდ პოლიტიკური მეძავების ტვინში მოიხარშოს, რომლებიც საქართველოში მრავლად არიან. შურიანი კოლეგებიც არსებობენ, რომლებიც გვებრძვიან. მსოფლიოს ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიასა თუ ისრაელში კანონით აკრძალულია სუროგაცია. საცოდავია ქალი, ვინც გაჭირვების გამო საშვილოსნოს აქირავებს. სუროგაცია საქართველოში „მაჭანკლების“ შემოსავლის წყარო გახდა. საერთოდ, სუროგაციას და ინ ვიტროს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, თუმცა შარლატანები ცდილობენ, ინ ვიტრო და სუროგაცია ერთმანეთს მიატმასნონ. ეს უკანასკნელი სამედიცინო პროცედურაა და ზოგ სუროგატს ხელოვნური განაყოფიერება შეიძლება, თავად დასჭირდეს.

**— მოდით, ბატონო არჩილ, ადამიანის კლონირების ერთ დროს გახმაურებულ თემასაც შევეხოთ...**

— კლონირებული ადამიანი ზღაპარია! ცხოველების კლონირების მცდელობა იყო, მაგრამ ესეც წარუმატებლად დამთავრდა.

**— ეკლესია ხელოვნური განაყოფიერების წინააღმდეგია...**

— ეკლესია შარლატანების მიმართ ყოველთვის კატეგორიული იყო და მიაჩნდა, რომ სუროგაცია კანონის ჩარჩოებში უნდა ჩაჯდეს. ყველა მოსაზრების გათვალისწინებით, ოჯახის ინტერესები არ უნდა შეიზღუდოს. პატრიარქი შეცდომაში შეიყვანეს. მეტსაც გეტყვით, 80-იანი წლების ბოლოს, როცა იოსებ ჟორდანიას სახელობის კლინიკის ინიციატივით საქართველოში ხელოვნური განაყოფიერების თემა შემოდიოდა, პატრიარქს ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ ედვარდსი შევახვედრე, რომელმაც მსოფლიოში ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა პირველმა ჩაატარა და რის შედეგადაც ქვეყნიერებას ლუიზა ბრაუნი მოევლინა. უწმინდესმა ყურადღებით მოუსმინა და ინ ვიტრო განაყოფიერების იდეაზე კურთხევაც მისცა. ამის მერე, პატრიარქს ხშირად ვსტუმრობდი და ჩემს საქმიანობაზე ვუამბობდი.

**— იმ ცნობილი ეპისტოლეს მერე, უწმინდესს აღარ შეხვედრიხართ?**

— არა... გარშემო იმდენი ადამიანი ახვე-

გაგრძელება მე-13 გვ.

## პრობლემა

მე-12 გვერდიდან

ვია, ვინც ათასგვარ სისულელეს უჩიჩინებს. მეძავი პოლიტიკოსების გარდა, მრავლად არიან სასულიერო ხელმოცარული პირები, რომლებმაც ვერაფერს ვერც პოლიტიკაში მიაღწიეს და ვერც — სხვა სფეროში, მერე, ანაფორა ჩაიცვეს და ჭკუას გვარიგებენ. მათ რა უნდა მოსთხოვო?!

**— ერთი ვერსიით, ინ ვიტრო განაყოფიერება შესაძლოა, დაზღვევამ დააფინანსოს...**

— ეს სახელმწიფოს მხრიდან, რა თქმა უნდა, ჰუმანური ნაბიჯი იქნება. ევროპის ბევრ ქვეყანაში განაყოფიერების ორი-სამი მცდელობა, იტალიაში ყველა, რუსეთში კი, ერთი მცდელობა სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. ეს ამ ქვეყნების ხელისუფლების ნებაა, რომ დემოგრაფიული სიტუაცია გამოასწორონ. საქართველოს ხელისუფლება კი, ამ სფეროში ჰუმანურობის პრინციპისგან დღემდე შორსაა — არათუ, ხელოვნური განაყოფიერების მცდელობას, არამედ, მკურნალობასაც არ აფინანსებს. ერთმა ჩემმა მეგობარმა ირონიით თქვა, საქართველო აბსურდისტანიაო. სხვა რა შეიძლება ითქვას, როცა წლების განმავლობაში, დემოგრაფიული მდგომარეობის კრიზისზე, მხოლოდ ლაპარაკობენ, პრობლემის გადასაწყვეტად კი, პრაქტიკულ ნაბიჯებს არ დგამენ. თუ ევროპისაკენ მივდივართ, ესეც უნდა გავითვალისწინოთ! ყველა ნორმალური ქვეყანა უშვილობასაც ისე აფინანსებს, როგორც სხვა დაავადებების მკურნალობას... ისე, უშვილობა ქრონიკული დაავადებაა, რასაც ხანგრძლივი მკურნალობა და ბევრი ფული სჭირდება, სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც სადაზღვევო კომპანიები დაფინანსებისგან თავს იკავებენ. იმედია, ეს დამოკიდებულება შეიცვლება... წინა ხელისუფლების დროს, საქართველოში უშვილობის ერთადერთი სამკურნალო დაწესებულება, პრაქტიკულად, დაანგრიეს — თანამშრომლები გარეთ გამოგვყარეს, შენობა გაყიდეს და იქ, ალბათ, საცხოვრებელი სახლი აშენდება — აბა, საქართველოში ბიბლიოთეკას არავინ ააშენებს... გვეგონა, შენობას ისევ გადმოგვცემდნენ, მაგრამ უარი გვითხრეს, კლინიკისთვის შენობა თავად შეიძინეთო და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა კატასტროფულად მცირდება და, როგორც ამბობენ, მომაკვდავი ერების სიაში მოხვედრის პერსპექტივაც გვაქვს. საკითხის ასე დაყენება აუტანელი და სამარცხვინოა: ქალს დედობა როგორ უნდა აუკრძალო? შობადობის ყველანაირი გზით გაზრდაა საჭირო!

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

# „ნაციონალებისგან“ გაცურებული და „ოცნებისგან“ გაჩუმებული ფსიქიატრიული ცენტრი დახმარებას ითხოვს



**საქართველოს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მეთოდოლოგიური ცენტრი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია და სახელმწიფოს დახმარებას სთხოვს. „ქართული სიტყვა“ პირველი გაზეთია, რომელიც ცენტრის მდგომარეობით დაინტერესდა და აი, რა გაარკვია: ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მეთოდოლოგიური ცენტრი სახელმწიფოს მიერ უზურფრუქტის წესით გადაცემულ შენობაშია განთავსებული, რომლის ერთ ნაწილს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები იკავებენ, მეორეს კი, — ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანები. 600 კვ.მ. ტერიტორია ნახევრად აუთვისებელია. არ არის ცენტრალური გათბობა. აღსადგენია ელექტროგაყვანილობა და გამოსაცვლელია საკანალიზაციო მილები.**

## სახელმწიფო ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანზე დღეში 11 ლარს ხარჯავს!

ცენტრის დირექტორი მანანა შარაშიძე ამბობს, რომ ჯანმრთელობის სამინისტროს ფსიქიკური აშლილობის მქონე თითო ადამიანზე გამოყოფილი დღიური 11 ლარი სრულფასოვანი არსებობისთვის საკმარისი არაა. აღსანიშნავია, რომ იაპონიის საელჩომ ფინანსურ დახმარებაზე უარი განაცხადა. დონორ ორგანიზაცია MISERIOR -თან გაფორმებული ხელშეკრულება კი, რამდენიმე თვეში იწურება.

***„შენობის კეთილმოწყობისა და პაციენტის მკურნალობისთვის საჭირო ყველა პირობის შესაქმნელად, ჩვენს ორგანიზაციას, ერთჯერადად, 80 ათასი ლარი სჭირდება. 2010 წლამდე, პაციენტებს სრულფასოვანი გარემო ჰქონდათ. სახელოსნოც ფუნქციონირებდა, სადაც პაციენტები ერგო, ანუ შრომით თერაპიას გადიოდნენ — მამაკაცები ხეზე მუშაობდნენ, ქალბატონები კი, ხელსაქმით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ ეს შესაძლებლობა აღარ გვაქვს“,*** — ამბობს მანანა შარაშიძე.”

ოთახი, რომელიც ერგო თერაპიისთვისაა განკუთვნილი, 5-7 ადამიანს იტევს. თერაპიის სხვა მსურველები კი, ფართის სიმცირის გამო, საკუთარი უნარ-ჩვევების გამოვლენას ვერ ახერხებენ. ორი მოძველებული სამუშაო მაგიდა, კედლებზე გაკრული, პაციენტების მიერ შესრულებული თექის ნამუშევრები და სურვილების ფურცლებით გავსებული კარადა — ესაა თერაპიის ოთახის მთელი „სიმდიდრე“.

მანანა შარაშიძე „ქართულ სიტყვასთან“ ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ 2010 წელს ფსიქიატრიულ სფეროში გატარებულ რეფორმაზეც საუბრობს და ამბობს, რომ მოატყუეს:

***— ჯანმრთელობის მაშინდელმა მინისტრმა, სანდრო ურუშაძემ გაგვაცურა.***

**— რატომ?**

***— ზემოდან დაავალეს, რომ ე.წ. ასათიანის კლინიკა გაეყიდა. შენობის გარეშე რომ დავრჩით, გვითხრა, დროებით კალისტრატეს ქუჩაზე მდებარე ფსიქო -ნევროლოგიური დისპანსერის შენობაში გადადითო. ვენდეთ და მოვტყუვდით — როცა დასჭირდათ, ამ შეობიდანაც გამოგვყარეს, ჩვენ კი, ხელმოსაჭიდი არაფერი გვქონდა. სამი წლის განმავლობაში ზევით-ქვევით დავეხეტებოდით. ხელფასებს ვიკლებდით და არენდის თანხას ასე ვიხდიდით.***

2013 წელს, ფსიქიატრიულმა ცენტრმა, შენობის გამოყოფის თხოვნით, ახალ მთავრობას მიმართა. მართალია, დადებითმა პასუხმა არ დააყოვნა, მაგრამ შენობა, რომელიც ცენტრს გადაეცა, იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ დაწესებულება, გარკვეული პერიოდი, გადასვლას ვერ ახერხებდა.

***„სამი თვე ახალ შენობაში ვერ გადავდიოდით, რადგან იქ პაციენტებისთვის, ელემენტარული პირობებიც არ იყო. ბოლოს, მთავრობისგან წერილი მოგვივიდა, თუ არ გადახვალთ, საურავს დაგადებთო. მეტი რა გზა გვქონდა? — გადავედით. სიმართლე რომ ითქვას, წინა მთავრობამ ის წაგვართვა, რაც გვეკუთვნოდა, ახალმა მთავრობამ კი, მართალია, დანგრეული, მაგრამ რაღაცა მაინც მოგვცა“,*** — ამბობს შარაშიძე.

მართალია, შენობა ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაა, მაგრამ ცენტრს ის ქალაქის მერიამ გადასცა. მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელი, მაგდა პოპიაშვილი ამბობს, რომ უზურფრუქტით გადაცემული შენობის მოვლა-პატრონობა და პაციენტებისთვის საჭირო პირობების შექმნა უშუალოდ ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრის ადმინისტრაციის ვალდებულებაა და არა — მერიის სამსახურების.

„ფინანსური მხარდაჭერის საკითხი მხოლოდ მაშინ განიხილება, თუ ცენტრი დახმარების თხოვნით მოგვმართავს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პასუხი დადებითი იქნება. მერია ამაზე იმსჯელებს“, — განმარტავს პოპიაშვილი.

ჯანდაცვის სამინისტროშიც თვლიან, რომ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებენ.

***„ფსიქიატრიულ სფეროში ძირეული ცვლილებები, ჯანმრთელობის ყოფილი მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძის შემდეგ, არავის განუხორციელებია. ცენტრისთვის თითო ადამიანზე გადარიცხული 11 ლარი ის თანხაა, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამითაა დადგენილი“,*** — განუცხადა „ქართულ სიტყვას“ მერიის ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსმა სპეციალისტმა, სოფიო მორგოშიამ.

სამართლებრივი მხარის დასადგენად „ქართული სიტყვა“ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ დაუკავშირდა. იურისტი ნონა ქურდოვანიძე ამბობს, რომ კონკრეტულ საკითხს არ იცნობს, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ სახელმწიფო, მართლაც, არ ითვალისწინებს მათ დაფინანსებას.

იურისტ ანრი კვახაძეს კი განსხვავებული პოზიცია აქვს და არასამთავრობო სექტორთან დაკავშირებით სახელმწიფოს ახალი პოლიტიკის შემუშავებას ურჩევს: ***„სახელმწიფომ მთელი რიგი რეფორმები უნდა გაატაროს და ფსიქიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანების მოვლა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად აქციოს. თუ საზოგადოება მოთხოვნებს არ აყენებს, მაშინ ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს არაფერი იცის და არაფერი შეუძლია“.***

ახლა კი, მინდა, 24 წლის მარიამზე გიამბოთ, რომლის ამბავიც, ჩემი არ იყოს, თქვენც შეგძრავთ. ცენტრიდან გამოსვლის შემდეგ, ერთმანეთს მეორედ შევხვდით და მეტროსადგურ „მარჯანიშვილამდე“ საუბარ-საუბრით მივედით. მარიამი ხელოვანია — ხატავს, თექაზეც მუშაობს:

***„მინდა, რომ სულ ვკერავდე, აბრეშუმის ქსოვილებს ვჭრიდე და დედისთვის შარფებს ვქსოვდე. მინდა, რომ სულ დაკავებული ვიყო და ცუდი ფიქრებისთვის დრო აღარ მქონდეს. მინდა, სულ აქ ვიყო, ჩემს ექიმთან, რომელიც მეხმარება, რომ საკუთარი თავის ვირწმუნო, მაგრამ რესურსების უქონლობის გამო, ამას ხშირად ვერ ვაკეთებთ, ეს ძალიან მთრგუნავს“.***

**მარიამი იმის ნათელი მაგალითია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში რეფორმების გატარება აუცილებელია. ამ ადამიანებს სამოქალაქო საზოგადოებამაც, თავის მხრივ, მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს და ხელისუფლებას მათი მდგომარეობის გაუმჯობესება მაქსიმალურად მოსთხოვოს. ისე, ჩემდაუნებურად, ჯორჯ ორუელის სიტყვები გამახსენდა: „როდესაც რაღაცას ხედავ, ფიქრობ, რომ ყველა ამასვე ხედავს. მე კი, გეუბნებით, უინსტონ, რომ სინამდვილე გარეგნული რამ არ არის. ის მხოლოდ ადამიანურ გონებაში არსებობს და სხვაგან არსად!“ დიახ, ჩვენ ამ ადამიანების პრობლემები უნდა დავინახოთ!**

**ნინი ჯაფარიძე**



№ 1 (265)
7 – 13 იანვარი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სტენოგრამა

# სააკაშვილის, ადეიშვილის, ქვანიასა და ოქრუაშვილის საიდუმლო შეხვედრები გოგირდის აბანოში









**ჩვენი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ცა და დედამიწასავითაა: მას რუსეთი მოსწონს, მე კი, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მომავალი სულხან-საბას, ილიას და სხვა დიდი ქართველების გზა, ანუ ევროატლანტიკური სივრცეა... ამ თემაზე, როგორც იტყვიან, მსუბუქად სხვა დროსაც გვიკამათია, მაგრამ ამჯერად საქმე ცოტა სხვანაირადაა. მოკლედ, ამბის ქრონოლოგია ასეთია: ამას წინათ, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკს, კონსტანტინე ფორჩხიძეს ერთ-ერთ ინტერვიუში ვკითხე, რომ პროამერიკელი ირაკლი ალასანია „გარკვეულმა ტიპებმა“ უშიშროების მორუსეთუმო მინისტრის მოადგილედ როგორ დანიშნეს-მეთქი. ფორჩხიძემ განმარტა, ამერიკელებს პრორუსული განწყობების განეიტრალება უნდოდათო... რამდენიმე დღის წინ, „ფეისბუქში“ „წერილი“ მივიღე: „...გარკვეული ტიპი არ ვარ მე... კარგა ხანია, „გუუგლ“-ში არ ამიკრეფია ჩემი გვარი და შენ მცირეტირაჟიან, ერთი მოექსპერტო ელემენტის გაზეთს, აბა, სად წავიკითხავდი? ჩვეულებრივი ჟურნალისტური ეთიკაა, ჩემს ნამოქმედარზე – ირაკლი ალასანიას დანიშვნა – ჩემთვის გეკითხა. გაშვებულმა პოლკოვნიკმა მაგისი რა იცის? ისე, ვანიჩკა, მარტო შენ გაზეთს კი არ უნდა კითხულობდე... მაგრამ, თქვენ და თქვენნაირებს დასავლური ღირებულებები მხოლოდ თქვენსავე სასარგებლოდ გჭირდებათ და გახსენდებათ. მე ვიცი, რითია ირაკლის მიმართ თქვენი სიყვარული განპირობებული... კიდევ ბევრი რამ ვიცი, მოთხოვნის უფლებაც მაქვს და ვალდებულიც ხარ, საპასუხო, გამოსარკვევი ინტერვიუ ჩემთანაც ჩაწერო...“ რა პრობლემაა-მეთქი, მივწერე და შეხვედრა დავთქვით... მაშ ასე, 2014 წლის 29 ნოემბერი, 12 საათი, „ქორთიარდ მარიოტი“... საუბარი 5 საათს გრძელდება... მწვანე ჩაის სენდვიჩი და ყავა ცვლის... საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი მეუბნება, რომ „გარდასულ დღეებზე“ ასე დეტალურად არასოდეს არავისთან ულაპარაკია. ეს, პრაქტიკულად, გენერალ ვალერი ხაბურძანიას მემუარებია, თუმცა საზოგადოებამ თავად უნდა გადაწყვიტოს, ექსჩინოსანი გულწრფელია თუ არა (სხვათა შორის, ხაბურძანია მოგონებების სარკასტულად დაწერას თავადაც აპირებს. ისე, თანამოსაუბრისთვის სარკაზმი არც მე დამიკლია!)... და კიდევ ერთი: შეიძლება, ვინმემ იკითხოს, „ქართული სიტყვა“, რომლის სარედაქციო პოლიტიკაც მკვეთრად პროდასავლურია, რუსეთისმოყვარულ ხაბურძანიას ტრიბუნას რატომ უთმობსო. პასუხი მარტივია: ჩვენ დემოკრატები ვართ! აი, სწორედ ესაა დასავლეთის ყველაზე დიდი ხიბლი! მაშ ასე, ვიწყებთ!**

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ 2014 წლის №48, 49, 50, 51)

**სტენოგრაფიული ჩანაწერი №5**

**უშიშროების ყოფილი მინისტრის ხუთსაათიანი საუბრის ჩანაწერის მეოთხე ნაწილიდან უკვე იცით, რომ ვალერი ხაბურძანიას გარშემო შავი ღრუბლებია შეკრული. სწორედ ამ დროს, ირაკლი ოქრუაშვილი ხვდება და ეუბნება, რომ მიშას კი არა, ბურჯანაძე-ჟვანიას არ „ევასება“...**

**ვალერი ხაბურძანია:** – გამახსენდა, საპარლამენტო მდივანი რომ ვიყავი, ზურასთან კონფლიქტი მომივიდა, რომელიც მალევე მოგვარდა... მოკლედ, ხმა მომივიდა, რომ ბურჯანაძე-ჟვანია მოხსნას მიპირებს და ღამის სამ საათზე, პარლამენტში, ირაკლი ალასანია მიდის. გადაწყდა: ალასანია უშიშროების მინისტრად დაინიშნება, მე კი, უშიშროების საბჭოს მდივნად გადამიყვანენ.

**– ასეთი როტაცია ხელისუფლებაში ჩვეულებრივი მოვლენაა!**

– ახლა, ჩემს წინააღმდეგ მესამე მსოფლიო ომსაც გაამართლებ!.. ამ დროს უშიშროების მდივნის მოვალეობას ჯემალ გახოკიძე ასრულებს, რომელიც მირეკავს და მეუბნება, პრეზიდენტმა ალასანია გენერლობაზე წარადგინაო. სხვათა შორის, ჩემთან რომ მოვიდა, ირაკლი უფროსი ლეიტენანტი იყო და კაპიტნობა, მაიორობა და 2003 წლის 30 ნოემბერს ვიცე-პოლკოვნიკობა, ყველა ვადამდე, მე მივეცი.

**– თუკი მაშინ ალასანიაზე ასე ზრუნავდით, დღეს რატომ ველარ იტანთ?**

– ბიჭო, ფორჩხიძისა არ იყოს, ხომ შეეძლო, ჩემზე ერთი დადებითი სიტყვა ეთქვა? ამდენი ხანი ხელისუფლებაში იყო, 24 საათი მლანძღავდნენ და ერთხელ არ უთქვამს, პანკისის ამბებში ვალერი ხაბურძანიაც მონაწილეობდა და 23 ნოემბერს პარლამენტის კარის გაღებასაც ტყუილად აბრალებთო.

**– ესე იგი, ალასანიას მიმართ, უბრალოდ, პირადული წყენა გაქვთ!**

– არც მისი პოლიტიკური აქტიურობა მომწონს.

**– ეგ თქვენი პრობლემაა!**

– ქვეყნის პრობლემაა – ვთვლი, რომ საქართველოში სირიელი და სხვა ბოევიკების საწრთვნელი ბაზა არ უნდა იყოს.

**– ჯერ ერთი, ალასანიას მსგავსი განცხადება არასოდეს გაუკეთებია. მეორეც, ჯობია, საქართველოში რუსი ოკუპანტების ყოფნა გააპროტესტოთ!**

– ასეთი განცხადება იყო და საქართველოში ამერიკელებიც არიან!

**– ეს ყოფნა რუსების ყოფნისგან იმით განსხვავდება, რომ ამერიკელები საქართველოს ოკუპაციას არ ცდილობენ, თან ამერიკელების დახმარებით ნატო-ში შევალთ და ევროკავშირის წევრიც გავხდებით!**

– მანამდე არაფერი მეტკინოს, ვიდრე შენ ნატო-ში შეხვალ!

**– ბატონო ვალერი, მე კი არა, ნატო-სა და ევროკავშირში ჩვენ, ყველანი შევალთ!**

– რატომ გგონია, რომ ქართველ გლეხებსაც ეს უნდათ?

**– კი არ მგონია, დარწმუნებული ვარ! გლეხმა იცის, რომ ევროკავშირთან გაფორმებულ-რატიფიცირებული ასოცირების ხელშეკრულება სწორედ მის ცხოვრებას გააუმჯობესებს!**

– ეს მიამიტობაა, ეფექტი ნოლია და იგივეა, გაკოტრებულ ფირმას ხელშეკრულება რომ დაუდო, შენგან პროდუქციას ყოველგვარი ბაჟის გარეშე ვიყიდიო... ისე, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ეკონომიკური ბრძოლაა, თორემ პოლიტიკური პროცესების ასე გაგრძელება არავის უნდოდა. უკრაინა ყველას ისე აინტერესებს, როგორც ბაზარი და ყველაფერი იმის ბრალია, რომ ეკონომიკურად ფეხზე წამომდგარი რუსეთის შიში გაჩნდა!

**– უჰ, რუსეთი ფეხზე ძალიან წამოდგა – რუბლს პულსიც აღარ ესინჯება!**

– ეს ცუდია, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერია. აშშ-ს მიზანში ჯერ რუსეთი ჰყავს, მერე – ჩინეთი და ყველაფერი ეს, თუ ასე გაგრძელდა, ახალი მსოფლიო ომით დამთავრდება და რამდენიმე ქალაქი – მოსკოვი, პეკინი, ვაშინგტონი, ლონდონი და პარიზი განადგურდება.

**– მოსკოველებს რას ვერჩი, მაგრამ კრემლის, როგორც გიენების ბუდის განადგურება ნამდვილად მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა იქნება!**

– კარგი, ახლა, კარგი... ხელს ნუ მიშლი, თორემ აღარ მახსოვს, სად ვიყავი.

**– სად იყავით და, – ირაკლი ალასანიაზე „ჭორაობდით“...**

– არ ვჭორაობდი! ჭორაობა არ მახასიათებს და ეგ შეგნებულად ცრუ მონაჭორის გავრცელებაა.

**– ისე, ვაჟა გამახსენდა, ცუდას რად უნდა მტერობაო...**

– მოკლედ, ირაკლის დავუძახე და ვუთხარი, ვიცი, წუხელ სადაც იყავი-მეთქი... ჰო, ჯერ იმას გეტყვი, გახოკიძემ რომ დამირეკა, პრეზიდენტმა მითხრა, ალასანიას გენერლობა უნდა მივანიჭოთო... არადა, გენერლობაზე მე უნდა წარმედგინა.

**– მერე, წარგედგინათ – ახალგაზრდა კაცისთვის კარიერულ კიბეზე ხელი რომ წაგეკრათ, რა დაგიშავდებოდათ?**

– რას ლაპარაკობთ, ვანიჩკა! ისეთი კაცი ვარ, რომ კანონს არ ვარღვევდი. სხვათა შორის, „ნაციონალები“ რომ მოვიდნენ, ამბობდნენ, ხაბურძანიას არაფერი ჰკითხოთ, თორემ დაიწყებს, კონსტიტუცია და კანონიო...

**– რა ვიცი, „ობშიაკს“ ვაგროვებდითო და ეს კანონიერი იყო?**

– მაგას ყველა აგროვებდა, მათ შორის სააკაშვილიც, არც ალასანია ცხოვრობდა 220 ლარზე, ასე რომ... ვიცე-პოლკოვნიკობის მინიჭებიდან ორი კვირაა გასული და მეუბნებიან, გენერლობაზე წარადგინაო. ვიცე-პოლკოვნიკსა და გენერალს შორის პოლკოვნიკის წოდებაა. მსოფლიო სამხედრო ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა კაცს წოდება საფეხურგამოტოვებით მიენიჭა და ეს მფრინავი გაგარინი იყო, რომელიც უფროსი ლეიტენანტი გაფრინდა და მაიორი ჩამოფრინდა. მოკლედ, ბატონ ჯემალს ვუთხარი, რომ ნინოს დაერეკა. ნახევარ საათში დამირეკა. მაშინ ნინოზე აღრენილი ვიყავი, ის კი, – ჩემზე.

**– სამაგიეროდ, დღეს „გევასებათ“...**

– პოლიტიკაა და თუ ინტერესები დაემთხვა, ასეა. მე და ნინო ერთი პერიოდის სტუდენტები ვართ და ეგ რომ პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ერთადერთი მინისტრი ვიყავი, რომელიც დავდიოდი და მოხსენებებს „ვუკეთებდი“.

**– თქვენი და ბურჯანაძის რუსული „კანალები“ ერთი და იგივეა?**

– სამწუხაროდ, ნინოს არანაირი რუსული „კანალი“ არ აქვს.

**– აბა, „პაკლონაია გარაზე“, პუტინის გვერდით, მე ვიდექი?**

– ეს თავისი პოლიტიკური იმიჯისთვის გააკეთა, თორემ პუტინის გვერდით თავის დროზე მიშაც იდგა და ისიც თქვა, პუტინს თვალებში ჩავხედე და ამნაირი ჰუმანური ადამიანი მეორე არ დადისო.

**– მიშაც, ჩემი აზრით, რუსული პროექტი იყო...**

– მაშინ რუსული პროექტი ვინ არ არის?

გაგრძელება მე-15 გვ.

**რა კავშირი ჰქონდა ავტორიტეტ კოხიას გარდაცვალებას სულხან მოლაშვილის დაჭერასთან – უშიშროების ყოფილი მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას ხუთსაათიანი საუბრის სკანდალური ჩანაწერის მეხუთე ნაწილი**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

7 – 13 იანვარი 2015 | № 1 (265) | 15

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## სტენოგრამა

მე-14 გვერდიდან

**— ვინ და, — ირაკლი ალასანია!**

— ალასანია უფრო მეტად ამერიკელია, ვიდრე ამარიკელები მისგან მოითხოვენ!

**— ალასანიამ იცის, რომ საქართველოს ერთადერთი ხსნა ევრო-ატლანტიკური სივრცეა და „უფრო მეტად ამერიკელიც“ ამიტომაა!**

— არ შეიძლება, რომის პაპზე მეტი კათოლიკე იყო... ამ კაცს ხელისუფლებისკენ ლტოლვა აქვს.

**— სხვათა შორის, ალასანია ხელისუფლებაში იყო და, ლტოლვა რომ ჰქონოდა, ხელისუფლებას არ დაუპირისპირდებოდა!**

— კარგი, რა?! 7 ნოემბერს სად იყო?

**— გეტყვით: 7 ნოემბრის შემდეგ, ლევან მიქელაძესთან ერთად, გადადგომას ეს ბიჭებიც აპირებდნენ, მაგრამ მიქელაძემ უთხრა, საბოტაჟი იქნებაო...**

— ვანიჩკა, ეს ზღაპარია.

**— გეგონოთ!**

— მიხეილ სააკაშვილი ირაკლი ალასანიას ვერასოდეს იტანდა და ვერც ახლა იტანს, რადგან ორივე ამერიკული ლობის წარმომადგენელია და ერთმანეთს ბლოკავდნენ. რევოლუციის მერე, სააკაშვილმა სამსახურიდან დაითხოვა და ერთი თვე უმუშევარი იყო, მაგრამ მერე, ჩვენი დამლუპველი მეთიუ ბრაიზა მიშასთან მივიდა და ეუბნება, მიშა, ამ კაცის დაკარგვა არ შეიძლება, ამერიკელები აფხაზეთის საკითხის გააქტიურებას ვაპირებთ და ირაკლის აქეთ წავიყვანთო. მიშამ იფიქრა, ეს მკვდარი თემაა და მოვიცილებო.

**— ის, რომ ირაკლი ალასანიას ამერიკელები მფარველობენ, კომპრომატი ტყუილად გგონიათ!**

— ჯერ ერთი, არც ერთი ქვეყნის აგენტი არ უნდა იყო!

**— ბატონო ვალერი, რა ხუმარა ხართ!.. მერწმუნეთ, კრემლის გავლენის ქვეშ ყოფნა ნამდვილად ცუდია!**

— მოიცა, რა, მამამისი საბჭოთა-რუსული „კა-გე-ბე“-ს ოფიცერი არ იყო.

**— მამამისი რუსებისგან გონებაარეულმა აფხაზებმა წამებით მოკლეს!**

— ეს დიდი ტრაგედიაა, მაგრამ ამ თემაზე სხვა დროს ვილაპარაკებ!

**— რაღა უნდა ილაპარაკოთ, ფაქტი სახეზეა: მამია ალასანია წამებით მოკლეს!.. ერთი სიტყვით, ალასანიაზე პიროვნულად ხართ განაწყენებული...**

— შენ არ განაწყენდებოდი, კაცო?!

**— თუკი ადამიანი ქვეყნისთვის კარგს აკეთებს, რატომ უნდა გავნაწყენდე?**

— ვინ გითხრა, რომ ქვეყნისთვის კარგია? — 8 წელიწადი ხელისუფლებაში იყო და რა გააკეთა?

**— იმაზე მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა, რაც აგვისტოს ომის დღეებში, გაერო-ში ჩურკინს დამართა?**

— ჩურკინს კარგად დაუახლოვდა, ეს საგარეო ვიზუალი იყო, ჩურკინი მოსკოვში რომ ჩავიდა, თქვა, ერთადერთი ადექვატური ალასანიააო და ლავროვთან შეხვედრა მოუწყო.

**— ჯერ ერთი, არავინ იცის, ჩურკინმა რა თქვა, მეორეც, ალასანია და ლავროვი ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ!**

— იცის ზოგიერთმა. მოიცა, ერთი... ჩემი მინისტრობის დროს, მამამისის გადმოსვენების საკითხი დადგა და რუსებს დახმარება ვთხოვე. „ეფ-ეს-ბე“-ს დირექტორის პირველ მოადგილეს, პრონიჩევს ვაცილებდი, აეროპორტში ალასანია მოვიდა და გვერდით გაიყვანა. ესეც არ იყო ლამაზი... სხვათა შორის, პატრუშევი პირველად რომ ჩამოვიდა, შეხვედრაზე ალასანიასაც დავუძახე, რაღაცას ვლაპარაკობდით, ეს ბიჭი წამოხტა და პატრუშევისკენ გაიწია!

**— კარგადაც უქნია — მტრებს ასე უნდა ველაპარაკოთ!**

— ეს, ძმაო, სახელმწიფო სამსახურია, იმ დროს დსთ-ში ვართ და ირაკლისაც ვუთხარი, ემოციას თუ ვერ იკავებ და ვიღაცების მიმართ პირადი ანგარიში გაქვს, ჩაჯექი თვითმფრინავში, წადი და ააფეთქე-მეთქი. ასეთი ბავშვობა სახელმწიფო სამსახურში როგორ შეიძლება!

**— აღიარეთ, რომ ალასანია, კაცურად, პატრუშევთან სწორად მოიქცა!**

— ქუთაისელ კაცს კაცურს ნუ მასწავლი! ეს „შავი ბაზარი“ და „ჩაცუცქობია“ მიშამ, როგორც ამბობენ, დაამთავრა! რა „კაცურზეა“ ლაპარაკი?

**— ირაკლის ადგილას თქვენ რომ ყოფილიყავით, მამის მკვლელს ფიანდაზს გაუშლიდით?**

— მამამისი აფხაზებმა მოკლეს.

**— ხომ შევთანხმდით, რომ აფხაზებს გონება რუსებმა აურიეს?**

— არა!

**— აბა, ჰო, აფხაზებმა ომი სულ თავიანთი სურვილით დაგვიწყეს!**

— იმაზე ნუ გადამიყვან, ელცინმა რა თქვა... რა, ახლა გინდა, მთელი ჩემი ცხოვრება მოგიყვე და ყველაფერი ეს უფასოდ წერო?

**— უფასოდ რატომ უნდა ვწერო? — თუ გინდათ, თქვენზე წიგნს დავწერ და კარგ ჰონორარსაც გადამიხდით, „მოსულა“?**

— წიგნის ორგანიზაციულ საკითხებში, რა თქმა უნდა, გადავიხდი, მაგრამ მინდა, ეს წიგნი სატირული იყოს, რადგან ყველაფერი, რაც ხდებოდა, სატირაა...

მოკლედ, კაცმა ძირი გამომითხარა — ბურჯანაძე და ჟვანია ჩემს ადგილას მის დანიშვნას აპირებენ. შე მამაცხონებულო, ამ სამინისტროში მე მიგიყვანე და...

**— თუ იცოდით, რომ „მამაცხონებული“ იყო, სამინისტროში რატომ მიიყვანეთ?**

— პირველი მოადგილე არ მყავდა და როცა ამერიკელებთან ურთიერთობა დავიწყე, მივხვდი, მჭირდებოდა კაცი, რომელიც ამერიკელებთან ურთიერთობას დააბალანსებდა. ამ დროს ალასანია უშიშროების საბჭოში ჩემს ადგილას ახალი დანიშნული იყო და ვიცოდი, რომ ამერიკელები ავთო იოსელიანის შემცვლელად, ანუ დაზვერვის შეფად ამზადებდნენ... ისე, გინდა, მოგიყვე, როგორი „ამერიკელი“ ვიყავი და ამერიკელები როგორ მენდობოდნენ?

**— კაცო, თუ ამერიკელი იყავით, ეს ოკუპანტი რუსები რაღამ შეგაყვარათ?**

— სხვები არავინ მიყვარს! მხოლოდ ჩემი ცოლი, შვილები და მეგობრები და სამშობლო მიყვარს! რუსეთში რაღაცები მომწონს, რაღაცები — არა. მოკლედ, თემას დავუბრუნდეთ, თემას: 1998 წელს ამერიკელებმა ძალიან „გაახურეს“ და შევარდნაძეს და საჯაიას ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა მოთხოვეს.

**— მერე?**

— ამ დროს უშიშროების საბჭოში ახალი გადასული ვიყავი. საჯაია ერთი კვირით ჰონკონგში წავიდა, სადაც ინგლისელების მიერ შექმნილი ყველაზე წარმატებული ანტიკორუფციული სამსახური არსებობდა. სხვათა შორის, ჰონკონგი ინგლისის საოკუპაციო ზონა იყო, მაგრამ ეს „კეთილ“ ოკუპაციად ითვლებოდა.

**— ცინიზმი იქით იყოს და, რუსი ოკუპანტი მაინც განსაკუთრებული მოვლენაა — 85 წლის მოხუცებსაც აუპატიურებს!**

— ვინ გააუპატიურეს?

**— ეს ინფორმაცია თავის დროზე თქვენმა მეგობარმა მარიკა ვერულაშვილმა გაავრცელა...**

— მარიკას ვკითხე, ეს რამ გათქმევინამეთქი და აბა, რა მექნაო. ხომ იცი, მაშინ სლოგანებს ხელმძღვანელობა „არიგებდა“.

**— შეიძლება, მაგრამ იმედია, არ უარყოფთ, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსებმა საშინელებები ჩაიდინეს!**

— ალბათ, ომში ასეა, მაგრამ ჩადი გორში და იკითხე, რუსებმა რა გააკეთეს.

**— უკვე ჩავედი, ვიკითხე და მთელმა მსოფლიომ იცის, რომ გორში რუსის ტყვიას არაერთი ადამიანი შეეწირა.**

— ომია, კაცო, და აბა, როგორ იქნება? იქითაც ბევრნი დაიღუპნენ!

**— რუსები შემოგვესივნენ! თქვენს სახლში რომ შემოვვარდე, ვარდებს მესვრით?**

— ნუ იცით უტრირება. პოლიტიკაში ასე ლაპარაკი როგორ შეიძლება?.. იყო ორმხრივი სროლები, მერე, ჩვენებმა ესროლეს სამშვიდობო ჯარებს!

**— ბატონო ვალერი, ერთი ქართული ანდაზა გამახსენდა, შეაყარე კედელს ცერცვიო... გიორგი ანწუხელიძე გმირია თუ არა?**

— გმირია! ეს ბიჭი მიცვალებულ გმირად თქვენ გახადეთ, ვინც მხარს საომარ რიტორიკას უჭერთ, თორემ ცოცხალი გმირი იქნებოდა!

**— მხარს საომარ რიტორიკას კი არ ვუჭერთ, ყველაფერს თავის სახელს ვარქმევთ და ვამბობთ, რომ კრემლი ცუდი და ოკუპანტია!**

— რუსეთი ჩვენთვის დღეს მტერია!

**— ალილუია!**

— რუსეთისთვის ჩვენც მტერი ვართ!

**— ეს საიდანღა მოიტანეთ?.. ისე, რუსეთს ბაბაია ხომ არ დავუძახოთ?**



— არა... ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს.

**— და ეს „საერთო ინტერესი“ რა არის?**

— ის, რომ კავკასიაში მშვიდობა იყოს და მართლმადიდებლური სარწმუნოება არ გათახსირდეს!

**— ვალერი ბატონო, მოსკოვში ცხოვრობთ და გაიგებდით, ამას წინათ, ორმა რუსმა ლგბტ პირმა ხელი მოაწერა — ესეც თქვენი ერთმორწმუნე და გაურყვნელი რუსეთი!**

— კაი, კაცო, ტყუილია, ამ „უკრინფორ“-ს ნუ უსმენ.

**— „უკრინფო“-ს კი არ ვუსმენ, „ნეფე-პატარძლის“ ინტერვიუ წავიკითხე!**

— მერე, რა?! რუსეთი დიდი ქრისტიანული სახელმწიფოა.

**— და ამ „დიდ ქრისტიანულ სახელმწიფოს“ მილიტარისტული მიზნები აქვს!**

— რუსეთი იმპერიაა, ეს მისი არსებობის ფორმაა და უნდა, რომ სატელიტი სახელმწიფოები ჰყავდეს!

**— ჩვენ კი არ გვინდა, კრემლის ვასალები ვიყოთ და ძალაა?!**

— ვასალი ვასალია, ეგ პოლიტიკური ბოთეს მიდგომაა...

**— ჩვენ ბოთეები ვართ და თქვენ — არა, ხო? სულხან საბასაც ბოთედ თვლით?**

— სულხან საბა ევროპიდან დაბრუნდა და თქვა, ხალხო, ჩვენს თავს მივხედოთო... საერთოდ, პროზელიტიზმის, ანუ მოსყიდვის, გადაბირების წინააღმდეგი ვარ, ეს ათასი ჯურის სექტას და თუნდაც ტრადიციულ რელიგიას ეხება საქართველოში. სულხან საბაც პროზელიტიზმის მსხვერპლი იყო.

მოკლედ, ირაკლის ვუთხარი, ვიცი, რომ მინისტრობა შემოგთავაზეს-მეთქი...

**— ბატონო ვალერი, დავაკვირდი და, ირაკლი ალასანიას „განადგურებას“ ცდილობთ, სააკაშვილზე კი, მხოლოდ იმას ამბობთ, გიჟიაო. ისე, მიშა თვითონაც ადასტურებს, რომ აღვირი არ აქვს...**

— მერე, რა დასკვნა გამოიტანე?

**— ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ხალხი ტყუილად არ ამბობდა, ხაბურძანია სააკაშვილთან იყო შეკრულიო, თან არც მეუბნებით, „ვარდოსნებმა“ გენპროკურორის მოადგილის პოსტი რატომ და როგორ მოგცეს...**

— ისევ უზნაძე და განწყობის თეორია. აი, ახლა მიშას ამბებთან მივდივარ... რევოლუციის დროს, მიხეილ სააკაშვილს სერიოზულ ფიგურად არ ვთვლიდით და მასზე კონტროლიც კი არ მიდიოდა. შიდა საუბრებიდან ვიცოდით, რომ მიშასთვის მაქსიმუმი იყო, პარლამენტში 14 ადამიანი შეეყვანა. მას პატარა ფული ბადრი პატარკაციშვილმა მისცა... სხვათა შორის, მიტინგები რომ დაიწყო, „ნაცმოძრაობის“ ოფისში „სასიკებს“ ხარშავდნენ და მომიტინგეებს ურიგებდნენ. „სასისკების უფროსი“ გივია თარგამაძე იყო. ჰოდა, ერთხელ, გივია დათვრა, „სასისკების“ ფული შეჭამა, მომიტინგეებს ველარ მიუტანა და კარგა მაგრად „გაბერტყეს“...

### მცირე არალირიკული გადახვევა

**უშიშროების ყოფილმა მინისტრმა რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, ყველაფერ ამას იმიტომ გიყვები, რომ ჩემი სიმართლე დაიჯეროო. ჩავეკითხე, რატომ გადაწყვიტეთ, რომ გული მაინცდამაინც ჩემთვის გადაგეშალათ-მეთქი. სიტყვა-სიტყვით ასე მიპასუხა: „ჯერ ერთი ამ ტიპის პოლემიკაში ფორჩხიძის ინტერვიუებით თქვენ შემოდით, ამასთან ისეთი ტიპი ხარ და ისეთ ხალხთან გაქვს საქმე, რომ სწორედ აქ მჭირდება ჩემი სიმართლის მიტანა, თუნდაც ჩარკვიანების ოჯახთან...“**

**ვალერი ხაბურძანია:** — ...საახალწლო მზადებაა და ჟვანია ამბობს, ევროპული ახალი წელი უნდა გვქონდეს — გლინტვეინი და ჰაი-ჰუიო. მივუგე, ზურა, ძალიან რთული სიტუაციაა და უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები უნდა მივიღოთ-მეთქი. სხვათა შორის, მანამდე კრწანისში, რაღაც ლეიბები ნახეს — თითქოს მიშას კლავდნენ. მივქარე და ამ ამბავს მეც ავყევი. სინამდვილეში, ბავშვები „შტაბობანას“ თამაშობდნენ და ლეიბით ნაძვზე შტაბი გააკეთეს. შს მინისტრი ბარამიძე იყო, პანიკა და პიარი სჭირდებოდათ, მთხოვეს, იქნებ, შენც რამე თქვაო და ვთქვი, მიშას აქ ყოფნა არ შეიძლება, საშიში სიტუაციაა და დაცვა უნდა გაძლიერდეს-მეთქი.

**— მაშასადამე, კონიუნქტურაზე წახვედით?**

— დიახ... იმას აღარ მოგიყვები, როგორ ვყავდი ამერიკული აპარატით ირაკლის მოსმენაზე ჩართული...

**— ბავშვობაში, ჩემი არ იყოს, თქვენც, როგორც ჩანს, ბევრ ზღაპარს კითხულობდით...**

— ეგ კარგია, მთავარია, არ მოყვე, რა ზღაპარს... კაცო, ნამდვილ ამბავს გიყვები... მოკლედ, საახალწლო ღონისძიებაა ჩასატარებელი და ჩემი სპეცრაზმის ამერიკული ბრიგადა გამოიყვანეს, არადა, ამერიკელები ამის უფლებას არ გვაძლევდნენ... ვანიჩკა, იცი, კიდევ რაზე გავბრაზდი? — ირაკლის ჰქონდა განწყობა, რომ თითქოს მკვლელები მივუგზავნე.

**— ვაიმე, მართლა მიუგზავნეთ?**

— ზღაპარია... ალასანიაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ იმასთანაა დაკავშირებული, თუ რატომ ვიქცეოდი მე რაღაცნაირად.

**— დღეს „რაღაცნაირად“ რატომღა იქცევით?**

— რუსეთთან დაკავშირებით?.. მაგასაც გავყვეთ... მოკლედ, ირაკლის თავი დავანებოთ და გადავიდეთ მიშაზე, რომელიც მოვიდა, თათბირი ჩაატარა და გვითხრა, აი, უშიშროების მინისტრად მოგიყვანეთ კაცი, რომელიც ძალიან ბოროტი არსებააო. ეს „არსება“ ადეიშვილი იყო. ადეიშვილს ვთხოვე, მანქანით გამიშვი-მეთქი.

**— შინ ფეხით რომ მისულიყავით, მეზობლების გაგიტყდათ, არა?**

— არა. პირველ დღეს წავედი უკვე ფეხით, უბრალოდ, რევოლუციამდე, „ნისან-პატრული“ შევუკვეთეთ, რომელიც რევოლუციის მერე ჩამოვიდა, ნაჯდომი არ ვიყავი და მინდოდა, სიმბოლურად მემგზავრა. სხვათა შორის, სალაპარაკო გახდა, რომ წიგნის თაროები წავიღე.

**— მოიპარეთ?**

— არა, ჩემი ფულით მქონდა ნაყიდი...

**— კორუმპირებული ფულით?**

— კი ბატონო, შენ მასე დაუძახე, მაგრამ, ვანიჩკა, წეღანაც გითხარი, ენა როგორ გიბრუნდება, რომ ჩემს კორუფციას იმ კორუფციასთან ახსენებ, რომელსაც ექვსი ნოლი უწერია... კიდევ ერთი დეტალი უნდა აგიხსნა: პანკისში სიტუაცია რომ გართულდა, ამერიკელებმა ირაკლის ოჯახს დაცვა გაუ-

გაგრძელება მე-16 გვ.

№ 1 (265)
7 – 13 იანვარი 2015
ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## სტენოგრამა

მე-16 გვერდიდან

კეთეს — ვიდეოთვალი დაუყენეს, ესა, ისა... ეს რომ გავიგე, რეზიდენტს ვეხუმრე, ჩეჩნები ჩემს მიმართ ასე კარგად არიან განწყობილნი, რომ ტუალეტთან დინამიტი დამიდეს და რა ხდება-მეთქი. მიპასუხა, თქვენთან დაკავშირებით განსაკუთრებული გეგმა გვაქვს და დამავიწყდა, მომეხსენებინაო. მერე, ჩემთანაც რაღაცები გააკეთეს — ვიდეოთვალი დააყენეს. პროკურატურიდან რომ წამოვედი, ვანო მერაბიშვილმა დამირეკა, ვიდეოკამერები გქონიაო. მოხსნეს და წაიღეს... მინისტრობიდან რომ გადამაყენეს, მეორე დღესვე გენპროკურორის მოადგილედ დავინიშნე.

— **იცოდით, რომ ამ თანამდებობაზე გნიშნავდნენ?**

— ვიცოდი...

— **ვინ გითხრათ?**

— ჯერ ახალი წლის თემას დავუბრუნდეთ... მომივიდა ინფორმაცია, რომ სპეცრაზმმა რუსთაველის პროსპექტზე რაღაც აღმოაჩინა. ვიკითხე, რაც აღმოაჩინეს, სად არის-მეთქი. ჟვანიასთან წაიღესო. მივხვდი, რომ ხელისუფლება ნელ-ნელა ხელიდან მიმდის... თავი დავადე და ჟვანიასთან წავედი. რას ვხედავ: სპეცრაზმის უფროსი შალვა ჯანაშვილი, ირაკლი ალასანია და ზურაბ ჟვანია სურათებს ათვალიერებენ. ჟვანია მეუბნება, ვალერი, რაღაც აღმოვაჩინეთ, მაგრამ შენ აღარ შეგაწუხეთ და ვარჩევთ, როგორ გავაპიაროთო. სინამდვილეში, ქილა აღმოაჩინეს, რომელშიც „ბოლტები“ ასაფეთქებელი ნივთიერების გარეშე იყო მოთავსებული. ვუთხარი, ეს ამბავი რომ გააპიაროთ, მთელი საახალწლო ღონისძიება ჩაიშლება-მეთქი. ზურამ, თუ ასეა, არ უნდა ვთქვათო...

ამ დროს ირაკლი ოქრუაშვილი შიდა ქართლის გუბერნატორია და მთხოვა, მიშამ მითხრა, თუ თავს გამოიჩენ, გენპროკურორად დაგნიშნავო და ჯგუფი მომეცი, უნდა დავტრიალდეო. ირაკლისთან ვმეგობრობდი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაშიც“ ერთად ვიყავით... აფხაზეთის 6-7-კაციანი სპეცრაზმი მივეცი, რომლითაც ბორდელები დაარბია...

მოკლედ, ოქრუაშვილმა მითხრა, ჟვანია ვერ გიტანსო. ეგ ვიცი, მაგრამ თქვენ რას აკეთებთ-მეთქი. მპასუხობს: გუშინ მე, მიშა, ჟვანია, მერაბიშვილი და ადეიშვილი აბანოში ვიყავითო.

— **სად ვიყავითო?**

— გოგირდის აბანოში, რა მოხდა მერე?

— **არაფერი...**

— ჰოდა, ჟვანიამ აიჩემა, ხაბურძანიას ახალ მინისტრთა კაბინეტში ვერ დავტოვებთო...

— **აბანოში თქვენც ხართ ნამყოფი?**

— მაგათთან ერთად — არა. საერთოდ, „ნაციონალები“ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს სწორედ გოგირდის აბანოში იღებდნენ...

როგორც ირაკლი ოქრუაშვილმა მითხრა, მიშას ჟვანიასთვის წინააღმდეგობა გაუწევია, თუ ხაბურძანია არა, მაშინ ახალ კაბინეტში არც დავით კირვალიძე უნდა იყოსო. ბოლოს, შეთანხმებულან, რომ ძველი მთავრობიდან არავინ დაეტოვებინათ და ოქრუაშვილმა მითხრა, არ ვიცი, შენი საკითხი როგორ გადაწყდებაო. ირაკლის მივუგე, რაღაც შესაძლებლობა და გამოცდილება მაქვს, თუ გინდათ, დამტოვეთ, თუ არა და, კარგად იყავით-მეთქი.

— **ესე იგი, მიშას თქვენს მიმართ ცუდი განწყობა არ ჰქონდა?**

— არც — კარგი, შიდა ომი მიდის და მიშა ჟვანია-ბურჯანაძის წინააღმდეგ მიყენებს, თან ჯერ გადაწყვეტილი არაა, რომ მიშა პრეზიდენტი გახდება. ნინო ახლა იძახის, კენჭი არ მაყრევინესო, მაგრამ რომც ეყარა, მიშას ვერ მოუგებდა, რადგან ხალხის განწყობა ასეთი იყო.

მეორე დღეს ვანო მერაბიშვილმა დამიძახა, რომელიც უკვე უშიშროების საბჭოს მდივანია. რუსების ნაჩუქარი, ახალთახალი „ვალი“ მქონდა, რომელიც იმ დროს თითქმის საიდუმლო იარაღი იყო.

— **რუსებმა „თითქმის საიდუმლო იარაღი“ რა დამსახურებისთვის გაჩუქეს?**

— იმიტომ მაჩუქეს, რომ პანკისში იმ ყარაჩაელი ტერორისტების დაჭერაში ვეხმარებოდი, რომლებმაც მოსკოვსა და ვოლგადონსკში საცხოვრებელი სახლები ააფეთქეს.

— **ეს იარაღი ახლაც გაქვთ?**

— არა... მაცადე... სხვათა შორის, ყველა იარაღი გაფორმებული მქონდა. ჰოდა, ვანოს ვუთხარი, აი, ამ „ვალს“ შენს დაცვას ვჩუქნი, „ჰეკლერ კოხს“ კი, — შენ, ოღონდ ეს მამაჩემზეა გაფორმებული და გადაიფორმე-მეთქი. მერე, ამ იარაღთან დაკავშირებით კურიოზი მოხდა... ვანომ ლაპარაკი გეოსტრატეგიაზე დამიწყო, ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო და ვიფიქრე, სად ვანო და სად — გეოსტრატეგია-მეთქი...

— **მაშინ იცოდით, რომ ვანოს რუსებთან გარკვეული კავშირი ჰქონდა?**

— კი, ვიცოდი, მაგრამ კავშირები თანდათან იშლება. სხვათა შორის, ვანო მოსკოვის ცენტრში, საბჭოთა არმიის კავშირგაბმულობის ერთ-ერთ დანაყოფში მსახურობდა. მაშინ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსკოვში მოხდა წარმოუდგენელი იყო, ყველაზე „დარმავოიდ“ კი, კავშირგაბმულობა ითვლებოდა, მაგრამ ალბათ, დარაჯად იდგა, ანუ პრაქტიკულად, „კა-გე-ბე“-ს რაღაც ნაწილში მსახურობდა და ეს თვითონ რუსებმა მითხრეს, თორემ სპეციალურად არ ამომიქექავს. ვუთხარი, ვანო, რა შორიდან მივლი, პირდაპირ მითხარი, რა გინდა-მეთქი. ოქრუაშვილის ნათქვამი გამიმეორა, ჟვანია შენი მინისტრობის წინააღმდეგია, მაგრამ შენზე იუსტიციის მინისტრობას ვფიქრობთო. გამიკვირდა, უშიშროების მინისტრად არ მენდობით და იუსტიციის მინისტრად როგორ დამნიშნავთ-მეთქი. ვანომ უცებ მკითხა, კონტროლის პალატის თავმჯდომარედ არ წახვალო? მივუგე, ჯერ ერთი, სხვანაირად გაზრდილი კაცი ვარ, სულხანი და მე, ასე თუ ისე, მეგობრები ვართ და მას კონსტიტუციური ვადა ჯერ არ ამოუწურავს, მეორეც, კონტროლის პალატის თავმჯდომარის დანიშვნა პარლამენტის თავმჯდომარის პრეროგატივაა, ნინო ბურჯანაძესთან კი, გართულებული ურთიერთობა მაქვს და არასოდეს იზამს, რომ ამ თანამდებობაზე წარმადგინოს-მეთქი. სხვათა შორის, პრეზიდენტობის თემა რომ დადგა, ამერიკელებმა აზრი მკითხეს და ვუთხარი, საკითხი რომ არ გაიხლიჩოს, პრეზიდენტობის კანდიდატი სააკაშვილი უნდა იყოს-მეთქი, ალასანია მხარს ბურჯანაძეს უჭერდა... კარგი, ვალერი, მოვიფიქრებთო, მომიგო ვანომ. გავბრაზდი და სამინისტროში დაბრუნებულმა მოადგილეებს ვუთხარი, ბიჭებო, წასულები ვართ-მეთქი.

— **მოკლედ, გადარჩენისთვის იბრძოდით!**

— ასეთი სიტუაცია შეიქმნა, თუმცა შევარდნაძის დროს მსგავს რამეს არ გავაკეთებდი...

მოკლედ, ვანიჩკა, ისეთი რუსული „ბეგრაუნდი“, როგორსაც მაწებებთ, არ მაქვს და არასოდეს ვიქნები ქართველებისადმი ცუდად განწყობილი რუსების დავალებების შემსრულებელი!

— **არც პუტინის დავალებებს ასრულებთ?**

— არ აქვს პუტინს ეს დავალებები და არც შევასრულებ.

— **ისევ ხუმრობთ, არა?**

— პუტინს ჩვენთვის ყოველ დღე კი არა, თვეში ერთხელაც არ სცალია. ერთხელ, მასთან სტუმრად ვიყავი...

— **ამის თაობაზე ადრეც მითხარით — ჩაი რომ დაგალევინათ...**

— ჩაი კი არა, არაყი დავლიეთ... შევარდნაძემ მთხოვა, პუტინთან წერილი მაქვს გაგზავნილი, პასუხი არ მომდის და იქნებ, პატრუშევს ჰკითხოო. ისეთი ვარიანტი ჩამივარდა, რომ პირდაპირ პუტინთან აღმოვჩნდი.

— **თან მოსასვენებელ ოთახში — ტა-ნა-ნააა...**

— პუტინს შევარდნაძის თხოვნა გადავეცი. მიპასუხა, რა წერილი, აბა, ჩემს მაგიდას შეხედე და გგონია, ყველაფერს ვკითხულობ? თუ რამე უნდა, დამირეკოსო...

— **ერთი სიტყვით, ვანო მერაბიშვილმა კონტროლის პალატის თავმჯდომარეობა შემოგთავაზათ. მერე, რა ხდება?**

— სამინისტროში დავბრუნდი და სულხან პაპაშვილს დავუძახე...

— **პაპაშვილი ისევ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის ხელმძღვანელია?**

— არა... სულხანმა შემომთავაზა, მოდი, მოლაშვილს დაველაპარაკოთ, იქნებ, ეს ვარიანტი ჯობდესო. ამასობაში, მოლაშვილზე შეტევა დაიწყეს.

— **გამოდის, რომ „ნაციონალებმა“ სულხან მოლაშვილზე იერიში თქვენს გამო მიიტანეს!**

— არა, არა... მოლაშვილის მიმართ პირადი განაწყენება სააკაშვილს ჰქონდა. რევოლუციის დროს, ჩემთან ე.წ. რევოლუციის „ინწელიგენცია“ მოვიდა — ბულაძე, დათო ტურაშვილი, ლევან რამიშვილი, რამდენიმე პოეტი და მითხრეს, სწორ გზაზე ვდგავართ და კორუმპირებულები, მათ შორის, სულხან მოლაშვილი უნდა დაიჭიროთო.

— **დასთანხმდით?**

— რომ დავთანხმებულიყავი, ტაშს დამიკრავდნენ, შავ საქმეებს გამაკეთებინებდნენ და მერე, რა თქმა უნდა, მაინც მომხსნიდნენ, მაგრამ შტერი არ ვარ, თან მორალი წავუკითხე, ჯერ ერთი, ეს კაცი ჩემი მეგობარია, მეორეც, სისტემაში ყველანი კორუმპირებულები ვართ, მიშაც მუშაობდა და თქვენს რევოლუციურ განწყობას ანგარიშსწორებაში ნუ გადაიყვანთ-მეთქი.

სხვათა შორის, მერე, მოლაშვილი ბრალს მიყენებდა, იცოდი, რევოლუცია რომ მოხდებოდა, მაგრამ არ მითხარიო.

— **შეგეძლოთ, რომ მიშასთვის მოლაშვილის დაჭერა გადაგეფიქრებინათ?**

— არა.

— **რატომ?**

— ავტორიტეტი კოხია გარდაიცვალა. ამ დროს უკვე გენპროკურორის მოადგილე ვარ. კოხიას არ ვიცნობდი, მაგრამ ჩემი ახლო მეგობრის სიმამრი იყო და გასვენებაში მივედი. გავიხედე და, მოლაშვილიც მოვიდა, მაგრამ დღემდე არ ვიცი, რატომ. სხვათა შორის, ჭირისუფალმაც მკითხა, აქ რა უნდაო. ამ დროს, როგორც მერე გავიგე, მოლაშვილს უკვე „მეშვიდე“ დაჰყვებოდა, რომელმაც პატაკი დაწერა... ვიდრე გასვენებაში წავიდოდი, ირაკლი ოქრუაშვილს დავურეკე და ვუთხარი, მიშას ახლობლები რომ არიან, შარანგიები, ისინიც იქნებიან და გასვენებაში მივდივარ-მეთქი... მოკლედ, „მეშვიდის“ წერილში ეწერა, კოხიას გასვენებაში უშიშროების ყოფილი მინისტრი მივიდა, რომელმაც კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარეც მიიყვანაო. არადა, ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით. ამ დროს სულხანთან ხელი აღარ მიმიწვდებოდა, მაგრამ ჩვენი ბიჭები აფრთხილებდნენ, წადი, თორემ დაგიჭერენო... ისე, უშიშროების საბჭოზე, რომელსაც ბურჯანაძე ატარებდა, სულხან მოლაშვილი მოვიდა და განაცხადა, კონსტიტუციური ვადა მაქვს, შემიძლია, გაგიძალიანდეთ და არ გადავდგე, მაგრამ ახალ წლამდე მაცადეთ და როგორც კი ახალ პრეზიდენტს აირჩევთ, გადავდგები და წავალო. მოკლედ, დაახლოებით, ასეთი მორიგება შედგა და 2004 წლის 5 იანვარს სულხანი, მართლაც, გადადგა, მაგრამ ეგენი რისი გველები იყვნენ, თუ მოლაპარაკებას არ დაარღვევდნენ.

— **არ დაგავიწყდეთ: ამ „გველებთან“ მშვენიერი ურთიერთობა გქონდათ!**

— იმას გიყვები, კაცო, პირობებს მეც როგორ მირღვევდნენ...

— **ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ოქრუაშვილმა შეგიფარათ, არა?**

— ირაკლიმ მითხრა, ჟვანიამ ერთი ამბავი ატეხა და იძულებული ვარ, ჩემთან წაგიყვანო, თან რაღაცების ქექვა დაიწყეს და ასე ჯობიაო. სხვათა შორის, ამ დროს ოქრუაშვილს, ადეიშვილსა და მერაბიშვილს შორის ფავორიტობისთვის შინაგანი ბრძოლა უკვე დაწყებულია...

მერაბიშვილთან შეხვედრაზე გიყვებოდი და ვერ დავამთავრე: ვანომ მითხრა, სამსახურის საკითხი ვერ გადავწყვიტეთ, მაგრამ შენთან, როგორც გამოცდილ კაცთან, ერთი შეკითხვა მაქვსო. თუ გამოცდილად მთვლი, კარგი, გისმენ-მეთქი. ვაპირებთ, ჯარს კარგად ჩავაცვათ, გავწვრთნათ და ექვს თვეში, ცხინვალში, ან სოხუმში შევიდეთ და შენი აზრით, რა მოხდებაო. მივუგე, რუსები თბილისს დაბომბავენ-მეთქი. გაეცინა, შენნაირი მინისტრები რომ იყვნენ, ახლა ამ კაბინეტში ამიტომ ვზივარო. ღმერთმა ამ კაბინეტში დიდხანს გამყოფოს, მაგრამ მე ჩემი გითხარი-მეთქი. ასეც მოხდა...

— **მაშასადამე, აგვისტოს ომის სცენარი ჯერ კიდევ 2003 წელს გცოდნიათ!**

— იმ ქორების განწყობა, რომლებიც რუსეთში პოლიტიკას ქმნიან, რა თქმა უნდა, ვიცოდი!

...ამ დღეში ვარ და მიშამ მოსკოვში ვიზიტი გადაწყვიტა. სხვათა შორის, მინისტრად რომ დამნიშნეს, მეც პირველად მოსკოვში წავედი.

— **აბა, ვაშინგტონში არავინ ჩაგიშვებდათ!**

— როგორ გეკადრებათ! მერე, ვაშინგტონშიც ვიყავი...

— **მოსკოვში, როგორც ვიცი, ე.წ. იურიდიული ბიზნესი გაქვთ, არა?**

— საარბიტრაჟო მოსამართლე ვარ, იურიდიული დახმარების სამსახურიც მქონდა, სამი წელი კი, ევტუშენკოვთან ვმუშაობდი, რომელიც ახლა დაიჭირეს. პუტინის მასეთი მეგობარი რომ ვყოფილიყავი, როგორადაც მხატავენ, ვერ მივეხმარებოდი, რომ არ დაეჭირათ?

— **რუსეთის მოქალაქე ხართ?**

— არა. საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელება მინდა...

...იმ ხალხის სიას ვკითხულობ, ვინც მიშას მოსკოვში მიჰყვება და ჩემი მოადგილე, ირაკლი კოტეტიშვილიც აღმოვაჩინე. დავუძახე, ამის შესახებ რატომ არ ვიცი-მეთქი. ირაკლი ოქრუაშვილმა ჩამსვაო. გავბრაზდი და ოქრუაშვილს დავურეკე. ირაკლი მოსკოვში გვჭირდება, ვიცით, რომ იქ წრე გყავთო. მოსკოვში ჩემი მეუღლის ახლობლები, ქართველი ებრაელები ცხოვრობენ, რომელთა ნაყიდი პალტოც მიშას ინაუგურაციაზე ეცვა. ეს ებრაელები მილიონერები არიან და დღესაც მეხმარებიან... სხვათა შორის, ამ ჩემმა ებრაელმა მეგობრებმა ოქრუაშვილსაც ჩააცვეს და ადეიშვილსაც... მერე კი, მიშა დაჭერას უპირებდა... ოქრუაშვილმა შემომთავაზა, იქნებ, მოახერხო, პუტინმა მიშას შენზე რამე კარგი უთხრასო. მივუგე, როგორც გაბრიჩიძე და გახოკიძე, მეც უზენაეს სასამართლოში გამიშვით, ხელფასი მექნება და დავისვენებ-მეთქი... ასე იყო თუ ისე, პატრუშევს დავურეკე, თუ მოახერხებ, პუტინმა მიშას ჩემზე ერთიორი დადებითი სიტყვა უთხრას-მეთქი. სინამდვილეში, „გამაბოთავეს“, მაგრამ მიშამ კაცი გამომიგზავნა და რა მექნა, პუტინთან არ დამერეკა?.. მოკლედ, მიშა სამ დღეში საქართველოში დაბრუნდა, ირაკლი ოქრუაშვილი მოვიდა და მეუბნება, ვალერი, ეს რა იყო, პუტინმა შენს გამო მიშა შეჭამა — შვიდჯერ მაინც გახსენა და მიშა ამაზე ძალიან გაბრაზდაო.

— **მართლა გახსენათ?**

— „ლონდრეს“ ვარიანტი გამითამაშეს, თუ გეწყინება, ფულს არ გადაგიხდიო...

— **ბოლოს და ბოლოს, პუტინმა გახსენათ თუ არა?**

— ვიდრე გაფრინდებოდა, მიშამ ინტერვიუ მისცა და მარიკა ვერულაშვილის დახმარებით, ჟურნალისტებს ვაკითხინე, მომავალ კაბინეტში ვალერი ხაბურძანია იქნება თუ არაო... საერთოდ, მეგობრობას პოლიტიკის გამო არ ვივიწყებ. გუბაზ სანიკიძე ოპოზიციაში იყო, მაგრამ უახლოესი მეგობარია და ხანდახან, ჩემთან, კაბინეტში მოდიოდა და ერთად ვსადილობდით ხოლმე...

— **2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე თქვენი და სანიკიძის ჩანაწერიც მოვისმინეთ...**

— ეს სატელეფონო საუბარი კი არა, სახლშია ჩაწერილი...

**ბუნებრივია, დაინტერესდით, იმ მილიონიდან, რომელსაც გუბაზ სანიკიძე ზემოხსენებულ ყბადაღებულ ჩანაწერში ახსენებს, ვალერი ხაბურძანიას რამდენი ერგო. ჰოდა, ცნობისმოყვარეობა რომ დაიკმაყოფილოთ, უშიშროების ყოფილი მინისტრის ხუთსაათიანი საუბრის სკანდალური სტენოგრამის მეექვსე, ანუ დასკვნით ნაწილს უნდა დაელოდოთ, რომელსაც „ქართული სიტყვა“ ზუსტად ერთ კვირაში, 14 იანვარს, ესე იგი, ძველით ახალ წელს გამოაქვეყნებს...**

**ვანო პაპალიაშვილი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**„მიტინგები რომ დაიწყო, „ნაცმოძრაობის“ ოფისში „სასისკებს“ ხარშავდნენ და მომიტინგეებს ურიგებდნენ. „სასისკების უფროსი“ გივია თარგამაძე იყო. ჰოდა, ერთხელ, გივია დათვრა, „სასისკების“ ფული შეჭამა, მომიტინგეებს ველარ მიუტანა და კარგა მაგრად „გაბერტყეს“...**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

7 – 13 იანვარი 2015 | № 1 (265)

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა



საინფორმაციო მხარდაჭერა

# „ოქროს პერგამენტმა“ „წლის ადამიანად“ ალექსანდრე გრიგოლაშვილი დაასახელა

**2014 წლის, 24 დეკემბერს, სამორინე „შანგრი ლა“-ში, სააგენტო GHN-ის ორგანიზებით, „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები დააჯილდოვეს. საკონსულტაციო ჯგუფ „GHG“-ს მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა 2 360 ადამიანმა მიიღო. სხვადასხვა ნომინაციებში დასახელდნენ კანდიდატები, რომლებიც სარეიტინგო გამოკითხვის საფუძველზე შეირჩნენ. ერთადერთი ნომინაცია წლის ადამიანი იყო, სადაც ნებისმიერ რესპონდენტს შეეძლო, მისთვის სასურველი კანდიდატურა დაესახელებინა.**




„ოქროს პერგამენტის“ დაჯილდოვების ცერემონიალის გენერალური სპონსორი კაზინო „შანგრი ლა“, სპონსორები კი, „ოდისია პრომოუშენი“, ღვინის კომპანია „ვაზიანი“ და „სტილ ლაინი“ იყვნენ. ღონისძიების საინფორმაციო მხარდამჭერები გახლდნენ: „რუსთავი 2“, რადიო „ფორტუნა“, გაზეთები „ქართული სიტყვა“, „პრემიერი“, „ვერსია“, ასევე, ინტერნეტგამოცემა „მთავარი.ინფო“.

ნომინაციაში „2014 წლის უცხოური კომპანია“, რამდენიმე ფირმა იყო წარდგენილი, მაგრამ გამარჯვება „კარფურს“ ერგო. „წლის საუკეთესო ბრენდად“ „სმარტი“ აღიარეს; „წლის საუკეთესო კომპანიად“ კი – „საქართველოს ბანკი“. „წლის წარმატებულ გუნდად“ საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები დასახელდა. „წლის ხელოვანი“ რეჟისორი გიორგი ოვაშვილი გახდა, რომელსაც „ოქროს პერგამენტი“ პუბლიცისტმა თაკო ჩარკვიანმა გადასცა.

„2014 წლის საუკეთესო პროექტად“ ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ აღიარეს. „წლის საუკეთესო ბიზნესმენად“ კომპანია „ვისოლის“ მფლობელი, სოსო ფხაკაძე გახდა, რომელსაც „ოქროს პერგამენტი“ „ქართული სიტყვის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ, ვანო პავლიაშვილმა გადასცა.

„2014 წლის უფლებადამცველად“ ლია მუხაშავრია დასახელდა, რომელსაც „ოქროს პერგამენტი“ საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენ“-ისა და გაზეთ „პრემიერის“ მთავარმა რედაქტორმა, თემურ ჭუმბურიძემ გადასცა.

„ოქროს პერგამენტის“ საპატიო ლაურეატად სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ აღიარეს.

2014 წლის პოლიტიკოსად პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დასახელდა. წლის ადამიანად კი, უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლი, ალექსანდრე გრიგოლაშვილი, რომლის ხსოვნასაც დარბაზმა პატივი წუთიერი დუმილით მიაგო. „წლის ადამიანი“ „ოქროს პერგამენტის“ დამფუძნებელმა და სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენ“-ის გენერალურმა დირექტორმა, გოჩა მირცხულავამ გამოავლინა.

შეგახსენებთ: ალექსანდრე გრიგოლაშვილი ლუგანსკის ოლქის ქალაქ სჩასტიესტან დაიღუპა. ცნობილია, რომ უკრაინელ მებრძოლთა ჯგუფი ჩასაფრებაში მოჰყვა, რასაც ორი მებრძოლი ემსხვერპლა. გრიგოლაშვილი უკრაინაში რამდენიმე თვე იმყოფებოდა და აიდარის სადაზვერვო ქვედანაყოფს მეთაურობდა.

ალექსანდრესთვის განკუთვნილი „ოქროს პერგამენტი“ მამამისს, მიხეილ გრიგალაშვილს გადაეცა.

„ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ახალი ამბების სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენ“-სა და საზოგადოებას ჩემი შვილის გახსენების გამო.













მინდა, ყველას დიდი მადლობა ვუთხრა, რომ ჩემი გმირი შვილი სათანადოდ დააფასეს. ძალიან კარგი შვილი მყავდა, მებრძოლი, გულადი და შეუპოვარი. ის უკრაინაში საქართველოს გამო იბრძოდა. 4 წელი იყო სამხედრო სამსახურში. არ შეეძლო სამხედრო ცხოვრების გარეშე. 2 თვის წასული იყო უკრაინაში და მისი გარდაცვალება მედიით გავიგე“, – განაცხადა „ოქროს პერგამენტის“ გადაცემისას ალექსანდრე გრიგოლაშვილის მამამ, მიხეილ გრიგოლაშვილმა.

„ოქროს პერგამენტი“ მიხეილ გრიგოლაშვილს სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენ“-ის სახელით, მეცნიერებათა დოქტორმა, მსოფლიო ჩემპიონმა ჭიდაობაში ბესო მიქელთაძემ და ჟურნალისტმა ირაკლი ვაჩიბერიძემ გადასცეს.

## ბარბარა ბრილსკას მძიმე სიბერე

იყო დრო, როცა პოლონეთის სექსსიმბოლოდ ითვლებოდა, თუმცა ამ სტატუსს ხელი არ შეუშლია, რომ საბჭოთა ხალხის ყველაზე საყვარელი მსახიობიც გამხდარიყო — ბარბარა ბრილსკას საბჭოთა აღიარება ფილმმა — „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“ მოუტანა. დღეს კი, ბარბარა შიმშილის პირსაა. ყოველ შემთხვევაში, დასავლური მედიის ცნობით, მსახიობის ერთი თვის შემოსავალი 100-დოლარამდე პენსიაა, რომლითაც მხოლოდ საპონსა და ტუალეტის ქაღალდს ყიდულობს.

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ 71 წლისაა, ბარბარა ბრილსკა იდეალურ ფორმაშია და ნანობს, რომ 30 წლის წინ, პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა.

ცნობილია, რომ პოლონელ აქტრისას ალკოჰოლისკენ აქვს მიდრეკილება. მწეველიცაა, თუმცა ამ „ცუდ თვისებებს“ ხელი არ შეუშლია, რომ ორჯერ გათხოვილიყო.

„გათხოვება მესამედაც შემეძლო, მაგრამ თავი შევიკავე“, — ამბობს ბარბარა, რომელსაც 18 წლის წინ, ქალიშვილი დაეღუპა...

ცნობისთვის: ბარბარა ბრილსკა 24-ზე მეტ ფილმშია გადაღებული. პოპულარობა კი, სკანდალურმა პოლონურმა ფილმმა — „სიყვარულის ანატომია“ მოუტანა, სადაც ევას როლი განასახიერა. „ბედის ირონიაში“ მონაწილეობისთვის კი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია გადაეცა...

## წლის ყველაზე სექსუალურ ქალად ქეით აპტონი აღიარეს

მსოფლიოში გავლენიანმა გამოცემა „People“-მა 2014 წლის ყველაზე სექსუალური დიაცების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელსაც 22 წლის მოდელი ქეით აპტონი ლიდერობს. ქეითი მსოფლიომ 2011 წელს გაიცნო, როცა მონაწილეობა საცურაო კოსტუმების რეკლამაში მიიღო. პოდიუმის გარდა, აპტონმა ბედი კინოშიც სცადა — 2014 წელს გადაღებულ „სხვა ქალში“ პარტნიორობა ჰოლივუდელ კამერონ დიასს გაუწია.

## თინა კანდელაკს საახალწლოდ მინიატურული პუტინი აჩუქეს

ახალი წლის დღეებში, რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ტელეწამყვანი მორიგ სკანდალში გაეხვა — რუსული მედიის მტკიცებით, თინა კანდელაკი თათრეთის რესპუბლიკის სპორტის მინისტრ ვლადიმირ ლეონოვს გაუმიჯნურდა. მედიას ჭორაობის საბაბი თავად კანდელაკმა მისცა — ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ფოტო გამოაქვეყნა, სადაც ვლადიმირთან ჩახუტებული ჩანს. მთელი ამ ამბის მთავარი ინტრიგა კი ისაა, რომ მინისტრი ცოლშვილიანია.

ზემოხსენებულის გარდა, თინა კანდელაკმა სოციალურ ქსელში კიდევ ერთი ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელზეც ჩანს, რომ თინას ხელში მინიატურული პუტინი უჭირავს.

„ეს-ესაა კოლეგებისგან სუპერ საჩუქარი მივიღე. ბოლო დროს მოდურია საახალწლოდ ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ პუტინის ჩუქება. მომიტანეს მშვენიერი მალაქიტის ქანდაკება, რომლის დასამზადებლადაც ოსტატმა ნახევარი წელი იმუშავა. ამიერიდან თვალი აღარ მეცემა“, — დაწერა კანდელაკმა სოციალურ ქსელში.



## „ჰიურემისა“ და „რუსტამ ფაშას“ სიყვარულის ისტორია

თურქი მსახიობი მერიემ უზერლი, რომელიც ქართველმა მაყურებელმა სერიალ „დიდებულ საუკუნეში“ განსახიერებული ჰიურემის როლით გაიცნო, შეყვარებულია — პაპარაცებმა 32 წლის მერიემი მაშინ „გამოიჭირეს“, როცა რესტორნიდან 39 წლის ოზან გიუვენთან ერთად გამოდიოდა.

შეგახსენებთ: ბიზნესმენი ჯან ატეში მერიემს მაშინ დაშორდა, როცა ქალის ფეხმძიმობის შესახებ შეიტყო. ამის გამო მსახიობმა „დიდებული საუკუნის“ გადაღებები მიატოვა და გერმანიაში გაიქცა, სადაც მისი მშობლები ცხოვრობენ. მერიემს გოგონა სწორედ გერმანიაში შეეძინა. მშობიარობის შემდეგ კი, ისევ თურქეთში დაბრუნდა და მალე ახალ სერიალშიც გადაიღებენ...

რაც შეეხება მერიემის ახალ შეყვარებულს, ოზან გიუვენს, ქართველი მაყურებელი მასაც კარგად იცნობს — ოზანი „დიდებულ საუკუნეში“ რუსტამ ფაშას როლს ასრულებს.

## არა-ჩვეულებრივი გვერდი



### კანადელი პორნო ვარსკვლავი 25 წლით დააპატიმრეს

32 წლის ლუკა მანოტას, რომელმაც თავი პორნოფილმებში მონაწილეობით გაითქვა, 25-წლიანი პატიმრობა შეეფარდა – 2012 წელს, ლუკამ შეყვარებული ჯერ მოკლა, შემდეგ კი, დაანაწევრა.

კანადელი პორნო ვარსკვლავის ადვოკატი ამტკიცებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს მკვლელობა განზრახ არ ჩაუდენია. თავად ბრალდებული კი საპირისპიროს აცხადებს და აღიარებს, რომ შეყვარებული განზრახ მოკლა.





### წლევანდელი „ევროვიზიის“ კონფერანსიე კონჩიტა იქნება

ავსტრიის ტელერადიომაუწყებლობის კორპორაციის გადაწყვეტილებით, კონჩიტა მხოლოდ წამყვანი კი არ იქნება, არამედ, „ევროვიზიის“ კონკურსსაც საკუთარი სიმღერით გახსნის. არსებული ინფორმაციით, ვურსტი კონკურსის მონაწილეებს „მწვანე ოთახში“ ინტერვიუს ჩამოართმევს...

„ვურსტმა ამ კონკურსში თავისი პიროვნების, ხმისა და სიმღერის წყალობით გაიმარჯვა. კონჩიტამ თვითგამორკვევისა და პატივისცემისათვის ბრძოლაში ევროპისა და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე ძლიერი ავსტრიული ნაბიჯი გადადგა“, – ამბობს კორპორაციის დირექტორი კეტრინ ზეჰნერი.

შეგახსენებთ: „ევროვიზიის“ მე-60 კონკურსი წელს მაისში, ვენაში გაიმართება. 2014 წელს კი, კოპენჰაგენში, „ევროვიზიის“ გამარჯვებული ავსტრიელი ტრანსვესტიტი, კონჩიტა ვურსტი გახდა.

### აშშ-ში ორი წლის ბავშვს დედა შემოაკვდა

აშშ-ში, კერძოდ, აიდაჰოს შტატის ქალაქ ჰეიდენში, ერთ-ერთ სუპერმარკეტში ტრაგედია დატრიალდა – ორი წლის ბავშვს დედა შემოაკვდა.

თვითმხილველთა თქმით, ბავშვი დედის ჩანთაში ჩაძვრა და ხელი პისტოლეტს გამოჰკრა.

პოლიციის ინფორმაციით, ქალს იარაღის ტარების უფლება ჰქონდა.

### 74 წლის რინგო სტარი ახალ ალბომზე მუშაობს

ბრიტანელი როკ-შემსრულებელი და ლეგენდარული The Beatles-ის წევრი, რინგო სტარი ახალ ალბომზე მუშაობს – 74 წლის მუსიკოსის თქმით, უკვე ჩაწერა ახალი კომპოზიციები და მსმენელს ახალ ალბომს, სავარაუდოდ, 2015 წლის მარტში გააცნობს.







### „ფემინისტების დედოფალი“ ემა უოტსონი გახდა

ქალთა უფლებების დაცვის ბრიტანულმა ორგანიზაციამ, ონლაინ-გამოკითხვაზე დაყრდნობით, ყველაზე დიდ ფემინისტად 24 წლის მსახიობი ემა უოტსონი აღიარა. ემამ ეს ტიტული გაერო-ს კეთილი ნების ელჩად მუშაობის წყალობით მიიღო.

„რაც უფრო ბევრს ვლაპარაკობ ფემინიზმზე, მით უფრო ვხვდები, რომ უკანასკნელ ხანს ქალთა უფლებების დაცვა ადამიანთმოძულეობის სინონიმად იქცა. ეს უნდა დამთავრდეს“, – განაცხადა ემა უოტსონმა.

ფემინისტთა რეიტინგის სამეულში, ასევე, მოხვდნენ ტრანსსექსუალი მსახიობი ლავერნა კოქსი და ჟურნალისტი რეიჩელ მედოუ.

### ჯეკი ჩანის ვაჟს 3-წლიანი პატიმრობა ემუქრება

ახალი წლის წინ, პეკინის პროკურატურამ მსახიობ ჯეკი ჩანის ვაჟს, 32 წლის ჯეისის ნარკომომხმარებლებისთვის ადგილის გადაცემის ბრალდება წაუყენა, რაც სამწლიან პატიმრობას ითვალისწინებს.

სახელგანთქმულ მამას, რასაკვირველია, შეეძლო, შვილი დაეცვა, მაგრამ ჯეკიმ ეს არ გააკეთა და განაცხადა: „ვიმედოვნებ, როცა ციხიდან გათავისუფლდება, ჯეისი თავის მწარე გამოცდილებას ახალგაზრდებს გაუზიარებს“.

შეგახსენებთ: პოლიციამ მსახიობის ვაჟი პირველად 2014 წლის აგვისტოში დააკავა. მაშინ სამართალდამცავებმა მსახიობის შვილის სახლში 100 გრამი „მარიხუანა“ აღმოაჩინეს. ამასთან, ჯეისიმ აღიარა, რომ რვა წელია, ნარკოდამოკიდებულია.

„შეუფერებელი საქციელი ჩაიდინე და შედეგზეც პასუხი უნდა აგო, მაგრამ მამაშენი ვარ და ყოველთვის შენთან ვიქნები“, – განუცხადა მაშინ მსახიობმა შვილს.

საერთოდ, ჩინეთში ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა უმკაცრეს სასჯელს, მათ შორის, სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებს, თუმცა ჯეკი ჩანის ვაჟს, როგორც ადვოკატები ამბობენ, სიკვდილით დასჯა არ ემუქრება, რადგან მის საქმეში მცირე რაოდენობის ნარკოტიკი ფიგურირებს.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, მსახიობი ჩინეთში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში კეთილი ნების ელჩად დაასახელეს...

### 61 წლის კიმ ბესინჯერს ქმარყოფილის სტილისტი შეუყვარდა

ჰოლივუდის ყოფილი სექსსიმბოლო, 61 წლის კიმ ბესინჯერი შეყვარებულია – პაპარაცების მტკიცებით, კიმის რჩეული 52 წლის სტილისტი მიტჩ სტოუნია. ამასთან, არსებობს ცნობა, რომ წყვილი, ახალი წლის წინ, ჰავაის კუნძულებზე განმარტოვდა.

„კიმი და მიტჩი ერთმანეთს დიდი ხანია, იცნობენ – მიტჩი, ერთხანობას, კიმის ყოფილი ქმრის, ალეკ ბოლდუინის სტილისტი იყო. კიმი და მიტჩი თავიდან მეგობრობდნენ, შემდეგ კი, ეს ურთიერთობა მხურვალე რომანში გადაიზარდა“, – ამბობენ მსახიობის ახლობლები.

კიმ ბესინჯერს ალეკ ბოლდუინთან ქალიშვილი აირლენდი ჰყავს.

### ბრიტანელი დიაცი კატებზე გათხოვდა

48 წლის ბარბარელა ბიუჰნერი ბრიტანეთში ცხოვრობს და მის შესახებ მსოფლიო ვერაფერს გაიგებდა, რომ არა ერთი გარემოება – ბარბარელა ცოლად საკუთარ ორ კატას გაჰყვა. პატარძალმა და ნეფეებმა „თაფლობის თვე“ კანარის კუნძულებზე გაატარეს.

ბარბარელა თავის ნამდვილ ქმარს 7 წლის წინ დაშორდა და, თავი მარტო რომ არ ეგრძნო, თავშესაფრიდან ორი კატა – ლუგოში და სპაიდერი წაიყვანა. ქალისა და ოთხფეხების სიყვარულის ისტორიაც სათავეს სწორედ იმ დღიდან იღებს...

„ქმრებთან ერთად, ლონდონში, ჩემს სახლში ვიცხოვრებ“, – ამბობს პატარძალი.

საერთოდ, ბოლო დროს ადამიანების ცხოველებზე დაქორწინება არცთუ იშვიათობაა. ასე, მაგალითად, 2014 წლის სექტემბერში, 18 წლის ინდოელი გოგონა უსახლკარო ძაღლზე გათხოვდა.

# ჯანსულის სიცილნათელები

### ნაგავსაყრელი

გთხოვთ, ნუ იქნებით მკაცრები,
არც რამეს ვამბობ ახალს,
დღეს საქართველო „ნაცების“
ნაგავსაყრელი გახლავთ.

### სიკეთე

შენ თუ არ თესავ
ყველგან სიკეთეს,
სიკეთეს ვერვინ
ვერ გაგიკეთებს.

### საბჭოური

ვარსკვლავი, ნამგალი,
ჩაქუჩი,
ვარდისფერებში და
შავ ქუდში,
ვარსკვლავი, ჩაქუჩი,
ნამგალი,
კიევში მიშა-ობს
ანგალი.

### მიშა და პუტინი

ისე, როგორც მტკვარს
არაგვი შერთვია,
მიშა და პუტინი, –
ორივე ერთია.
არც ერთი არაა
კაცობით ჯანმრთელი,
არც პუტინს, არც მიშას
არ უყვარს ქართველი.

### მიშა მართალია

სწორედ ახლა,
დღეს ხომ ოთხშაბათია,
საჩივარი
ჩაითვალა ბათილად.
აბა, მითხარ,
მის სამართალს რა დაშლის,
აირჩიეს
უკრაინის რადა-ში.
მოერგო დროსა მკვლელი,
მოიმკო მოსამკელი,
ჩვენ ამ ქვეყანას
მოვიართ ურმებით,
არაფრისმქნელები,
ნაციონალურები.



### 2003 წლის რევოლუციონერებს

ისიც დაკარგეთ,
რაც ამქვეყნად ღმერთს მოუცია,
რევოლუცია
თქვენ გგონიათ ევოლუცია.




bukomaoffice@yahoo.com




მის: აკაკი წერეთლის 72 ა

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ქაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით